

კვირის პალიტრა



1.9

სკანდალი
უნივერსიტეტში

N7(36) . 15/II. - 21/II. 2001

ფასი 60 თ.

1168

2001

„აოლისციელის
საქმიდან“

5 ტყვიანა გაქრა?

პარლამენტართა

სასიყვარულო

ვნეებები

როგორ მოხლდებოდა
ქვედაჯახები

მთავარი თემა:

სიყვარული



ირინა ხაჭარაძე:

**— სიყვარულსა ვაღმა
უნდაო, სოც გაგივიანთ?
მამუკას მოყვამდავით
შვამდავოდი ჩემდავი მის
დამოკიდებულვას...**

გვ.7



1168
2001



№7 (36)
15 - 21 თებერვალი 2001
ფასი 60 თეთრი

შინაგარეობა	
„სიყვარულო, კალსა შენსა!..“	3
კონფლიქტი	
სკანდალი უნივერსიტეტში	4
კვლევა	
დიდ ბიზნესში შენს „სუბსურგე“	
ვერ ივლი	7
რევიუ	
ბრემენის ღარიბეზები	9
ინტერვიუ	
როგორ ვიყენებთ მზის ენერჯიას	10
ფესტი	
ერთგული მკითხველი	11
შთავაქი თემა	
• უსიყვარულოდ არს პარლაგენტში	
შეუკლიათ სუნთქვა	12
• შეყვარებული აღვოკატი	
არემიღნტს წერილს უგზავნის	14
• მათი ნახვისას ქუჩაში	
გამგულაბი ჩარღებოღნა	16
• ლიგა შაკიაშვილი:	
სოლაში სულ მასწავლებლებზე	
ვიყავი შეყვარებული	17
• კაცობრიობა სექსისგან	
გამოშტერღა	18
განრიგოღნა	
აზროღიტეს წყვეღა	20
აღმინი	
მარინას გათსოვების ეშინოღა...	
შმიღის ღიღი რისკის	
შასღ ბაარინა	22
ქრიღნაღი	
• „კოღისიღლის სექშიღან“	
5 ტყვია გაქრა?	24
• „...იმ გოგამღე შიიყვანეს,	
როგ, შესაღლოა, მანიაკობას	
ღიბრღლოს“	26
ინტიღავრღსანღი	
ინფორმაციულ-შეგენებიღი	
კოღაქი გოგა ღვეღის	
შბის წიგნაკიღან	28
ნაღღიღი აგბავი	
სამღღინღ „გარღინი“	28
სიღიღიღაღი	
ღამწერღობა	30

სკანდალი უნივერსიტეტში




ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტები 7 თებერვიღან მოყოღებული, ყოვეღ ღიღი 9 საათიღან უნივერსიტეტის მე-ნ კორპუსის წინ საპროტესტო აქციას აწყობენ და ლექციებს არ ესწრებინან.

4

უსიყვარულოდ არს პარლაგენტში შეუკლიათ სუნთქვა


– „ვალენგინობა“ – შემოიღებენ რაღაც ახალ სიგყვებს. ღარქვით ამ ღღეს „მაჭანკლობისა“, რა მოხღა მერე?
ქალი კი, ქალი სულ კარგია „თეღო სავსე, მკერღსავსე და ტყრ-ბარაქა...“



12

21960

ზელნერის სია



ყოვეღი წღის დასაწყისში, მსოფღიღს ყვეღაზე პოპულარული კრიტიკოსი მისტერ ბლეკუელი, აქვეყნებს „ყვეღაზე უგემოვნ-ღო ჩაცმული ქაღების სიას“.
მისტერ ბლეკუელი არ მალავს, რომ მხოლოღ იმ ქაღებს აფასებს, რომღებიც ყვეღაზე მეგაღ აინ-გერესებს საზოგადოებსა.

45

„კოღისიღლის სექშიღან“ 5 ტყვია გაქრა?

ნასვამმა თიგიშვიღმა, რომეღ-იგ მომხღარი ფაქტის ღროს ვაკე-საბურთაღოს რაიონის პოღიღის თანამშრომელი ვახღღათ, პის-ტოღეტიღან ვასროღით, უღანა-შაულ კაცის – სამარმრუტო ტაქტის მღღოღის, სიციცხლე იმ-სხვერღღა.



24

სამარტვეღოს
მტოღნეღი
წიგღიღთეგა

ფსიქოლოგიური თაბაგი

შვიბილიათ თუ არა ყურადღების
კონსენტირება? 31

სამყარო

როგორ მოკლებოდა ქვედაბოლო 32

წილანა

ბიორგი მთაწმინდელი -
„ვერგი რჩეული ღმრთისაი“ 34

ბალადა

ქართულ მანდილოსანთა
მშვენიერება 35

სასარგებლო აზრები

აფორიზმების ენციკლოპედია 37

მოგზაურის დღიურები

ვინ იცის შვედეთში, სად
არის GEORGIA 38

ხელოვანი

რენე მაგრიტის
„საიდუმლო მასალები“ 42

კრიტიკა

გელსერის სია 45

შეამოწმეთ თქვენი ხოცა

ტესტი ერუდინიაზე 47

ესკიზები

მოკლე სულიერი ცხოვრება სჯობს
სხეულის ხანგრძლივ სიცოცხლეს 48

ნოველა

ღაღო ნავირელი. ღო-ღო 50

ავტო

პარსკაპანი 52

პარსკაპანი

მოგზიბვლელი ამერიკელი გოგონა 54

გომონდი

ბამონენილ ხელოვანთა 56

აღაშიანი-ლაგუნა

ბამონენილი საყვარელი 57

სანაოკრი

კვირის (19-25 თებერვალი) 61

პოროსკოპი

ასტროლოგიური პროგნოზი 62

ტესტი

ხართ თუ არა მომთმენი? 63

კალენდოსკოპი

ჭრელ-ჭრელი ამბები 64

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, სთუშაბათობით
გაზეთი „კვირის კალიტრის“ დაგატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გონა ტყემულაშვილი
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

მათი ნახვისას ქუნაუბო გამკლავები ჩერდებოდნენ




ცხელა არგენგინაში. დიდი ხვეწნის შემდეგ იყოლიებს რეზო მედეას, რომ მისი თითიდან ეკალი ამოიღოს. ფრთხილად, ძალიან ფრთხილად ატარებს „ოქერაეცას“.

16


რენე მაგრიტის „საიდუმლო მასალები“

სერიალ „საიდუმლო მასალები“ ეკრანზე გამოჩენამდე მხატვარ-სიურეალისტები თავისუფლად მანიპულირებდნენ სხეულებისა და საგნების მებუნებრივი ურთიერთშერწყმით. ყველაზე წინ ამ მიმართულებით ბელგიელი რენე მაგრიტი წავიდა.



42

ვინ იცის შვედეთში, სად არის GEORGIA




ფესტივალის კულმინაცია, „იხევის შეჯიბრია“. ათასამდე ხელოვნური „იხვი“ ეჯიბრება ერთმანეთს ცურვაში. გამარჯვებული იხვის პატრონს ავტომატურად ვოლვოს ჩუქნიან. მეც მომინდა მანქანის მოგება და გადავწყვიტე, მონაწილეობა მიმელო კონკურსში.

38

ლო-ლო

ვიღაც ბეთჰოვენის „მთვარის სონატას“ ასრულებდა. მიაყურადა. ასეთი მსგავსება შეუძლებელი იყო. ერთი კლავიში ხარვეზით იღებოდა „ლო“-ს.

ქუჩის მეორე მხარეს გადავიდა და თეთრად შეღებილ ფანჯარასთან შეჩერდა. შიგნით შეისვდა.



50

„სიყვარულო, ძალსა შესა!“



ჩვენი ჟურნალის წინა ნომრის მთავარი თემა ძალადობა გახლდათ და დამეთანხმებით – ძალიან ძნელია უცბად დღევანდელ თემაზე – სიყვარულზე გადასვლა. მე კი იბულებული ვარ (ე.ი. მაძალე-ბენ) მაინცდამაინც სიყვარულზე დავწერო და მაინცდამაინც – დღეს. არა, ისე კი არ გამიგოთ, რომ რაიმე საწინააღმდეგო მაქვს სიყვარულისა, პირიქით – ყველა მიყვარს: ცოლ-შვილიც, მშობლებიც, სიდედრის დაც, შინაგან საქმეთა მინისტრიც და ჩემი რედაქტორიც, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, როგორც ცნობილია – „სიყვარული არ იქნება ძალადა!“

„შრომამ შექმნა ადამიანი“ – გვასწავლიდნენ და გვატყუებდნენ თურმე.

შრომამ კი არა – სიყვარულმა შექმნა ადამიანი! და არა მარტო ადამიანი – სიყვარულის ნაყოფია პარლამენტიც, მთავრობაც, პროკურატურაც და, თქვენ წარმოიდგინეთ – თავისუფალი მასმედიაც კი!

და ეს სიყვარული დღითი დღე ძლიერდება – პარლამენტის სხვადასხვა ფრაქციას, გიორგი მერჩულესი არ იყოს – „გარდარეული სიყვარული“ აქვს ერთმანეთის მიმართ, ხოლო ყველა ერთად (მთელი პარლამენტი) – მთავრობაზე გიჟდება! პროკურატურა და ჟურნალისტთა კორპუსი ისეთი ორმხრივი სიყვარულით არიან ერთმანეთთან გადაჯაჭვულნი, რომ **КУ-шать не могу!**

ისე, ერთი უხერხული მომენტი კია – XX საუკუნის ბოლომ ბევრი ცნება შეცვალა და ბევრი სულიერი ფასეულობა დააკნინა. სამწუხაროდ, სიყვარულიც „გაიაფდა“: თუკი რუსთაველი ჯერ კიდევ რვაასი წლის წინ ამბობდა: „იგი სხვაა, სიძვა სხვაა“-ო და „მძულს უგულო სიყვარული, ხვევნა-კოცნა, მტლაშა-მტლუში“-ო, დღეს ბევრი სიყვარულსა და სექსს ერთმანეთთან აიგივებს და ახლა წარმოიდგინეთ ზემოთ მოყვანილი „სიყვარულები“ თანამედროვე (სექსის) ჭრილში! ვთქვათ, იუსტიციისა და შინაგან საქმეთა მინისტრების სიყვარული, ან პარლამენტის თავმჯდომარისა და აჭარის ლიდერის მიჯნურობა! ანდა, სულაც მწერალთა კავშირის თავკაცისა და ზოგიერთი ჟურნალისტის ურთიერთ-ტრფობა...



თუმცა სიყვარულის „გათანამედროვეობამ“ არა მარტო უარყოფითი შედეგები მოიტანა – გასულმა ასწლეულმა „საერთაშორისო სიყვარული“ წარმოშვა, რომელმაც გადაარჩინა კიდევ საქართველო ბოლო წლებში. თუკი ისევ სულმნათ რუსთაველს დავესესხებით – „სიყვარული აგვამაღლებსო“, რომ ამბობდა, ახლა შეიძლება ითქვას, რომ „სიყვარული გადაგვარჩენს!“ სწორედ „საერთაშორისო“ სიყვარულს ვგულისხმობ: ჩვენ რომ ვერობანკს, „საერთაშორისო სავალუტო ფონდს“, „საქართველოს მეგობარი ქვეყნების კლუბის“ წევრ სახელმწიფოებს და სხვებს, „საერთაშორისოდ“ არ ვუყვარდეთ, შიმშილით დავიხოცებოდით. რა სათქმელია, რომ ეს სიყვარული ხანდახან სექსშიც გადადის – ეს, როგორც ვთქვით, თანამედროვე ნორმაა და ჭამა თუ გვინდა, უნდა გავუძლოთ.

თუმცა ყველაფერი, რაც ზემოთ ვთქვით, არაფერია იმ „საერთო-სახალხო“ სიყვარულთან შედარებით, რომლითაც მთელ ხელისუფლებას და ხალხს უყვართ ერთმანეთი... ამაზე წერაც მიჭირს, ბედნიერების ცრემლები მახრჩობს, როდესაც მახსენდება, როგორი სიტყვებით „უხსნის სიყვარულს“ ქართველობა თავის მეთაურებს: „მე ჩვენს მთავრობას...“, „ამ ჩვენი პარლამენტის ...“ და

ა.შ. მრავალწერტილებში ვისაც რა უნდა, ის იგულისხმოს, მით უმეტეს, რომ როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ – სექსიც სიყვარული ყოფილა.

P.S. ამას წინათ ჩვენს ჟურნალში ერთი მასალა დაიბეჭდა სათაურით: „რას მიირთმევს პარლამენტი?“ დამეთანხმებით, პასუხი (თანაც „პროვოკაციული“) ენის წვერზე გიტრიალებთ ყველას... მეც ეს მინდოდა გამერკვია, თუმცა კარგად ვიცი, რასაც (უფრო სწორად – ვისას) მიირთმევენ, მაგრამ „მთავარმა თემამ“ ეს მსჯელობა შემდეგისთვის გადამაღებინა...

ასე რომ, მომავალ კვირამდე სიყვარულით გემშვიდობებით.

პროვოკატორი

სკანდალი უნივერსიტეტში

უკვე ერთი კვირაა, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი კონფლიქტის ეპიცენტრად იქცა: ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტები 7 თებერვლიდან მოყოლებული, ყოველ დღით 9 საათიდან უნივერსიტეტის მე-6 კორპუსის წინ საპროტესტო აქციას აწყობენ და ლექციებს არ ესწრებიან. ქუჩაში გამოფენილი ლოზუნგებით ისინი ფაკულტეტის დეკანად ნუგზარ ფოფხაძის დაბრუნებას მოითხოვენ.



ქველი და ახალი დეკანის დაპირისპირებას სტუდენტთა ბოიკოტი მოჰყვა

მეტი სანაპა

2001 წლის 19 თებერვალს უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანის არჩევნებია დანიშნული. ალბათ სწორედ ამიტომ, სტუდენტთა გამოსვლას ნუგზარ ფოფხაძის მიერ ინსცენირებული წინასაარჩევნო რეკლამა უწოდეს. აქციის მონაწილენი ამას კატეგორიულად უარყოფენ და პროტესტის მიზნად, პრესაში გამოქვეყნებული შეურაცხყოფილი განცხადებებისგან დეკანისა და უნივერსიტეტის ღირსების დაცვას ასახელებენ.

ნუგზარ ფოფხაძემ, რომელიც ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე დეკანად წელიწად-ნახევრის მანძილზე მუშაობდა, დეკემბერში სტუდენტთათვის გამჟღავნებული განზრახვა 2001 წლის იანვარში სისრულეში მოიყვანა და თავისი პოსტი დატოვა. მიზეზი, როგორც ამბობენ, მას და ფაკულტეტის ექს-დეკანს – ნოდარ ტაბიძეს შორის ურთიერთდაპირისპირება გახლავთ. გავრცელებული ინფორმაციით, ყოფილი დეკანი თანამდებობის დაკარგვას ვერ შეეგუა. სხვათა შორის, ამ ცვლილების ცერემონიალი ძალზედ მოულოდნელად და სწრაფად ჩატარდა. საზღვარგარეთ ხანმოკ-

ლე მივლინებიდან დაბრუნებულ ნოდარ ტაბიძეს დეკანის სავარძელში უნივერსიტეტის რექტორის – როინ მეტრეველის მიერ დანიშნული ნუგზარ ფოფხაძე დასვდა. რექტორმა ფოფხაძეს, საკუთარი ინიციატივით, დეკანის უფლებამოსილება დროებით, არჩევნებამდე მიანიჭა. ნოდარ ტაბიძეს კი იმ დღიდან კათედრის გამგის თანამდებობა და საპირფარეოსო გვერდით მდებარე ოთახი შერჩა. სტუდენტთა თქმით, ის ვერც ფოფხაძის მიერ წამოწყებულ რეფორმას შეურიგდა და თანამოაზრეებთან ერთად, ახალი დეკანის მიმართ ცილისმწამებლური კამპანია განიზრახა.

ბატონი ტაბიძე ამ ფაქტს კატეგორიულად უარყოფს.

ნოდარ ტაბიძე:

– მე არ ვიცი, რა მიზნითა და მიზეზით აწყობენ სტუდენტები საპროტესტო აქციას. საერთოდ, ამ თამაშში არ ვმონაწილეობ.

– სტუდენტები აცხადებენ, რომ ნუგზარ ფოფხაძის მიმართ პრესის საშუალებით შეურაცხყოფილი გამოსვლების უკან თქვენ დგახართ...

– მე არ მაინტერესებს, ისინი რას აცხადებენ, ამ ჭორაობას არ აყვები. არც ნუგზარ ფოფხაძის წასვლა-არწასვლის საქმეა ჩემი გასარჩევია.

– დეკანის არჩევნებში თქვენი კანდიდატურის წარსადგენად განცხადება რატომ არ შეიტანეთ?

– განცხადება რისთვის უნდა შემეტანა? მე უკვე ვიყავი დეკანი და ამ თანამდებობიდან გავთავისუფლდი. ხელახლა კანდიდატურის წარდგენა რა საჭირო იყო?

პირველი აგრესიული რეაქცია, ფოფხაძის ხელმძღვანელობით ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტების მიერ შემუშავებულ სტუდენტთა უფლებებისა და მოვალეობების კოდექსს – „ქარტიას“ მოჰყვა. განსაკუთრებული იერიში კი „ქარტიაში“ ნახსენებ „ომბუდსმენის კოლეგიასა“ და „სექსუალურ უმცირესობათა თანასწორუფლებიანობაზე“ მიიტანეს. კანონის ავტორები ომბუდსმენტთა კოლეგიაში საჩივრების ოფისს გულისხმობენ, სადაც სტუდენტებს საშუალება მიეცემათ, ამა თუ იმ ლექტორისა თუ პროფესორ-მასწავლებლისადმი თავიანთი შენიშვნები და დამოკიდებულება გამოხატონ. რაც შეეხება „სექსუალურ ორიენტაციას“, ყველაზე მეტი ყურადღება და აღშფოთება იმან გამოიწვია რომ – „ქარტიაში“ სტუდენტთა ეროვნების, რასის, აღმსარებლობისა

და სექსუალური ორიენტაციის ცნებები ერთ რიგშია მოხსენიებული.

უნდა აღინიშნოს, რომ ნუგზარ ფოფხაძისა და მისი „ქარტიის“ მოწინააღმდეგეებად უნივერსიტეტის ლექტორ-მასწავლებლები არ გამოდიან. ეს პოზიცია, ძირითადად, რამდენიმე გაზეთის რედაქციამ გამოხატა, რომელთა უკანაც, სტუდენტები და ფოფხაძის თანამოაზრენი ბატონ ტაბიძეს გულისხმობენ. ისინი ფოფხაძეს კომუნისტური იდეოლოგიის თავგამოდებულ მებრძოლს უწოდებენ და თვლიან, რომ მის საგანმანათლებლო სისტემაში მოღვაწეობა იგივე საბჭოური რეჟიმისა და კონსერვატიული აზროვნებისკენ შემობრუნებისა და დამკვიდრების მცდელობას ნიშნავს.

– „ქარტია“ უბრალოდ, საბაბად გამოიყენეს, რათა ბატონი ნუგზარის უნივერსიტეტში მოსვლის შედეგად თანამდებობის დაკარგვით გამოწვეული ბოღმა და ღვარძლი, ბოლოს და ბოლოს, როგორმე გადმოენთხათ. პრესაში წერენ, რომ ფოფხაძეს 9 აპრილის სისხლში აქვს ხელები გასვრილი, რისი დამამტკიცებელი დოკუმენტებიც გვაქვსო. საინტერესოა, ამდენი თუ იცოდნენ ამ კაცზე და დოკუმენტური მასალაც ჰქონდათ „წლების მანძილზე რატომ დუმდნენ? მას შემდეგ 12 წელიწადი გავიდა“ – ასეთია აქციის მონაწილე სტუდენტთა პოზიცია.

I კურსი, ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტების თავედომარე:

– თავდაპირველად ისიც ითქვა, თითქოს ეს აქცია თავად ფოფხაძისა და ფაკულტეტის სტუდენტების ინიციატივით მოეწყო, რაც სიმართლეს არ შეეფერება. ჩვენს კავშირში სულ 17 სტუდენტია გაწევრებული, პროტესტს კი დღეს მთელი ფაკულტეტი აცხადებს. დეკანმა ამ აქციის შესახებ არაფერი იცოდა, მიტინგის მსვლელობისას, პირდაპირ ქუჩიდან, დაკურეკეთ და მოსვლა ვთხოვეთ, მან კი საყვედური გვითხრა – როგორ თუ აქციას აწყობთ, ახლავე ლექციებზე შედითო.

ყველაზე აღმაშფოთებელი ის იყო, რომ 7 თებერვალს ვიღაც უცნობი პიროვნება, რომელმაც საკუთარი ვინაობა არ გავიძინა, გაზეთებს, სადაც ჩვენს დეკანზე ცილისმწამებლური პუბლიკაციები განხლდათ გამოქვეყნებული, სტუდენტებს სრულიად უფასოდ ურიგებდა – გადაწვევით, საჩუქარი გავიკეთოთო...

ნუგზარ ფოფხაძე ჩვენი დეკანი სულ რაღაც წელიწად-ნახევარი იყო და ამ ხნის განმავლობაში მან ჟურნალისტიკის ფაკულტეტისთვის ძალიან ბევრი გააკეთა. რემონტსა და ვიზუა-



ნუგზარ ფოფხაძე

მუშაობას შეგვანჯია, საკუთარი აზრის გამოთქმის სურვილი და უნარი გავიძინდა – ეს არ არის პროგრესი?

გიორგი მამაცაშვილი, ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი:

– ჩვენი მოთხოვნაა, შეწყდეს ბინძური ცილისწამება, უზნეო ჭორაობა პრესის მეშვეობით ნუგზარ ფოფხაძის, ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებისა და საერთოდ, უნივერსიტეტის მისამართით. ბატონ ნოდარ ტაბიძეს ძალიან დიდ პატივს ვცემთ, როგორც დეკანი, ალბათ, თავის დროზე ისიც კარგი იყო, მაგრამ ნუგზარ ფოფხაძის სახით ჩვენ უკეთესი დავინახეთ. ახლა კარგი აღარ გვინდა, უკეთესი გვიჩვენია.

ლიკა ნადებაშვილი, მაგისტრატურის I კურსი:

– რა თქმა უნდა, სტუდენტთა აზრს ამ საკითხში, მეც ვეთანხმები. ნოდარ ტაბიძე განსაკუთრებით საუკეთესო მეცნიერი, მაგრამ არა ორგანიზატორი. ჟურნალისტიკის ფაკულტეტს კი პრაქტიკულ საქმიანობაში დიდი გამოცდილების მქონე ადამიანი სჭირდება... ფოფხაძის მოწინააღმდეგე იმას ამბობენ, რომ ის მეცნიერული კუთხით ვერაფერს გააკეთებს. ამ საქმეს ნოდარ ტაბიძე შესანიშნავად უძღვება, მაგრამ ფაკულტეტისთვის რეალური ღონისძიებები და პრაქტიკული ნაბიჯებია აუცილებელი, რაც ხელს შეუწყობს ისეთი ჟურნალისტიკის აღზრდას, რომელიც დემოკრატიულ საწყისებზე, დემოკრატიულ სახელმწიფოში მნიშვნელოვანი როლის შესრულებას შეძლებს. ის, რომ დღეს აქცია ტარდება, ჩვენი მიზეზით არ არის გამოწვეული. სასწავლო პროცესს სტუდენტები არ არღვევენ, მის ნორმალურ მსვლელობას, სწორედ აღნიშნული პროვოკაციები და პროვოკატორები უშლიან ხელს.

სტუდენტები უკმაყოფილებას გამოთქვამენ უნივერსიტეტის რექტორატის მიმართ. მათი განცხადებით, ხელმძღვანელობა პრესაში გამოქვეყნებულ ანტიდეკანურ

ჩვენი მოთხოვნაა, შეწყდეს ბინძური ცილისწამება ნუგზარ ფოფხაძის, ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მისამართით. ნოდარ ტაბიძეს დიდ პატივს ვცემთ, თავის დროზე ისიც კარგი იყო, მაგრამ ნუგზარ ფოფხაძის სახით ჩვენ უკეთესი დავინახეთ.

ფაკულტეტის თითქმის ყველა სტუდენტი დღეს ფოფხაძის მხარეს იჭერს და 19 თებერვლამდე, თუკი დეკანი უნივერსიტეტში კვლავ არ დაბრუნდება, აუდიტორიებში ლექციებზე დასასწრებად შესვლას არ აპირებს.

თიკო ნობაძე, მაგისტრატურის

ლური მხარის მოწვევებებზე რომ არაფერი ვთქვათ, სასწავლო პროგრამა დაიხვეწა – კომპიუტერი რას წარმოადგენდა, ნორმალურად არც ვიცოდით, დღეს კი ძალზედ საჭირო და საინტერესო პროგრამების შესწავლის საშუალება გვაქვს. ბოლოს და ბოლოს, დამოუკიდებელ აზროვნებას და

სტატიებსა და სტუდენტთა აქციის შესახებ თავის პოზიციას არ გამოხატავს.

პარმენ მარგველაშვილი, უნივერსიტეტის პრორექტორი:

– ის, რომ სტუდენტები საპროტესტო აქციას აწყობენ, მათი უფლებაა. ყველას აქვს უფლება, გამოხატოს თავისუფალი ნება. რექტორატისთვის სასწავლო პროცესის ჩაშლა მოსაწონი სულაც არ არის, სამწუხაროდ, მათ საკუთარი პოზიციის გამოხატვის სწორი ფორმის შერჩევა არ იციან, თუმცა ეს მხოლოდ მათი ბრალი არ გახლავთ. დღეს მთელი ჩვენი საზოგადოება ასეთია. სტუდენტებს შეეძლოთ პროტესტი ლექციების შემდეგაც გამოეთქვათ, მაგრამ რექტორატი მათ ამის გაკეთებას ვერ უბრძანებს, რადგან სწავლა ნებაყოფლობითია და განათლების მიღება-არმიღების საკითხი თითოეული ადამიანის გადასაწყვეტია.

რაც შეეხება რექტორატის პოზიციას, ვფიქრობ, ამ კონფლიქტში ჩვენი ჩართვა უნივერსიტეტის ღირსებას არ შეეფერება. უნივერსიტეტი სადამზრდელო დაწესებულებაა, რომლის ვალია, პოზიტიური მაგალითებით ეხმაურებოდეს საზოგადოების გამოძახილებს. დღეს უძრავლესობა გამაღიზიანებელი, მკვანხე სიტყვებითა და შეძახილებით იწონებს თავს, რასაც ჩვენ ვერ ავყვებით – ხალხს გინების ნიმუშს ხომ არ ვაჩვენებთ?

– სტუდენტები ნუგზარ ფოფხაძეს რეფორმატორ დეკანს უწოდებენ, რის ნიმუშადაც, სხვა მაგალითებთან ერთად, „ქართიას“ ასახელებენ. თქვენ რას ფიქრობთ ამ დოკუმენტზე?

– „ქართია“ წავიკითხე და ვთვლი, რომ მისი შემუშავებით ფაკულტეტის განვითარებასა და სტუდენტთა აზროვნებაში პროგრესი ნამდვილად შეინიშნება, აქ, ძირითადად, გამოხმაურება „სექსუალური ორიენტაციის“ საკითხმა გამოიწვია, რაც მიმაჩნია, რომ მსჯელობის საგანი მართლაც უნდა გახდეს.

– ფოფხაძის მონინალმდებელი თვლიან, რომ ყურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანი მეცნიერი, დოცენტი უნდა იყოს, რა

ტიტულიც მას არ გააჩნია...

– დეკანის ან სხვა თანამდებობის პირის დანიშვნა და შერჩევა, საერთოდ, უნივერსიტეტში მოქმედი კოდექსის მიხედვით ხდება, სადაც მართლაც არის აღნიშნული, რომ ამა თუ იმ ფაკულტეტის დეკანი, დოცენტი მაინც აუცილებლად უნდა იყოს. რაც შეეხება ნუგზარ ფოფხაძეს, იგი ოფიციალურ არჩევნებამდე, საკუთარი ინიციატივით, დროებით უნივერსიტეტის რექტორმა დანიშნა. იმავე კანონში აღნიშნულია, რომ რექტორს უფლება აქვს, თანამდებობაზე პირის დანიშვნასთან დაკავშირებით ერთპიროვნულად მიიღოს გადაწყვეტილება. ვარდა ამისა, დეკანის სრულფასოვნებასა და ავტორიტეტს მართლაც დოცენტობა არ მეტყველებს, არსებობს ბევრი სხვა კრიტერიუმი, რითაც, შესაძლოა, იგი შეფასდეს. თანაც, ამ კანონებსა და კოდექსებს უნივერსიტეტი ადგენს და, ბოლოს და ბოლოს, მას ცვლილებების შეტანის უფლებაც აქვს.

– როგორც შევითყვევთ, ყურნალისტიკის ფაკულტეტის ზოგიერთი ლექტორი, ნუგზარ ფოფხაძის დეკანად არდაბრუნების შემთხვევაში, უნივერსიტეტიდან წასვლით იმუქრება...


– საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩანაცვლების პრაქტიკაც არსებობს, რაც პრობლემას არ წარმოადგენს. თუ ვინმეს დისკომფორტი შე-

ექმნა, შეუძლია წავიდეს, ეს მისი გადასაწყვეტია. თუმცა, ყველამ უნდა გაითავისოს, რას წარმოადგენს სასწავლო პროცესი, მისი შენარჩუნება და ნორმალური ტემპით მსვლელობა ისეთ ქვეყანაში, სადაც უამრავი პრობლემა არსებობს. საგანმანათლებლო სისტემა სახელმწიფოს ხერხემალია და საზოგადოების სულიერი განათლება, მისი აღზრდა უნდა იყოს თითოეული ლექტორ-მასწავლებლის ვალი და, უპირველეს ყოვლისა, სურვილი.

ის ლექტორები, რომლებიც უნივერსიტეტიდან ნუგზარ ფოფხაძის წასვლის შემთხვევაში, სტუდენტთათვის ლექციების წაკითხვაზე უარს ამბობენ, ჯერჯერობით თავიანთი ვინაობის დასახელებისგან თავს იკავებენ. როდესაც მათი სახელების გარკვევა ვცადეთ, დეკანატში შეკრებილმა ლექტორებმა განაცხადეს, ფართო საზოგადოებისთვის ჩვენი სამზარეულოს გაცნობა არ გვსურსო.

19 თებერვლის არჩევნებში დეკანის თანამდებობაზე სამი კანდიდატურაა დასახელებული: დიანა ტყეშუჩავა (დოცენტი), თამაზ ჯოლოგუა (დოცენტი), ნუგზარ ფოფხაძე (მეცნიერებათა კანდიდატი). რაც შეეხება ნოდარ ტაბიძეს, იგი დეკანობაზე, ამჯერად, ოფიციალურად პრეტენზიას არ აცხადებს. არჩევნებში სტუდენტები მონაწილეობას არ იღებენ, კანონის შესაბამისად, ამაზე უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ უნდა იმსჯელოს. ხოლო რას გადაწყვეტს რექტორატი და შეცვლის თუ არა ის კოდექსის ზოგიერთ მუხლს, მომავალი გვიჩვენებს.

სხვათა შორის, იმასაც ამბობენ, რომ ნუგზარ ფოფხაძეს უნივერსიტეტის რექტორის სავარძლისკენაც უჭირავს თვალი, დეკანობა კი მას, უბრალოდ, ტრამპლინად სჭირდება. თუმცა, სინამდვილეში ფოფხაძე გულში რას ფიქრობს, ჩვენთვის ჯერ-ჯერობით საიდუმლოდ რჩება. ის ყურნალისტებთან შეხვედრაზე კატეგორიულ უარს აცხადებს.



TBC ჯგუფი, ბანკი, მოგვიანებით კი „ბორჯომი“ — ასე დაიწყო 23 წლის მამუკა ხაზარაძის საქმიანობა... 10 წელი გავიდა და დღეს ის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ბიზნესმენია. სხვებისაგან განსხვავებით, პოლიტიკას — ბიზნესსა და საზოგადოებრივ ასპარეზზე მოღვაწეობა ამჯობინა. როგორც თავად ამბობს, ახლა მას ორი უმთავრესი საზრუნავი აქვს — ოჯახი და ბიზნესი. მიაჩნია, რომ მწვერვალზე ჯერ არ ასულა და მხოლოდ შუა გზაშია...



დიდ ბიზნესში უნდა „სუპერზე“ ვერ ივლი

ნათია გობსაკი

— მე და ირინა (მეუღლე) მე-5 კლასიდან ერთად მოვდივართ. თუმცა, გადაწყვეტილება საკმაოდ გვიან მივიღეთ — უკვე 21 წლისანი ვიყავით, როდესაც ვიქორწინეთ. ყველაფერი ქართული ტრადიციისამებრ წარიმართა: ნიშნობა, ქორწილი. სხვაგვარად არ შეიძლებოდა, ჩემს სიმამრს ვერ ვაკადრებდი, რომ ქუჩიდან წავსულიყავით...

— 14 თებერვალს ვალენტინობა — სიყვარულის დღეა. საქართველოში ორიოდ წლის წინ დაიწყო ამ თარიღის აღნიშვნა. თქვენთვის თუ ნიშნავს რამეს ეს დღე?

— მართალი გითხრა, ვალენტინობას ჩვენს ოჯახში არა აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა. ეს იმდენად ახალი დღესასწაულია, რომ ჯერჯერობით ვერ გავითავისეთ, შესაბამისად ვერც განწყობას გვიქმნის. ამერიკელებისთვის კი ეს მართლაც დიდი რიტუალია. ამ დღისთვის საგანგებოდ ემზადებიან და საჩუქრებსაც უძღვნიან ერთმანეთს.

მამუკა ხაზარაძის მეუღლე პროფესიით გეოლოგია, მაგრამ არასოდეს უმუშავია. ინსტიტუტის დამთავრებ-

ისთანავე პირველი შვილი — ანა გაუჩნდა და ახალგაზრდა დედის დრო და ყურადღება მთლიანად მისმა პირმშომ დაისაკუთრა.

— ანა რომ დაიბადა, მაშინ შევქმენი TBC ჯგუფი, — ამბობს მამუკა ხაზარაძე. — ნიკუმას გაჩენისას, ბანკი გავხსენით, ხოლო როდესაც პატარა ელენიკო მოველინა ამ ქვეყანას, სულ მალე 25 მილიონიანი ინვესტიცია მოვიზიდეთ „ბორჯომისთვის“.

— სპეციალურად ხომ არ ამთხვევდით ამ მოვლენებს?

— არა, არ მიფიქრია. ყველაფერი თავისთავად ხდებოდა... (იცინის)

— ქალბატონო ირინა, თქვენ თანაკლასელები იყავით, როგორ გამოხატავდა მამუკა სიყვარულს?

ირინა:

— სიყვარულსა მალეა უნდაო, ხომ გავიგიათ? მამუკას მოქმედებებით ვხვდებოდი ჩემდამი მის დამოკიდებულებას. სხვათა შორის, ნახაზებს მიკეთებდა ხოლმე, მე კი ლექსებს ვკარნახობდი. ისე, ჩემი დახმარება არ დასჭირვებია — კარგად სწავლობდა.

საერთოდ, მამუკა ძალიან კარგი მეუღლეა — თბილი, ყურადღებიანი, ჩვენი ურთიერთობა ისეთივე უშუა-

ლოა, როგორც თავდაპირველად იყო. ამ ბოლო დროს ძალიან გვენატრება ხოლმე — დილით საუზმეზე ვხვდავთ 5 წუთით, შემდეგ კი მიდის. შაბათ-კვირას კი ჩვენთანაა.

— ბავშვების აღზრდაში თუ მონაწილეობს?

— ყოველდღიურობაში ნაკლებად არის ჩართული, მაგრამ რაც შეეხება სეირნობას, კინოში, თეატრში წასვლას — სულ ერთად დავდივართ. ზემეტად მკაცრი მამა არ არის, მაგრამ საკმაოდ მომთხოვნია. როგორი შრომისმოყვარეც თვითონ არის, ასეთები უნდა, რომ იყვნენ მისი შვილებიც. კვირაობით ეკლესიაში დავდივართ. ჩვენი მოძღვარი, მამა შიო, შვენაბადას მონასტერშია. ყოველ წირვას სრული შემადგენლობით ვესწრებით ხოლმე.

— ბავშვობაში ერთ მერხზე რომ ისხედით, იფიქრებდით, რომ მამუკა ასეთი დიდი ბიზნესმენი გახდებოდა?

— ის ყოველთვის მიზანდასახული და ბეჯითი იყო. წარმატებებს რომ მიაღწევდა, ეჭვი არ მეპარებოდა. თუმცა, თავდაპირველად ბიზნესზე ორიენტირებული არ იყო. ამ ბოლო დროს ძალიან დაძაბული რეჟიმი აქვს, მაგრამ სახლში სამსახურის პრობლემებზე არ საუბრობს. ამბობს, ყოველგვარი უსიამოვნება გარეთ რჩება და ოჯახში ბედნიერი ვარო.

ბავშვებთან, ფაქტობრივად, სულ მე ვარ. პირველი ორი შვილი მე თვითონ გავზარდე. რა თქმა უნდა, ჩვენი მშობლებიც გვეხმარებოდნენ. ელენე რომ გაჩნდა, საქმესთან მარტო გამკლავება გამიჭირდა და ძიძა ავიყვანეთ. 2 წლის ისე გახდა, არ ლაპარაკობდა. ძალიან შეშფოთებულები ვიყავით. მერე კი უეცრად ამოიღგა ენა. ახლა რუსულსაც და ქართულსაც ერთნაირად „ფლობს“. ლექსების თქმას რომ დაიწყებს, ვეღარ ვაჩერებთ.

ძალიან მიყვარს სამზარეულოში ტრიალი, მსიამოვნებს, როდესაც ჩემს შვილებს და მეუღლეს მე თვითონ ვუმზადებ საჭმელს. ბავშვებსაც ასე ურჩევნიათ.

— ბატონო მამუკა, თქვენ რა შეხება გაქვთ სამზარეულოსთან?

მამუბა:

ბევრი არაფერი მეხერხება. სიმამრთან ერთად ბარბეკიუს ვწვავ კარგად. ესეც ორიოდ წლის წინ ვისწავლე, თორემ თავს ვერაფრით მოვიწონებდი.

ბიზნესში აქტიურად ჩაბით, ხართ „ახალი მოძრაობის“ თავმჯდომარე, ძალიან დატვირთული და დაძაბული ცხოვრება გაქვთ, დიდი პასუხისმგებლობაც. ამ ფონზე ხომ არ ფიქრობთ, რომ პიროვნული თავისუფლება დაკარგეთ?

— არა, პირიქით. ამჟამად ჩემი საქმე მაქვს, სადაც გადაწყვეტილებას თვითონ ვიღებ. რაღა თქმა უნდა, პასუხისმგებლობა ძალიან დიდია, დღეს მე იმას ვეღარ გავაკეთებ, რასაც 10 წლის წინ. ახლა ჩემ ირგვლივ უამრავი აღამიანია. რაც უფრო შორს მივდივარ, მით უფრო მეტი სიმძიმე მაწვება. მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც მინდა ვთქვა, რომ ბიზნესში, თავისუფლების საქმეებზე ვწავლი.

როდესაც ტექნიკური უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი დავამთავრე, როგორც წარჩინებული სტუდენტი, კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგედ გამანაწილეს და 8 თანამშრომელი ჩამაბარეს. სამი თვის მანძილზე იმდენი

ყავა დამალევენეს, რომ მას შემდეგ საბოლოოდ შემშუღდა... მივხვდი, რომ იქ ჩემი ადგილი არ იყო. მაშინ იქმნებოდა კოოპერატივები და 1989 წელს ჩამოვყალიბეთ პირველი ფირმა. გვიწოდდა, სურათები გაგვეტანა საზღვარგარეთ, მაგრამ მივხვდით, რომ ამით ბიზნესი არ გამოვიდოდა. ხელოვნებაში დიდი ფული უნდა ჩაიღოს.

გავხსენით ჭავჭავაძეზე სალონი, რომელიც დღესაც ფუნქციონირებს. დიდ ბიზნესში, რაღა თქმა უნდა, მხოლოდ შენს „ხუმტურზე“ ვერ ივლი — ყველაფერი სამეთვალყურეო საბჭოში წყდება, მაგრამ ასეთ დროს მიდის იდეების ჭიდილი და ეს პროცესი ძალიან სასიამოვნოა. ეს თავისუფლების შეზღუდვას სულაც არ ნიშნავს. შინაგანად თავისუფალი ვარ, რადგან ნებისმიერ დროს, რაც არ უნდა მოხდეს, მე შემიძლია ნულიდან დავიწყო.

ამ ბოლო დროს საკმაოდ დიდი კამპანია დაიწყო თქვენს წინააღმდეგ. როგორ ხვდებით ასეთ წინააღმდეგობებს?

— ბოლო დროს ასეთ რაღაცებს მშვიდად ვხვდები — რელიგია მეხმარება. ხშირად შეურაცხყოფასაც მაყენებენ, მაგრამ ვცდილობ, წონასწორობა არ დაკარგო. ღმერთი ხელავს ყველაფერს, უფალი თავად განსჯის მტყუან-მართალს, ამიტომ აღარც ვბრაზდები და არც პასუხს ვთხოვ ვინმეს.

თქვენს სოფელში ეკლესიას აშენებთ...

— ეკლესიას სამტრედიის რაიონის სოფელ ბაშში ვაშენებ. იქ წინათ 5 ტაძარი ყოფილა, მაგრამ არც ერთი არ არის შემორჩენილი.

ქალბაგონი ირინა და ოჯახის ნაბოლარა — ელენიკო



მთელი ოჯახით გელევიზორთან

ძალიან მიყვარს ჩემი სოფელი, რადგან იქიდან ყოველთვის დადებითად დამუხტული ჩამოვდივარ. იქ ხალასი ურთიერთობებია და თავისუფლად, ლაღად გაგრძნობინებს თავს.

მინდა, ჩემი შვილები ხშირად ჩავიდნენ იქ და მამაპაპისეული ფესვები არ დაკარგონ. ხაზარაძეებს საკმაოდ დიდი გვარი აქვთ, ჩემმა ბიძაშვილებმა და მე ბიზნესი შევქმენით ერთად. ამიტომ გადავწყვიტე, ჩემს სოფელში ეკლესია ამეშენებინა. ალბათ ამ ზაფხულს, 28 აგვისტოს გავხსნით. ეს იქნება ღვთისმშობლის მიძინებისა და წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარი.

თქვენ ჰარვარდის უნივერსიტეტში სწავლობდით, რა პროგრამა გაიარეთ?

— ჰარვარდში 1998-2000 წლებში ვსწავლობდი, სპეციალური პროგრამა იყო კომპანიების პრეზიდენტებისთვის. ჰარვარდში სწავლება ამა თუ იმ კომპანიის განვითარების, წარმატებების ან გაკოტრების კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით ხდება. ერთგვარი სიამაყით მინდა ვთქვა, რომ ერთ-ერთ ასეთ სასწავლო მაგალითად ჩვენი კომპანიაც განიხილება. ის ერთადერთია მთელ დსთ-ის სივრცეში, რომლის შესახებაც ჰარვარდში იციან... 3 წლის მანძილზე ჰარვარდის სტუდენტებს ვხვდებოდი. ისინი მისვამდნენ შეკითხვებს და მე ვპასუხობდი.

ჰარვარდში ძალიან მიმიყვარდა, დღე-ღამეში, ფაქტობრივად, მხოლოდ 4 საათი გმინავს. ერთ-ერთი გასართობი, ინტერნეტში ჭადრაკის თამაში იყო. კომპიუტერით თვალყურს ვადევნებდი სხვების ანგარიშებს



და პარტნიორს ვარჩევდი. ქართველის მაქსიმალისტური ბუნების ამბავი ხომ იცით – ჰოდა, გადავწყვიტე, ჩემპიონთან მეთამაშა. 2 დღის მანძილზე გამუდმებით და დაჟინებით ვთხოვდი ჩემთან საასპარეზოდ გამოსვლას. არადა, ჩემ შესახებ არავითარი ინფორმაცია არ იყო, ისიც თავს არ მიყადრებდა. ბოლოს, როგორც იქნა, დამთანხმდა. ჩემდა გასაოცრად, მოვუგე. ამის შემდეგ 3 თვის მანძილზე აქეთ მეხვეწებოდა, კვლავ შევჭვიდებოდი, მე არაფრის დიდებით არ დავთანხმდი. ახლა კი ჩემი ნიკუშა მიგებს ხანდახან. საერთოდ, მათემატურიკური ნიჭი აქვს, ჭადრაკზეც დაგვყავს – უკვე თანრიგოსანია.

მამუკა ხაზარაძის უფროს ქალიშვილს, ანას რომ ესაუბრები, გგონია – შენ წინაშე 10 წლის გოგონა კი არა, ჩამოყალიბებული პიროვნება დგას. ანა განსაკუთრებული სიმძინებით იხსენებს იმ დღეს, როდესაც მამამ სკოლაში მიაკითხა. ძმისაგან განსხვავებით, ის ჰუმანიტარულ საგნებში უფრო ავლენს ნიჭს: არაჩვეულებრივად ხატავს, უამრავი სურათი აქვს, ბიბლიური და მითოლოგიური სიუჟეტების მიხედვით.

ანა:

– ჩვენთან ახლოს ცხოვრობდა ცნობილი მხატვარი ანა მატაბელი. ვუყურე, როგორ აწებებდა მუყაოს ქალღმერთებს ფიგურებს და როგორ იქმნებოდა გამოსახულება. სახლში გამოვიქეცი და მაშინვე დავიწყე იგივეს კეთება: ღვთისმშობლის ხატი, ჰერკულესის სახე შევქმენი. შარშან გეკონდა გამოფენა, ალბათ წელსაც მოვაწყობ საკუთარი ნამუშევრების ჩვენებას და აუცილებლად დაგპატიჟებთ.

— ყველაზე დიდი საჩუქარი რა გახსოვს მამისაგან?

– ამ ახალ წელს მამამ კათალიკოს-პატრიარქთან წავგიყვანა. ეს სასწაულს ჰგავდა და მიხარია, რომ ოცნება ამიხდა. მამას, დაბადების დღეს წერილი მივწერე, სადაც ჩემი ნატვრა გავუზიარე – ნეტავი, ყველა უპატრონო ბავშვს შენნაირი მშობელი ჰყავდესმეთქი. ეს რომ წაიკითხა, მადლობა გადამიხდა – რა კარგი იდეა მომავლოდ და უდღემამო ბავშვებისთვის საჩუქრების დარიგება დაიწყო. მიხარია, რომ მამა ბავშვებს ეხმარება.

— თქვენ ძალიან კარგად უკრავთ და მღერით. პროფესიული მუსიკალური განათლება თუ გაქვთ?

მამუშპა:

– არა, მუსიკალურ სკოლაში მხოლოდ 4 წელიწადი ვისწავლე. შემდეგ გიტარაზე დაკვრას დავუფლესკოლაში „ბენდი“ ჩამოვაყალიბეთ. ერთხელ ფესტივალშიც მივიღეთ მონაწილეობა. პოლიტექნიკურ ინსტიტუტში კი კაპელაში ვმღეროდი.

— ბატონო მამუკა, რაზე ოცნებობთ?

– მინდა, საქართველო ჰგავდეს შვეიცარიას, მისი ყველა მოქალაქე მდიდარი იყოს. ჩვენ ამის პოტენციალი გვაქვს.

— პოლიტიკაში მისვლას არ აპირებთ?

– იცით, რა, თუკი პოლიტიკაში მისვლას დავაპირებ, მაშინ სრულიად გამიჯნული უნდა ვიყო ბიზნესისაგან. როცა ჩავთვლი, რომ იმ სფეროში, სადაც დღეს ვარ, თავი ამოვწურე, მხოლოდ მაშინ წავალ. რადგან ძალიან საინტერესოა, როდესაც რაღაც მიზანი გაქვს და მის მისაღწევად იღვწი. დაპყრობილი სიმაღლე ხომ ინტერესს კარგავს – მე კი ჯერ შუა გზაზე ვარ და, მიზანს რომ მივალწევ, ალბათ მაშინ მოვიხდომებ ბიზნესიდან წამოსვლას.

— კონკრეტულად რა მიზნები გაქვთ?

– მინდა, „ბორჯომი“ ტრანსნაციონალური სასმელი გახდეს. ეს იმას ნიშნავს, რომ, რომელ ქვეყანაშიც არ უნდა წახვიდე და „ბორჯომი“ მოითხოვო, მაშინვე მოგიტანენ და კითხვას არ დაიწყებენ – ეს რა არისო, ისე, როგორც „კოკა-კოლა“ იცის ყველამ. საკმაოდ რთული ამოცანაა... რაც შეეხება ბანკს, სამ წელიწადში TBC – ყველაზე დიდი ბანკი იქნება მთელ კავკასიაში. თუ ქვეყანაში ფინანსური სტაბილურობა შევინარჩუნეთ, ამის მიღწევა ძნელი არ იქნება.

— მოკლედ, ყველაზე დიდი აზარტი თქვენთვის საქმე და ოჯახია, არა?

– რაღა თქმა უნდა. ხომ გაგიგონიათ – დილით სამსახურში უნდა მიგეჩქარებოდეს და საღამოს – სახლშიო. ■



ბრძენ უცვლელ დამოკიდებულება

● ცოლქმრულ ურთიერთობაში დაუშვებელია, ბავშვების თანდასწრებით ერთმანეთისთვის შენიშვნების მიცემა: უთანხმოების გამჟღავნება უეჭველად ავნებს ორივეს ავტორიტეტს.

● აუდიტორიის წინაშე გამოხვლისას, მთავარია, სწორად „განაწილოთ“ სუნთქვა – ყოველი ფრაზის წინ ეცადეთ, ჰაერი ღრმად (და, ცხადია, მსმენელთათვის შეუმჩნეველად) ჩაისუნთქოთ.

● კარგი ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად, ერთ-ერთი საუკეთესო ვარჯიში ცურვაა, მაგრამ თუ აუზზე რეგულარული სიარულის საშუალება არა გაქვთ, სჯობს, სირბილს მიჰყოთ ხელი, ოღონდ, ნუ გაგიტაცებთ გრძელი დისტანციები – მოკლე გადარბენები უკეთეს შედეგს მოგიტანთ.

● ტელევიზორის ყურებისას სპეციალისტები გვირჩევენ, დროდადრო, წამიერად თვალი მოვწყვიტოთ ეკრანს, ამასთან, უმჯობესია მონიტორს ოდნავ ზემოდან ვუყუროთ.

● სამსახურში, უფროსი ხართ თუ ხელქვეითი, ყოველთვის, არ დაიშუროთ კომპლიმენტები ქალებისათვის და გულისხმიერი სიტყვები მამაკაცებისთვის – „მიკროკლიმატი“ საუკეთესო გექნებაც და „სამსახურებრივი“ იმიჯიც.

● ქმრის საქმიანობით დაინტერესებულ ცოლს აუცილებლად სჭირდება „სამსჯელო მასალა“, ამიტომ კითხვაზე – რა არის ახალი სამსახურში? – არასოდეს უპასუხოთ მოკლედ – არაფერიო... ■



საქართველოში ენერგეტიკული კრიზისი რომ ხელოვნურად არის შექმნილი, ამას მრავალი ფაქტორი მონაშთს. თუნდაც ის, რომ ქვეყანაში, სადაც განახლებადი ენერჯის წყაროების სიჭარბეა, არ ხდება მათი ეფექტურად გამოყენება. საინტერესოა, არსებობს თუ არა საქართველოში განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენების კონკრეტული პროექტები? ვცდილობთ თუ არა, ჩვენ ციდან მზის უხვად გამოღწერილი ენერჯის ათვისებას და პრაქტიკულად გამოყენებას? ამ კითხვებით ენერგეტიკის ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის ნევერს, ნუშზარ მელბაძის მივმართეთ.

როგორ შეიქმნა მზის ენერჯის

ეკა ლომიძე

— საქართველოში, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს მუშაობდნენ მზის ენერჯის გამოყენებაზე. 1984 წელს შექმნილ ორგანიზაციაში — „სპეცკვლიო თბომონტაჟში“ მზის თბური კოლექტორების კონსტრუირება ხდებოდა და ქართველი სპეციალისტები კავშირის მასშტაბით ნერგავდნენ ამ სისტემებს. 140000 კვ.მეტრი თბური ფართის ჰელიოწყალგამაცხელებელი 15 წელია მოქმედებს საქართველოშიც და რუსეთის ფედერაციაშიც. 1999 წლის სექტემბერში კი თბილისში რძის კომბინატში ორკონტურაიანი მზის წყალგამაცხელებლის სისტემა დაინერგა. 80 კვმ ფართზე დამონტაჟებული მზის კოლექტორები დღეში 5 ტონა წყალს აცხელებს ზამთარში — ე.ი. მაშინ, როცა მზის ნათების დროს ტემპერატურა 0 გრადუსია, კოლექტორი 40 გრადუსამდე აცხელებს წყალს.

— წყლის გაცხელების გარდა, სხვა რა სარგებლობა მოაქვს მზის ენერჯის გამოყენებას მომხმარებლისა და სახელმწიფოსთვის?

— დასახელებული დანადგარი წელიწადში 50000 კვტ/სთ ელექტროენერჯის ზოგავს. მზის წყალგამაცხელებლის

დამონტაჟებაზე დასარჯული თანხის გარდა, მომხმარებელს 10-15 წლის განმავლობაში ფინანსური ხარჯები არა აქვს, არ სჭირდება არანაირი სხვა სათბობი საშუალება. სისტემა მზის ამოსვლისთანავე იწყებს მუშაობას. წყალი რამდენიმე წუთში თბება. დამით კი, გამთბარ წყალს იზოლირებული ავზი ინახავს.

— მარტო წყლის გასათბობად შეიძლება მზის ენერჯის გამოყენება, თუ გათბობისა და ელექტროენერჯის მისაღებადაც?

— ყველაფერი კაპიტალდაბანდებაზე დამოკიდებულია: მზის კოლექტორები გათბობის სისტემისათვისაც შეიძლება დამონტაჟდეს. ამჟამად, კიბერნეტიკის ინსტიტუტში მუშაობენ ჰელიოპტიკურ კონცენტრატებზე, თხელ ფირფიტებზე. მათი მეშვეობით წყალი მზეზე გაცხელდება და 200 °C-ზე წარმოქმნილი ორთქლით ტურბინებს ამუშავებს, შემდეგ კი მზის თბოელექტროსადგურების გაკეთებასაც შეუძლებთ. „ჟინარის“ ხელმძღვანელი ანზორ ღუნდუა ახლანა მუშენებოდა — პირდაპირ ტბის თავზე დავდგამ კოლექტორებს და ელექტროენერჯის მივიღებ — დღისით მზის ენერჯის დავხარჯავ, დამით კი წყლისასო. ეს შესაძლებელია. მზის ენერჯია მარტო ცხელი

წყლით და გათბობით უზრუნველყოფისათვის რომ გამოვიყენოთ, საქართველო წელიწადში 1 მლრდ-ნახევარ კვტ/სთ ელექტროენერჯის დაზოგავს.


— მოსახლეობისთვის რამდენად ხელმისაწვდომი იქნებოდა, ამ გზით რომ მიეღო ცხელი წყალი და გათბობა?

— ერთ ოჯახს ცხელი წყლით მომარაგებისთვის 4 კვმ ფართის თბური სისტემა ეყოფა, რაც 400-500 ლოლარი დაუჯდება. საქართველოში სახლების სახურავებზე რომ დადგა კოლექტორები, ენერგეტიკული კრიზისი საგრძნობლად შემცირდება. საერთაშორისო ფონდებს ვთხოვთ, ფინანსურად დაეხმაროს მოსახლეობას და თუ ამ გზით ცხელი წყლით მომარაგების საკითხი მოგვარდა, დიდი საქმე გაკეთდება.

— ალბათ დანადგარებს, ტექნოლოგიებს თბური სისტემისათვის უცხოეთში შეიძენთ?

— არა, რას ამბობთ?! საქართველოში შესანიშნავი სამეცნიერო და პრაქტიკული სკოლა არსებობს იმისათვის, რომ ჩვენ თვითონ შევქმნათ და დავამონტაჟოთ სისტემები. რძის კომბინატის პროექტი, როგორც საცხელი და დაკვირვების ობიექტი, ფრანგებმა დააფინანსეს და ალტაცება გამოთქვეს ქართველი სპეციალისტების მიერ შესრულებული ნამუშევრის გამო. თავის დროზე, განახლებადი ენერჯორესურსების ათვისებასა და გამოყენებაზე რომ დახარჯულიყო საერთაშორისო ინვესტიციები და კრედიტები — რაც უკვე თეორიულად არის

ნუგზარ მელაძე





გაკეთებული, ყოველივეს პრაქტიკულად და დაენერგავდით და სამეცნიერო თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანი შედეგები გვექნებოდა.

ახლა კი ქართველი მეცნიერები ისეთ პროექტებზე მუშაობენ, რაც მხოლოდ ოჯახის სარჩენ ფულს მოუტანთ და არა სახელს ან ფინანსურ უზრუნველყოფას. ეს კი მნიშვნელოვან აზარალებს ქვეყნის ეკონომიკასაც და ენერგეტიკასაც.

სახელმწიფო არც ასეთ მნიშვნელოვან პროექტებს აფინანსებს?

— თუ პრეზიდენტი არ ჩაერია ჩვენი პროექტების განხორციელებისათვის აუცილებელ ღონისძიებებში, არაფერი გამოვა. საქართველო პოლიტიკურად არასტაბილური ზონაა და აქ დაბანდებული უცხოური კაპიტალისათვის უსაფრთხოების გარანტია, პრეზიდენტის გარდა, არ არსებობს. ჩვენში გაბატონებული კორუფციის გამო, უცხოელი ინვესტორები სულ უფრო ნაკლები ნდობით გვიცქერნენ. ხელისუფლების წარმომადგენლები კი ქვეყნის ეკონომიკასა და ენერგეტიკაზე არ ფიქრობენ. ამიტომაც აღარ გვაქცევს საერთაშორისო საზოგადოებრიობა ყურადღებას, არადა, საქართველო მზად არის, ენერჯის განახლებადი წყაროების სხვადასხვა სახეობის ასათვისებელ, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოსაცდელ პოლიგონად იქცეს.

ეი. გვაქვს შანსი, სპეციფიკური პროდუქციით გავიდეთ საერთაშორისო ბაზარზე?

— რა თქმა უნდა. ამჟამად მხოლოდ იაპონიასა და საქართველოში მუშაობენ ტექნოლოგიებზე, რომლებიც 10-15 წლის შემდეგ მასობრივად დაინერგება პრაქტიკაში. მაგალითად, ავტომანქანის აკუმულატორის ზომის მზის აკუმულატორში, მასზე

100-ჯერ მეტი ენერჯია დაგროვდება, რაც ორი თვის განმავლობაში უზრუნველყოფს ერთ ოჯახს. კიბერნეტიკის ინსტიტუტში მომავლის პროექტებზე ერთუზიასტები მუშაობენ, მაგრამ მარტო ერთუზიაში საკმარისი არ არის კარგი შედეგების მისაღწევად.

უცხოეთში რამდენად ფართოდ იყენებენ მზის ენერჯის ტექნოლოგიებს?

— იაპონიასა და ჰოლანდიაში უკვე ამუშავებენ ავტომანქანებსა და ძრავიან ნაგებს მზის ენერჯიაზე, მაგრამ მათ, დასახვეწად სწორედ ზემოთ ხსენებული აკუმულატორები სჭირდება, ამიტომაც უნდა დაფინანსდეს ჩვენი მეცნიერული პროექტები, რომ არა მარტო ენერგეტიკული რესურსები გამოვიყენოთ, არამედ ინტელექტუალურიც.

ბატონო ნუგზარ, ეს ყველაფერი მაგრამ შეიძლება მზის ენერჯის გამოყენებისთვის საჭირო კოლექტორებში რადიაციული ფონი გააუარესოს?

— არა, რას ამბობთ?! მზის ენერჯის გამოყენება პირველ რიგში ეკოლოგიურად უსაფრთხოა. მზის სხივები უქმად არ იკარგება — წყალს აკეთილშობილებს. ხელს არ უწყობს ატმოსფეროში ნახშირორჟანგის დაგროვებას და დედამიწაც იოლად გრილდება. ოდითგანვე ცნობილია, რომ ბავშვებს, გაკაყუბის მიზნით, დედები მზით გამოთბარ წყალში ბანდნენ. მზე წყალს აკეთილშობილებს. დოლაბაურის ქუჩაზე მდებარე აბანოში წლების წინ დავამონტაჟეთ გათბობის სისტემა. ახლანა მისულებს აბანოში ძალიან ცუდი მდგომარეობა დაგვხვდა. არ გვევონა იქ გამეფებული ანტისანიტარიის პირობებში ვინმე თუ მივიდოდა საბანაოდ, მაგრამ სულ მოსუცებით იყო სავსე; თურმე მზით გამოთბარი წყლის გამო მოდიან — მზეს ყველაზე სასარგებლო ენერჯია აქვს, ამიტომ სწორედ მის მოხმარებაზე მოუწევს კაცობრიობას უახლოეს მომავალში გადასვლა, რადგან აუცილებლად უნდა შეწყდეს მანვე ენერგომატარებლების წვა — მზე, ქარი, წყალი და სხვა განახლებადი ბუნებრივი რესურსები კი ადამიანის სამსახურში ჩავაყენოთ.

ერთგული კითხვები

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გამახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტექსტის კითხვებზე გავიჭირდებით პასუხის გაცემა...

1. რა იყო სავალდებულო ლონდონში ჩასული საბჭოთა ტურისტებისთვის?



- ა) გაზუთ „პრავდის“ დემონსტრაციულად კითხვა;
- ბ) კარლ მარქსის საფლავის მონახულება;
- გ) საბჭოთა წყობის საჯაროდ ქება.

2. რა შიარქვის გავშვობაში ევგენი მიქელაქის?



- ა) „ყვინჩილა“;
- ბ) „აბეზარა“;
- გ) „ტოროლა“.

3. ვინ იყო პეტიარგურის უნივერსიტეტის პირველი ქართველი სტუდენტი?



- ა) ილია ჭავჭავაძე;
- ბ) ალექსანდრე ორბელიანი;
- გ) სოლომონ ლოდაშვილი.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

უსიყვარულოდ არს კარლაშენიძე შეუძლიათ სუნთქვა

საგაზაფხულო სესიის გახსნისას პარლამენტის წევრთა განწყობას „სასიყვარულო“ არაფერი ეცხო. ალბათ ამის გამო, მიუხედავად პარტიულ-ფრაქციული კუთვნილებისა, პოლიტიკურმა ელიტამ „ვალენტინობა — სიყვარულის დღე“ ქართულ ცხოვრებაში უცხო ელემენტის შემოჭრად შეაფასა. ზოგიერთებისთვის იგი ცუდია, რადგან ასეთი დღესასწაული ქართული ტრადიციებიდან უნდა იყოს აღმოცენებული, ზოგიერთებისთვის კი, არა უშავს, „ნუ იქნება ოღონდ ბუნტი!“ თუმცა დიდაქ-

ტიკისაკენ გარკვეული მიდრეკილების მიუხედავად, ქართველი პოლიტიკოსები სამხრეთულ ტემპერამენტს მაინც ვერ მალავენ.

სიყვარულზე მხოლოდ გია მეფარიშვილი და აკაკი ასათიანი მოერიდნენ საუბარს. ერთს მძიმე გამოცდა აქვს — გენერალურ პროკურორად დანიშნვასთან დაკავშირებული პროცედურები, ხოლო მეორე პარლამენტზე, პრეზიდენტზე და მთელ ქვეყნიერებაზეა გაბრაზებული, რადგან მიიჩნევს, რომ ქვეყანაში სერიოზული მუშაობა არავის სურს.

მაკო ბაგლაძე

გიორგი თარგამაძე:

— სიყვარულზე არ უნდა ფიქრობდე — მას უნდა გრძნობდე. სიყვარულზე ტრიპებს დედამიწა. ამისთვის შექმნა ღმერთმა ადამიანი. ეს არის ის, რის გამოც მზად ხარ თავი დალო შენი ქვეყნისათვის, გახდე სასტიკი, დაუნდობელი, უდრეკი — არა იმიტომ, რომ ვიღაც გძულს, არამედ სწორედ იმიტომ, რომ ვიღაც გიყვარს.

ზურაბ ქაფიანიძე:

— „ვალენტინობა“ — შემოიღებენ რაღაც ახალ სიტყვებს ვიღაცები. დარაკით ამ დღეს „მაჰანკლობისა“, რა მოხდა მერე? სიყვარულითაც კი იყო ადრე, მაგრამ უფრო მეტად გარიგებით ხდებოდა ბრწყინვალე ოჯახების შექმნა. ჯიშს ეძებდნენ, ლამაზს. შერჩევით მოხდა, რომ ლამაზები ვართ ქართველები. ამით შემოვიინახეთ ჯიში და ჯილაგი. სიყვარულში კი

თავნება ვარ. როგორც ერთ თავ საჭმელს ამოვიჩემებ ხოლმე, ისე ბევრი შეყვარებულცი არა მყოლია, მაგრამ საშინელი შეყვარება ვიცი ხოლმე გარკვეულ პერიოდში. აი, ისეთი, მიუღი სხეული რომ ავითანს... ეკ, ეგეთი სიყვარული ალბათ აღარ მოვა, ასაკს თავისი მიაქვს. ახლა შეყვარებული ვარ შვილებზე, შვილიშვილებზე... ქალი კი, ქალი სულ კარგია „თეძო საგსე, მკერდსავსე და ტუჩ-ბარაქა...“ ადრე მემართებოდა ხოლმე უცაბედი, „მოვარდნილი“ შეყვარება. აი, ისე, ტარიელი რომ „იბნიღებოდა“ და ტიროდა...

ვალერი გელბახიანი:

— სიყვარული ყველაფრის განმსაზღვრელია — ყოფის, არსებობის, აზროვნების, ურთიერთობის, მსოფლმხედველობის. ჩემი ასაკის კაცისათვის სიყვარული კონტროლირებული უნდა იყოს. იყო დრო, როდესაც სიყვარული ყველა სხვა ღირებულებას გადაფარავდა ხოლმე. ამბობენ,

სიყვარული აგამაღლებსო. რა თქმა უნდა, ასეცაა, მაგრამ ზოგჯერ სიყვარულმა შეიძლება იმდენი შეცლომა, იმდენი არასწორი ნაბიჯი გადაგადგმეინოს, რომ ცხოვრების მანძილზე ვეღარასოდეს გამოასწორო. უთქვამთ, სამი რამ ღუპავსო ადამიანს — დვინო, ქალი და ფულიო. ბევრი ქალი არ მყვარებია, მაგრამ როდესაც მიყვარდა, ეს ამბლელებული იყო და ყველაფერს ფარავდა. დღეს ეს გრძნობა გარკვეულად გაჯერდა მზრუნველობით, პასუხისმგებლობის გრძნობა დაემატა. წლებმა მოიტანა და სიყვარული არის არსებობის საყრდენი ჩემთვის. ყველაზე მეტად კი ის არ მინდა, რომ ჩემთვის სიყვარული გაჩნდეს საღდაც სხვაგან და ოჯახს მხოლოდ ვალდებულების გამო ვინარჩუნებდე. ბევრი კაცი ცხოვრობს ასე, გაორებულიად. მე კი „ვალენტინობას“ სახლში გავატარებ.


ჯანსუღ ჩარკვიანი:

— ღმერთმა უამრავი რამ გვაჩუქა. ღმ-

ელდარ შენგელაია

გიორგი თარგამაძე

ვასილ მაღლაფერიძე





ჯანსუღ ჩარკვიანი

ერთი თვითონ სიყვარულია და ჩვენს სიყვარულს დაარქვა „სიყვარული“. ასეთი დიდი საჩუქარი იმიტომ მოგვეცა, რომ ადამიანი უფალმა მსგავსად თავისა შექმნა. მაგრამ ამან არ უნდა გაგათამამოს. მაშინ შევიტყვე, რომ სიყვარულის საქმე ცოტა ცუდადაა, როდესაც შინაარსობრივად სიტყვა „სიყვარული“ დაკნინდა, როდესაც შემოვიდა – „ძალიან მიყვარხარ!“.

სიყვარულს აღარ უნდა სჭირდებოდეს დამატება, აღმატებული ხარისხის მინიჭება. ეს სიტყვა, თვითონ ყოვლის მომცველია. „მიყვარხარ!“ სიყვარული კი ბავშვობიდან იწყება, იმ დროიდან, როდესაც ლამაზი გოგონასკენ გაგვექცევა თვალი. 7-8 წლის ვიყავი, როდესაც პატარა გოგონას, მეზობელს, ორი სტრიქონი ვუთხარი ლექსად: „მიყვარს ნატო, მაგრამ მარტო“, თუმცა მაშინ რატომ მიყვარდა „მარტო“, ვერა ვხვდებოდი. ახლა კი ვხვდები, რატომ მინდოდა. არავინ მინდოდა, შემცილებოდა და ისე მემზირა მისი სილამაზისათვის, მშვენიერებისათვის. უცნაური რამაა სიყვარული. როდესაც ჩემს მეუღლეს ვუთხარი, მიყვარხარ-მეთქი, ბედნიერი და კმაყოფილი ვიყავი და ისიც კმაყოფილი მეგონა. გავიდა 40 წელიწადი და მეუბნება „შენ მაშინ გახსოვს, რა ცუდად ამიხსენი სიყვარული? ვერ მითხარი ისე, როგორც საჭირო იყო“. გავოცდი. არა, ვერ დამაჯერო... ამ რამდენიმე წლის წინ „ბერიკონში“ აღვნიშნავდით სიყვარულის დღეს. მოვიდა კორესპონდენტი ტელევიზიიდან ამ კითხვით. ავედი მაგიდაზე და მიკროფონს ჩავეყვირე: „ირმა ჩხეიძე, მიყვარხარ!!!“ მივედი სახლში და შენ მოუკვდი ღელაშენსო – ასე მომახალა ირმამ სიცილით. ასე გამოვასწორე 40 წლის წინანდელი ამბავი... ერთი შენიშვნა კი მაქვს: თამარი გყავდეს ქვეყანაზე, „თამარობა“ გქონდეს და შენ კიდევ სხვაგან, უცხოს ეძებდე და სხვაგან ისესხო, არაა სწორი. ქართველებს თავიანთი დღე უნდა ჰქონდეთ სიყვარულის. ვისურვებდი, რომ თამარის დღეს აღვნიშნოთ სიყვარუ-



ვალერი გელბახიანი

ლის დღე. მთელ მსოფლიოს, ყველას ვუსურვებ, ჰქონოდეთ სიყვარული – დაუდგრომელი, „ცოფიანი“ სიყვარული.

თედო პაატაშვილი:

– მიყვარს მეუღლე, მაგრამ მიყვარს სხვა ქალებიც და ამით ბედნიერი ვარ.

ელდარ მენგელაია:

– საუბედუროდ, ღმერთმა არ მომცა პოეზიის ნიჭი – მთელი პოეზიაა სიყვარული. სიკეთე თუ არსებობს ქვეყანაზე, ეს სიყვარულითაა. ცხოვრებაში ორჯერ მიყვარდა, ჩემი პირველი მეუღლე და ახლა – მთორე. გვერათ? (ვიცინით).

ვასილ მალაფერიძე:

– სიყვარულს ფიქრი კი არ უნდა – ის უნდა იგრძნო. 21 წლის ვიყავი, ცოლი რომ შევიერთე და მას შემდეგ მიყვარს. ეს ტრადიციას ეწინააღმდეგება, მაგრამ კიდევ კარგი, სამარცხვინო არაა. ამიტომ ვაცხადებ, რომ მიყვარს. გინდ დაიჯერეთ, გინდ არა. ისე, საბავშვო ბაღშიც და სკოლაშიც მახსოვს რაღაც

თედო პაატაშვილი



რომან გოცირიძე

გრძნობა, მაგრამ დავარქვა თუ არა ამას სიყვარული, არ ვიცი. უსიყვარულო ადამიანი კი, ფიცარი და ბეტონია.

რომან გოცირიძე (სულ ახლახან

დაოჯახდა):

– ყველაფერია ჩემთვის სიყვარული, მაგრამ ამ ევროპიდან ძალით გადმოღებულ „ვალენტინობას“ მაინც ვერ ვიღებ. სიყვარულის გრძნობა ჩემთვის მრავალმხრივია. ეს არის ემოცია, პატივისცემა, მეგობრობა, ვნება... ცხოვრებაში რამდენჯერმე ვყოფილვარ შეყვარებული და ეს იყო ძალიან სტაბილური, ღრმა გრძნობა, რომელიც წლების მანძილზე გრძელდებოდა. პირველად სკოლაში შემეყვარდა და პირველი კლასიდან შეათემდე მიყვარდა, თუმცა ცალმხრივად, მაგრამ ეს ძალიან ძლიერი გრძნობა იყო. ახლა კი მიყვარს და მიყვარს უკანასკნელად და მეყვარება სიცოცხლის ბოლომდე.

ზურაბ ქაფიანიძე





კოტე და ლიკა მეჯვარეებთან ერთად

შეყვარებულნი ადვოკატი

ანაოიკასი
სანიც უგზავნი

მარიკა კახაბერი

ციხის ახალმა ბოსმა, ზურაბ მსხვილიძემ ახალშეუღლებულებს „სიურპრიზი“ მოუწყო და შემოღობილ სივრცეში მათი სიყვარული „მრავალკუბიური“ თანხლებით, ქორწილით დააგვირგვინა. ეს იყო უპრეცედენტო შემთხვევა საქართველოში, რომელიც ინტერნეტის საშუალებით მეორე დღესვე გავრცელდა. ლიკა მელაძე თავისი ნაბიჯით კმაყოფილია. თუმცა, გული წყდება, რომ წმინდა ვალენტინის დღეს მარტო შეხვდა. იგი ამ დღეებში პრეზიდენტთან თხოვნის ვაგ ზავნას აპირებს. „მინდა პრეზიდენტს ვთხოვო, როგორც გამოჩაგლისი, გამოიჩინოს გულისხმიერება, ჰუმანურობა და მე მომიტეოს კოტეს მაგივრად, მე მაპატიოს და იქნებ შეიწყალოს“; – გავკვირდებოდა შეყვარებულმა ადვოკატმა და ჟურნალ „გზას“ წმინდა ვალენტინის დღესასწაული მიულოცა.

— ქნო ლიკა, ქართულ სინამდვილეში ადვოკატისა და ბრალდებულის შეუღლება პირველად მოხდა. როგორ დაინგო თქვენი ურთიერთობა, ერთი ნახვით შეგიყვარდათ?

— ჩემს სამსახურებრივ მოვალეობას ვასრულებდი — მისი ადვოკატი ვიყავი. დაკავებიდან სამი დღის შემდეგ შევხვდი საგამოძიებო ოთახში. გულახდილად რომ გითხრათ, შევედი, როგორც ადვოკა-

ტი, მაგრამ მისთვის როგორც პატიმრისთვის არ შემიხედავს. საერთოდ, ეს მახსიათებეს — პატიმრებს არ უყუარებ, როგორც პატიმრებს — ისინი ხომ ჩვეულებრივი ადამიანები არიან. ვკითხე: გსურთ თუ არა, რომ თქვენი ადვოკატი ვიყო, იქნებ აზრი შეგეცვალათ-მეთქი? გაიღიმა და თავი დამიკრა... საერთოდ, ვარ მორწმუნე და ნებისმიერ ბრალდებულს რწმენაზე ვესაუბრები ხოლმე. გამომხილა, რომ ისიც მორწმუნეა. როდესაც ვკითხე — მაშინ რატომ შესცოდა, მიპასუხა: პატიების უფლება ხომ მაქვსო... უშუალოდ საქმეზე რომ დავიწყეთ საუბარი, შევაძინე, თვალმოუშორებლად, გაცტებული მიყურებდა. მართალი გითხრათ, მომერდა. პირისპირ ვისხედით. რამდენჯერმე რაღაც ვკითხე, მაინც თვალმოუშორებლივ მიყურებდა. მის თვალბეჭდში თითქოს სინანული დავინახე, თითქოს ჩემგან ითხოვდა რაღაცის მიტევებს... ყურადღება არ მივაქციე, არაფერი შევიძინე. თითქმის იგივე განმეორდა მეორე, მერე მესამე დღეს... ისევ რწმენაზე დაიწყო საუბარი და მე დავპირდი, რომ ჯვარს და ფსალმუნებს ვაწუქებდი. გაუხარდა. მართლაც მივუტანე და ამ დროს მთხოვა: თუ შეიძლება, თქვენი ხელით დამკიდეთ ჯვარიო. მაღლობის ნიშნად, ხელზე შეამბორა... ამის შემდეგ დაინტერესდა, გათხოვილი ვიყავი თუ არა. რა თქმა უნდა, გათხოვილი ვარ-მეთქი, მეუღლე და 19 წლის ბიჭი მყავს-მეთქი.

არავინ უწყის, როდის უფრო უმართლებს ადამიანს სიყვარულში. — მაშინ, როცა ჰგონია, რომ ყველაფერი დამთავრდა, წინ არაფერი აღარ დარჩა, თუ მაშინ, როცა ყოველდღე ელოდება სიყვარულს და სჯერა, რომ ის აუცილებლად მოვა...

რასაკვირველია, ჩვენ აქ სიყვარულის ფილოსოფიის ახსნას არ შევუდგებით, მაგრამ მოგიყვებით ერთი ჩვეულებრივი (ან იქნებ, არაჩვეულებრივი?) სიყვარულის ამბავს, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ ჩვენს სინამდვილეში მოხდა. უფრო ზუსტად — ციხეში. ადვოკატმა ლიკა მელაძემ და ბრალდებულმა კოტე მიროტაძემ გისოსებს მიღმა მოაწერეს ხელი (მკითხველს შევახსენებთ, რომ მიროტაძის საქმე ძიებაშია და მას ბრალდება ორი მუხლით — ყაჩაღობა და იარაღის უკანონო ტარება — აქვს წაყენებული).

რატომღაც იგივე კითხვა გამიმეორა. მკაცრად ვუპასუხე: მგონი გარკვევით გითხრათ, რომ მეუღლეს და შეილიც მყავს და ამაზე ლაპარაკი აღარ იყოს-მეთქი. ამ დროს ისეთი სახით იდგა ფანჯარასთან, რომ მეც შეეშოთლი და მიეუგე: კარგით, დამშვიდდით, ქმარი არა მყავს-მეთქი. ამის თქმა იყო და თითქოს რაღაც ტვირთი მოეხსნაო და მაშინვე დაჯდა. რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ არაფერი აღარ უთქვამს.

— ეი, იმ დღიდან თქვენი ურთიერთობა ადვოკატისა და ბრალდებულის ურთიერთობა აღარ იყო, ხომ?

— არა, ადვოკატი დღესაც ვარ, ვმუშაობ მის საქმეზე. ისე, მართალი გითხრათ, მეც აფეთქებდი: რაში აინტერესებს — მყავს ქმარი, არ მყავს, ვარ გათხოვილი, არ ვარ გათხოვილი... გადის დღეები და მეკითხება — ცოლად გამოწყვებიო?..

— ცოლობა ერთ თვეში შემოგთავაზათ?

— უფრო ძალიან სიმართლე გითხრათ, ძალიან გავოცდი. ასე სწრაფად არ ველოდი... ვუპასუხე: ამაზე ჯერჯერობით პასუხს ვერ გაცემთ, დაფიქრდები-მეთქი. ისე, გულახდილად რომ გითხრათ, სანამ ცოლობას მთხოვდა, მეც მომწონდა უკვე. ძალიან თბილი, ზრდილობიანი, საკმაოდ განათლებული, ჩამოყალიბებული მამაკაცია. მე მასში მხოლოდ დადებითი თვისე-

ბები დავინახე. არ მიმაჩნია სწორად, რომ ადამიანებს, რომლებიც გისოსებს მიღმა არიან, ჩვენ, გარეთ მყოფებს დავაბიჯოთ ფეხი და უფრო ღრმად ჩავძიროთ. ვთვლი, რომ თითოეულმა ჩვენგანმა ამ ჭკობში მყოფნი უნდა ამოიყვანოს – ვინც არ უნდა იყოს ის.

— და მაინც, რამდენი ხნის შემდეგ დასთანხმდით ცოლობაზე?

— რაც დრო გადიოდა, სულ უფრო მეტს მესაუბრებოდა სიყვარულზე. მიყვარხარ... მიყვარხარ... მიყვარხარ... ცოლად გამომყევი...

— ეჭვი არ შეგებარათ, რომ გატყუებდათ? უამრავი მამაკაცი ცდილობს ხოლმე, ტკბილი სიტყვებით მანდილოსნის გულის დაპყრობას...

— კი, შეშეპარა ეჭვი. ისიც კი ვუთხარი: ციხეში ყველა მამაკაცისთვის ყველა ქალი ლამაზია-მეთქი. მიპასუხა: მე რომ ასე არ გიყურებ, გავა დრო და დაგიმტკიცებო... რაც შეეხება ჩემს გადაწყვეტილებას, მხოლოდ 7 იანვარს მივიღე.

— რატომ მაინცდამაინც შობა დღეს?

— რაც არ უნდა იყოს, ახალი საუკუნე დაიწყო, მესამე ათასწლეული. მოგესვენებათ, პატრიარქმა 7 იანვარი შერიგებისა და მიტევების დღედ გამოაცხადა. მეც, შინაგანად, რაც მისატყვებელი ჰქონდა, მივუტყვევ და ეს სერიოზული ნაბიჯი გადავდგი.

— შემდეგ ამას მოჰყვა ქორწილი ციხეში. როგორ შეხვდა თქვენს ნაბიჯს ციხის ადმინისტრაცია?

— სხვათა შორის, ამ გადაწყვეტილებაზე ჩემს ახლობლებს ვეუბნებოდი, რომ შემიყვარდა ჩემი ბრალდებული. ისინი მირჩევდნენ – მოდი, კარგად დაფიქრდი და საფუძვლიანად აწონ-დაწონე ყველაფერი, თუმცა, ნურც ისე შეხედავ, რადგან „ზის“, ე.ი. ცუდიაო...

— რამდენადაც ვიცო, თქვენ შორის ასაკობრივი სხვაობაც არის...

— საკმაო სხვაობაა, მაგრამ არ დავაკონკრეტებ... იცით, რა მინდა ვითხრათ? ძალიან მერიდება, მაგრამ ძალიან მიჭირს, რომ ის ციხეშია და მე გარეთ. და პირადად მინდა, პრეზიდენტს ვთხოვო როგორც გამონაკლისი, უპრეცედენტო შემთხვევა საქართველოში, იქნებ გულისხმიერება და ჰუმანურობა გამოიჩინოს, მე მომიტეგოს და გამონაკლისის სახით შეიწყალოს...

— ციხის ადმინისტრაციას შეეძლო გამონაკლისის სახით თქვენთვის სანგრძლივი პაემანი მოეცა. რატომ არ დაუშვა?

— იცით, არ შეიძლება. იმიტომ, რომ ჯერ ძიების პროცესშია საქმე. მე კანონს ვერ დავარღვევ. სადაც დიდი სიყვარულია, იქ დიდი მოთმინების უნარაცაა.

— მოდიოთ ქორწილს დაგუბრუნდეთ...

— არაფერი განსაკუთრებული იქ არ მომხდარა. როდესაც მოვახსენე ღირეჟციას, რომ ხელის მოწერა მინდოდა... გაუკვირდათ: ბრალდებულს – იურისტი მიჰყვებითო?! თავიდან სახტად დარჩენე და ხუმრობა ეგონათ. მერე, როგორც აღმოჩნდა, „სიურპრიზი“ გამიკეთეს...

— მოყვებით, რა მოხდა?

— იცით, სიტყვებით ამის გადმოცემა არ შემიძლია – ყველაფერი ძალიან ლამაზი იყო, ამასთან, ყველაფერი ძალიან უჩვეულოც: ქორწილი ციხეში; მასმედია, ტელევიზია...

— გაგრძელდა ხმები, რომ თქვენი მეჯვარე ლოთი ქობალია იყო...

— არა, არა, ის ჩემი სტუმარი გახლდათ. მე მისი ადვოკატიც ვარ.

— მას შემდეგ, რაც ციხიდან გაიქცა?

— დიას.

— როგორ შეხვდნენ თქვენს შეუღლებას კოტეს მშობლები?

— იცით, ძალიან ტრადიციულად გამიცნეს. ისინი ჩამოვიდნენ ქუთაისიდან, ოფიციალურად, ოჯახში მოვიდნენ და ქართული ტრადიციული ცერემონია შესრულდა. სხვათა შორის, ძალიან კმაყოფილები დარჩნენ. კოტეს ჩემზე ასე უთქვამს: როგორ ქალსაც ეძებდით, ზუსტად ისეთი ქალიაო. როგორ ქალს ეძებდით-მეთქი, ვკითხე. მითხრეს: თბილს, კულტურულს... (იცინის) ... ხელის მოწერის დროს, როგორც იცით, ქალს ეკითხებიან: „თანახმა ხართ თუ არა, რომ ცოლად გაჰყვეთ?“. ამ დროს ყველა გაჩუმდა, ბუზის გაფრენის ხმაც არ ისმის და როგორც ძვე-

შუაში დგანან (მარცხნიდან): ლოთი ქობალია და ზურაბ მსხვილიძე

ლმა მსახიობმა, ცოტა გავითამაშე – გაეჩუმდი, ხმას არ ვიღებ. უნდა გენახათ დამსწრეთა სახეები. ამ დროს მიმეორებს: „თანახმა ხართ თუ არა, რომ გაჰყვეთ ცოლად?“ კოტეს წარბები ზევით აეწია... „თანახმა ვარ“ – ვუპასუხე და ყველამ ერთად ამოისუნთქა.

— მსახიობობა ახსენეთ...

— თეატრალური ინსტიტუტი დავამთავრე თავის დროზე. ვმუშაობდი მარჯანიშვილის თეატრში, „მინიატურებშიც“, ფილარმონიის სახელმწიფო ანსამბლში ვცეკვავდი. ადვოკატობა 3 წელია დავიწყე. იურისპრუდენციაში სულ 5-ნ წელია, რაც ვარ.

— ანუ საბჭოთა პერიოდში მსახიობი იყავით და დღეს უკვე ადვოკატი, ხომ?

— ასე გამოვიდა.

— თქვენ ცხრამეტი წლის ბიჭი გყავთ. წინააღმდეგი ხომ არ იყო ამ ამბის?

— მართალი ვითხრათ, თავიდან წინააღმდეგობა გამიწია. ჩვენ მაინც მართონი ვიყავით ყოველთვის. როგორია ამხელა ბიჭისთვის, უცებ დედა გაუთხოვდეს?! იცით, პირველ რიგში რისი შეეშინდა? ვაი და, არ გამოგადგესო... შენ ხომ საერთოდ, და მეც, მორალურად გავნადგურდებითო. ამიტომ იკავებდა თავს და მთხოვდა: მოდი, ჯერ გამოვიდეს და მერეო... მერე ქორწილზე, უკვე ძალიან მოეწონა...

— ამ გადასახედიდან ხომ არ ფიქრობთ, რომ შეცდით?

— არა. არც ერთი წუთით.

— რას აპირებთ?

— ვფიქრობ, ციხიდან გამოვა და დაიწყებს ნორმალურ ცხოვრებას.

— და თქვენც მასთან ერთად...

— და მეც მასთან ერთად. იცით, ის რომ გამოვა, ეს ჩემთვის ყველაზე დიდი საჩუქარი იქნება. ■



ერთხელ, ახალშეუღლებული მედეა ჯაფარიძე და რეზო თაბუკაშვილი მოსკოვის ერთ-ერთ რესტორანში შევიდნენ. სანამ თავისუფალ მაგიდასთან მივიდოდნენ, მიუღიან და მათკენ შემობრუნდა. ორკესტრმა დაკვრა შეწყვიტა, ჯერ აღტაცებული ხმები გაისმა, მერე კი დარბაზში ტაშმა იქუნა. დიას, სილამაზეს დაუკრეს ტაში“

(მეგობრის – მალხაზ აბდუშელიშვილის მოგონებიდან).

... ორმოციანი წლების მიწურული იყო, მედეა მოსკოვში იმყოფებოდა შემოქმედებით მივლინებაში. სწორედ მაშინ გადაწყვიტა, თავისი ოცნებისთვის შეესხა ფრთები და თეატრალური კურსის მოსასმენად მოსკოვის სამხატვრო თეატრთან არსებულ ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის სტუდიას მიაკითხა. მაშინ „მხატვის“ სტუდიაში თავისუფალ მსმენელად არავის იღებდნენ, მაგრამ დირექტორმა გამონაკლისი დაუშვა: თქვენ როგორ მოიქცეოდით, ანგელოზი რომ გამოგცხადებოდათო?! – რიტორიკულად უკითხავს თურმე.

სწორედ ამ დროს გამოჩნდა მედეა ჯაფარიძის ცხოვრებაში მისი რაინდი...


„რეზომ გასაოცარი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. როგორ ლექსებს წერდა! ნამდვილი მხეცბაუკი იყო, თანაც ქალები-სგან უარს მიუჩვენებდა... ვგრძობდი, რომ ჩვენი ურთიერთობა დიდი გრძნობის წინაშე დამაყენებდა და ჩემდა უნებურად ვუფრთხილდი...“ – იგონებდა მედეა ჯაფარიძე.

ვინც ამ წველს იცნობდა, იცის – გადაჭარბებული აქ არაფერია. ამ ორი საოცარი ადამიანის საოცარი სიყვარული, მართლაც რომ საარაკო იყო. ულამაზესი წველი ამ სიტყვის სრული გაგებით: ლამაზი – გარეგნობით, ლამაზი – სულით, ლამაზი – საქმით, რომელსაც ისინი აკეთებდნენ... მთელი მათი ცხოვრება სიყვარულისა და ოჯახური ჰარმონიის ნიმუში იყო.

მედეა ჯაფარიძე და რეზო თაბუკაშვილი ბევრს მოგზაურობდნენ და სადაც არ უნდა ყოფილიყვნენ, ქართული მზის სითბოს ასხივებდნენ. ეს ფოტო 1955 წელს, არგენტინაში მოგზაურობის დროს არის გადაღებული. რეზო და მედეა 5 წლის შეუღლებულები არიან. მედეას ისეთი რომანტიკული აქსესუარები, როგორც ყანისნაღით ნაქსოვი თეთრი ხელჩანთა და შიფონის გამჭვირვალე ყელსახვევია, ეკლების გარემოცვაშიც ამშვენებს. რეზოს ერთი ხელი თავზე აქვს – ჩანს ქუდი ეს-ეს არის მოიხადა და ახლა ქოჩორს ისწორებს. მათ უკან ყვავილებით გადაბურთილი ბებერი კატუსი მოჩანს. სწორედ მისი ყვავილებით აღფრთოვანდა მედეა და ერთ-ერთის მოწვევით დააპირა... და უცებ – ვაი! ეკალმა მისი მშვენიერი თითიც არ დაინდო. „რეზო, მიშველე!“ სიცილით უხმობს მეუღლეს. რე-



მათი ნახვისას ქუჩაში გამკლავები ჩერდებოდნენ



ზოც მასთან ჩნდება. „აქ რა გინდა, მე ვერ მოგიწვევდი?“ „შეხედე, რეზო, რა ლამაზია!“ – არ ცხრება აღტაცებული მედეა და ყვავილს აწვდის. რეზო ქუდს იხდის და სინანულით დასცქერის „დამნაშავეს“. თითქოს საფიქრალი გასჩენია: ვინ უფრო ლამაზია – ყვავილი თუ მედეა? ცხელა არგენტინაში. დიდი ხვეწნის შემდეგ იყოლიებს რეზო მედეას, რომ მისი თითიდან ეკალი ამოიღოს. ფრთხილად, ძალიან ფრთხილად ატარებს „ოპერაციას“. მედეას თვალები აქვს დახუჭული და მოთ-

მინებით ელის ამ „საშინელების“ დასასრულს. მერე? წესით, ასეთ დროს კატუსმაც უნდა დახუჭოს „თვალი“, მაგრამ... ვერ გამტყუნებ: არაფერი სჯობს მათ ცქერას, შეყვარებული რეზოს და მედეას ცქერას! მოგვიანებით რეზო თაბუკაშვილმა შექსპირის სონეტების არაჩვეულებრივი თარგმანი სწორედ უსაყვარლეს მეუღლეს მიუძღვნა და შესაფერისი ეპიტაფიაც წარუძღვარა: „ჩემო მედიკო, ამ დღე წიგნში ყველაფერი შენ გეკუთვნის, ყოველი სტრიქონი შენითაა ნაკარნახევი, მაგრამ არ ვიცი, შენსავით მშვენიერია თუ არა. ყოველ შემთხვევაში ძალიან ვცდილობდი, დამემსგავსებინა შენთვის“.

უკვე ბოლო ჟამს, როცა მძიმე სენით გათანგული რეზო თაბუკაშვილი ტკივილებს მისთვის ჩვეული ვაჟაკობით უმკლავდებოდა, საავადმყოფოს კედელს მიყრდნობილ მედეა ჯაფარიძეს, უცნაური სიმშვიდით უთქვამს: თურმე, რა მწარე სახალაური უნდა გაიღო ბედნიერების სანაცვლოდ.

მაგრამ ეს დიდი ხნის შემდეგ, სულ ბოლოს. ახლა კი, ამ ფოტოს გადაღების მომენტში მედეას ყელსახვევს ნაივ ელამუნება, რეზო კი სინანულით დასცქერის „დამნაშავე“ ყვავილს. თითქოს საფიქრალი გასჩენია: ვინ უფრო ლამაზია – ყვავილი თუ მედეა?

ნანა ჰიბიშვილი

ნათელთან ერთად



გაკო ბაგდაძე

როდესაც სასაუბრო თემად „პირველი სიყვარული“ შევთავაზებ, ქალბატონი ლუიზა შაკიაშვილი კახურად „მოგვესიყვარულა“:

— მეხიც კი დაგაყარეთ შენცა და შენს რედაქტორსაცა! რა დროს სიყვარულია, ქვეყანა თავზე გვეგრევა. ორი აგური უნდა გვეჭიროს და ხან ერთს ვერტყამდეთ თავში აქეთ, ხან მეორეს, იქით.

— ახლა რა, აღარ უყვართ საქართველოში?

— უყვართ, მაგრამ სიყვარულის დამავიგრევიანებელ ქორწინებას გაურბიან. ჩემ ორგვლივ ბევრი ახალგაზრდა ვიცი, რომელიც მატერიალური მდგომარეობის გამო და სვალინდელი დღის შიშით, ოჯახს ვერ ქმნის.

— თქვენ არ გეკადრებათ დეპრესია. მოდით, მოვიგონოთ პირველი კოცნა, პირველი გრძნობა...

— პირველი სიყვარულის თემა ჩემთვის ძალიან მტკივნეულია და ტაბუ ადევს. რაც შეეხება კოცნებს, არ მიყვარს ასეთ რამეებზე სახალხოდ ლაპარაკი. ზოგიერთები დაიწყებენ ხოლმე — „საბავშვო ბაღში მიყვარდა“, „სკოლაში მიყვარდა“... მე არ ვიყავი ასეთი. ტყუილი იქნება ვთქვა, ჩემი რომელიმე თანატოლი მიყვარდა-მეთქი. ისე. უამრავი მეგობარი მყავდა ბავშვობაში, მაგრამ რასაც სიყვარულს ეძახიან, ეს გრძნობა არავის მიმართ არ გამჩენია.

— სკოლაში როგორ გქონდათ საქმე?

— ფრიადები მყავდა. მაშინ სწავლა ფასობდა, თავმოყვარეობის ამბავი იყო, ახლა ყველაფერი შეიცვალა.

— ფრიადოსანი თუ იყავით, შეყვარებული აუცილებლად გეყოლებოდათ. როგორც მასხოვს, ბიჭებს „ხუთოსანი“ გოგონები უყვარდათ ხოლმე.

— მე არ შეყვარებია, მაგრამ მართლაც ძალიან ბევრ ბიჭს უყვარდი. რაღა დავიძალი, მეუბნებოდნენ კიდევ. ზოგს ვატყობდი, მაგრამ არავისთვის მიპასუხია.

— რატომ, ამაყი იყავით?

— არ გამაჩნდა საპასუხო გრძნობა. შეიძლება ჩემს წარმოდგენებს ვერ აკმაყოფილებდნენ. სკოლის ასაკში სულ მასწავლებლებზე ვიყავი შეყვარებული. ყოველთვის მომწონდნენ ინტელექტუალური, ჭკუიანი, ბრძენი და განათლებული ადამიანები. ჩემს ტოლებში ასეთებს ვერ ვპოულობდი და ამიტომ გატაცებული ვიყავი მასწავლებლებით. რა თქმა უნდა, ბავშვურად მიხაროდა მათი ნახვა, მათთან საუბარი.

ლუიზა შაკიაშვილი: სკოლაში სულ მასწავლებლებზე ვიყავი შეყვარებული

გული გადმომიბრიალდებოდა ხოლმე... ასე დავამთავრე სკოლა.

— შეყვარებულ ბიჭებს პასუხად რას ეუბნებოდით?

— გვედებოდი ხოლმე სიცილით, წადი, თავი დამხებე-მეთქი. ზოგს გამოვლანძღავდი ხოლმე, ზოგს გაგულაწუნებდი — როგორ გაბედე-მეთქი. გააჩნია, რა დამოკიდებულება მქონდა იმ ბიჭთან. ძალიან არავინ მიცემია — სიყვარულს მისხნიდა ადამიანი, მაგრამ შესაბამის პასუხს ყოველთვის იღებდა.

— კინოში არ გაბტივებდნენ ხოლმე?

— კინოში ჯგუფურად დავდიოდით. მარტო ან ვინმესთან ერთად რა წამიყვანდა კინოში? კინოც და სკოლაც იქვე, ახლოს გვექონდა. შევეგროვებოდით ბავშვები, ფულს შეგროვებდით და მივდიოდით. მაშინ უმეტესად ინდური ფილმები შემოჰქონდათ. რაჯ კაპურის ფილმები ხომ ჩვენთვის უსაყვარლესი გასართობი იყო.

— ინდურ ფილმებში სულ სიყვარულზე ტირიან და მღერიან. არ ოცნებობდით ასეთ სიყვარულზე?

— როგორ არა, მიტირია კიდევ. ველოდი და ვოცნებობდი, როდის მოვიდოდა ჩემს ცხოვრებაში ასეთი ყოვლისმომცველი სიყვარული.

— მაინც რა არის სიყვარული?

— ფაქტობრივად, ღმერთია სიყვარული, ღმერთია სიყვარული და შენშია სიყვარული.

— აგაშენათ ღმერთმა, გვეარეზიოთ და ეგ არის, ამაზე ვი-

საუბროთ.

— ჩვენში მაინც და მაინც ქალისა და კაცის სიყვარულზე იტყვიან. ზოგ-ზოგიერთებს შეიძლება გაეცინოთ, მაგრამ ეს არ მანაღვლებს და ვთვლი, რომ არსებობს უფრო დიდი და ვნებიანი სიყვარული — ეს სამშობლოს სიყვარულია. სამშობლო მხოლოდ ხეები, მთები და მდინარეები არ არის, იგი შენი თანამომხის, დედ-მამის, და-ძმის, მეგობრის, ცოლ-ქმრის, წინაპართა სატყალის სიყვარულის ერთობლიობაა. ეს სიყვარული გაუხუნარი და შეუცვლელია. ძალიან ძნელი გრძნობაა. იმდენად ძნელი, რომ ვერ შევძელი სამშობლოს დატოვება. მოგეხსენებათ, ცინეში ვიჯექი დისიდენტობის დროს და გათავისუფლების შემდეგ მრავალი შემოთავაზება მქონდა უცხოეთიდან, სადაც არაფერი გამიჭირდებოდა — სამუშაოც იქნებოდა და სხვა მატერიალური სიკეთეც. ვერ შევძელი და ვერც შევძლებ. 3 თვე სუკის იზოლაციაში ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური წერილების კითხვამ გადამაჩინა, სულიერად და ფიზიკურად. განა ეს სიყვარული არაა? ასევე მეგობრების სიყვარული, ეს ხომ გაუხუნარი გრძნობაა. თუნდაც დაკარგო მეგობარი და სხვას დაუმეგობრდე, ის სიყვარული და ერთად გადატანილი ამბები ხომ არასოდეს დაგავიწყდება. ქალის და კაცის სიყვარული კი ისეთი რამეა, თუ სხვა შეგეყვარდა, წინამორბედს აღარად მიიჩნევ, გავიწყდება ან გეცინება — ნუთუ ის სიყვარული იყო, აი, ახლა სიყვარულიო. ამიტომ ვამბობ — დედაშვილობას, და-ძმობას, მეგობრის სიყვარულს ვერაფერი შეცვლის.

ჩემ წინ სავარძელში ნებიერად მისვენებული ახალგაზრდა კაცი თითქოს უცნაურ ბურუსში გახვეულა. თვალბმინისლული, თავისი სასიყვარულო, რომანტიკული ამბების შესახებ მიაბობს. ამ უცნაური კაცის გარემოცვაში დარჩენა, რაღა დაგიმალოთ და, ცნობილმა ამერიკულმა ფილმმა — „დონ ჟუან დე მარკომ“ გამაბედვინა, სადაც ვარსკვლავების მონაწილეობით, რომანტიზმით დააფადებული ახალგაზრდა კაცის ამბავია მოთხრობილი. არ ვიცი, რამდენად ვივარგე ფსიქოლოგად ჩემს რესპონდენტთან საუბრისას, არც ის ვიცი, რა ვუნოდო მას — დააფადებული? დონ-ჟუანი? თუმცა, თქვენ წინაშე წარდგენა სწორედ ასე სურს.



ჯონი დეპი
დონ ჟუანის
როლში

კასობრიობა სემსისგან გამოუტარდა

ეკატერინე ლიჩელი

არა, „დონ-ჟუანი“ ნორმალური კაცია, ცოტა ზომაზე მეტად ვნებიანი და უსაზღვროდ რომანტიკული, თუმცა, ქუჩაში მასთან შემხვედრი, ერთი შეხედვით ამას ვერც იგრძნობს. ის ნიღბით დადის, ნიღაბი კი — მისი სახის გამომეტყველებაა, ხან ერთი, ხან მეორე... გამომეტყველებით, ცოტათი მეც შემეყვარა თავი, რაც სულაც არ გაკვირვებია: აბა, „დონ ჟუანი“ რა დონ ჟუანია, ეს რომ გაკვირვებოდა.

— მოდი, ტრადიციულ კითხვას დაგისვამ: პირველად როდის გეწვია სიყვარული?

— დამიჯერებ, რასაც გეტყვი? მაშინ ალბათ ორი წლისაც არ ვიქნებოდი. დედაჩემის დაქალი, საოცარი ქალი იყო. გულში რომ მიხუტებდა, მისი სუნით ვთვრებოდი. სულ ვეძებ იმ სუნს ქალებში, მაგრამ დღემდე არ შემხვედრია, რძე და ვარდი რომ ერთმანეთში აურიო და მზის სურნელით გააჯერო, ისეთი სუნი ჰქონდა და თბილი კანი... ალბათ უფრო მოგვიანებით დავარქვი სახელი იმას, რასაც მაშინ ვგრძნობდი, მაგრამ ეს ყველაფერი იმ ასაკში ხდებოდა. ასე მგონია, რაც ვითხარი, ადამიანის ცხოველური ინსტიქტიდან მოდის, მაგრამ ყველაზე ლამაზი და დიდებულია ეს ინსტიქტი. თუმცა ჩემი სქესის წარმომადგენლებში ეს არათუ არ ესმის ბევრს, საერთოდ არა აქვთ არც ფსიქოლოგიური და არც ბიოლოგიური გრძნობა თუ ინსტიქტი,

თუ რა ჰქვია, არ ვიცი.

— კაცები აგიმხედრდებიან.

— ოღონდ თქვენ არ ამიხედრდეთ, ჩემო ძვირფასო ქალებო, ოღონდ თქვენ არ გამინაწყენდეთ და მაგათ ამხედრებას გადავიტან. უმჯობესია, საკუთარ მხეცურ ინსტიქტებს და გარყვნილ ჟინს შეებრძოლონ...

— რას გულისხმობ?

— ბევრ რამეს. ვერ ვიტან პორნოგრაფიას, ეკრანიზებულ ეროტიკას, რაც არანაირი ეროტიკულობის განცდას აღარ ბადებს ჩემში. ასე მგონია, კაცობრიობა სექსისგან გამოშტერდა. ცხოველები ჩვენზე ლამაზად იქცევიან, ყველაფრის დრო და ადგილი იციან, ჩვენ კი სხეულები გავაშიშვლეთ — ეკრანზე, სცენაზე, პლაკატზე და სრული სიცარიელე და სიბინძურე შეგვრჩა ხელში.

— ამას შენ ამბობ, უამრავი სასიყვარულო ამბის მოთავე და მონაწილე?

— მე სისუფთავე, უმანკობა, სიწმინდე, სულით სავსე სხეული მიყვარს და არა ტიკინა, ბინძური კახა, რომელიც ადამიანურ ცნებაში აღარ ჯდება. მე მიყვარს და მთელი არსებით ვარ მოცული იმ ქალით, რომლის ტუჩებსაც ჩემი ტუჩები გრძნობენ, ჩემი ცხვირის ნესტოები ისრუტავენ მის სურნელს, მის სუნთქვას, თითები კი მარადიული ნეტარებით ივსებიან, როცა მის სხეულზე, როგორც მუსიკალურ კლავისებზე, ვნებისაგან „კვენსიან“. ეს კვენსა კი მხოლოდ ჩვენს გულებს ესმით და არა ყურებს.

და რაც ხდება, მხოლოდ ჩვენ ვიცით...

— დონ-ჟუან, შეჩერდი! ერთი ასეთი დიდებული სიყვარულის შემდეგ ალბათ გულგრილი ხდები და ახალს ელოდები. შენ უკვე იმდენი ამბავი მომიყვები, როგორ შეიძლება, ყველა ასე გიფურად გყვარებოდა?

— ყველაში ერთი მიყვარს — თვით სიყვარული და არც ერთის მიმართ გულგრილი არ ვრჩები. ადამიანი, როგორი გრძნობებითაც იცხოვრებს, ისეთი იქნება მის გარშემო არსებული აურაც. გიყვარს?! სულ გიყვარს?! მაშინ მზე ენთება შენში, შენ ირგვლივ, ამ მზეს კი ისეთი ძალა აქვს, როგორც ყვავილს ფუტკრისთვის. მე ვარ ნექტარი, რომელზე დაწაფებული ქალიც ივსება და სიყვარულით გაჯერებული წამიერად მაინც იძირება ნეტარების მარადიულ ბურუსში.

— როცა გათხოვილ ქალებს ხვდები, არ ფიქრობ, რომ ისინი ქმრებს ლალატობენ და ე.ი. სიწმინდეს კარგავენ?

— მერე და ვინ მისცა მათ ლალატის უფლება — თუ ამას ლალატს არქმევ. მის ქმარს ან საერთოდ არ ჰქონია ის ნექტარი, რომელიც ქალს სრულყოფილებისთვის სჭირდება, ან კიდევ, არ ვიცი, რა ჯანდაბა ჭირს. ალბათ რაღაცის ქვეშეცნეულად ეშინია ქალს ქმარში და იმიტომ სწყდება მას. მე არ ვყოფილვარ ქმარი და არ ვიცი, ვიქნები თუ არა. ისე კი მიფიქრია ამაზეც, მაგრამ თუ ღმერთის


მელა გობსაძე

ექიმთან მიღებაზე ახალგაზრდა წყვილი მივიდა – 27 წლის მომხიბლავი ქალი და 30 წლის მამაკაცი. ვიზიტის მიზეზი – ვირგოგამიური (ქალ-წულბერივი) ქორწინება. ოჯახი ნახევარი წლის წინ შეიქმნა და მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ვერ მოხერხდა ინტიმური ცხოვრების დაწყება. ქალს, სქესობრივი აქტის წინ პანიკური შიშის ნიადაგზე, უვითარდება საშოს კუნთების სპაზმი, რაც კონტაქტს ტექნიკურად შეუძლებელს ხდის.

გასაუბრებისას სექსოპათოლოგიისთვის აშკარა შეიქნა პრობლემის ფსიქოგენური წარმომავლობა და მკურნალობის პროცესში ფსიქოთერაპევტიც ჩაერთო. როგორც გაირკვა, ქალი, თვრამეტი წლის ასაკში, მოიტაცა არასასურველმა თავყვანისმცემელმა და იმავე დამეს უხეშად შეეცადა მის დამორჩილებას. სწორედ მაშინ დაემართა პირველად სპაზმი და მოძალადე ვერაფერს გახდა. გოგონა არ გაჩერდა მასთან და როდესაც მშობლებმა მიაკითხეს, შინ დაბრუნდა. სამწუხაროდ, ამბავი ამით არ დასრულებულა – გადატანილმა სტრესმა განაპირობა მდგრადი შიში სექსუალური ცხოვრების მიმართ. გოგონა ჩაკეტილი და გულჩათხრობილი გახდა, თავს არიდებდა მამაკაცების ყურადღებას. ასე გაგრძელდა რამდენიმე წელიწადს. მომავალმა ქმარმა როგორღაც მოახერხა ამ ბარიერის დაძლევა და ცოლობაზე დათანხმდა. მამაკაცის ფრთხილი, ტაქტიანი ქცევის მიუხედავად, გადატანილმა ტრავმამ თავი პირველ დამესვე იჩინა; მდგომარეობა არც შემდგომში გამოსწორებულა. ოჯახი რღვევის რეალური საფრთხის წინ აღმოჩნდა და ამან განაპირობა ვიზიტი სპეციალისტთან.

ვაგინიზმი – საშოსა და მენჯის კუნთების უნებლიე შეკუმშვა გადატანილი სტრესის ნიადაგზე, ასეთი გახლდათ ექიმთა ვერდიქტი.

მკითხველის დასამშვიდებლად ვიტყვით, რომ დრამას კეთილი დასასრული ჰქონდა: ქალს ჩაუტარდა კომპლექსური თერაპიის ინტენსიური კურსი; საჭირო შეიქნა უდიდესი ძალისხმევა როგორც სპეციალისტების, ისე თავად პაციენტისა და მისი მეუღლის მხრიდან. ყოველივე ამან სასურველი შედეგი გამოიღო: წყვილი დღესდღეობით ნორმალური ინტიმური ცხოვრებით ცხოვრობს და უკვე შვილიც ჰყავს.



აფროდიტეს წყევლა

„დაფნეს კომპლექსი“

სქესობრივი აქტის მიმართ შიში, გარკვეულწილად, არქტიპულია და აქვს, როგორც ფიზიოლოგიური, ისე სოციალურ-ისტორიული საფუძვლები. ფიზიოლოგიურში იგულისხმება ქალისთვის პირველი სქესობრივი კონტაქტის მეტნაკლები მტკივნეულობა – სწორედ ამას ეფუძნება დეფლორაციის (საქალწულე აპკის გარღვევა) შიში, რომელიც სტრესის პირობებში ხანდახან ვაგინიზმს განაპირობებს. ცხადია, ამას დიდად უწყობს ხელს თავად ქალის ზედმეტი ემოციურობა და ფსიქოლოგიური არამდგრადობა.

სოციალურ-ისტორიული მექანიზმი ჩამოყალიბდა მატრიარქატიდან პატრიარქატიზმამდე გარდამავალ პერიოდში, როდესაც სექსის ცნება ნეგატიური შინაარსით დაიტვირთა. მატრიარქალური მსოფლმხედველობა სექსუალურ ცხოვრებას განიხილავდა როგორც ადამიანური ყოფის ორგანულ ნაწილს, რომელიც დაუკავშირდა მიწის ნაყოფიერების კულტს და, ამდენად, ღვთაებრივი შარავნდით შეიმოსა. ამ ეპოქისთვის უცხო იყო სქესობრივ ცხოვრებასთან ან სხეულის სიშიშვლესთან დაკავშირებული სირცხვილის განცდა და დანაშაულის კომპლექსი. პლანეტაზე შემორჩენილ პრიმიტიულ ტომებს, რომლებიც დღემდე მატრიარქალურ-წარმართული მოდელით ცხოვრობენ, არ აღენიშნებათ არანაირი სექსუალური გადახრა. ისტორიულად ცნობილია – სექსის „გაჭუჭყიანება“, მისი დანაშაულის განცდით დამძიმება, სწორედ პატრიარქატის წიაღში განხორციელდა. იმ პერიოდიდან იღებს სათავეს ყოველგვარი სექსუალური დარღვევა – მათ შორის ვაგინიზმიც.

ელინურ მითოლოგიაში მკაფიოდ აისახა ქალური შიში ინტიმური კავშირის და, ზოგადად, მამაკაცის წინაშე. ამ მხრივ აღსანიშნავია ძალზე პოეტური და სევდიანი მითი დაფნეს შესახებ. დაფნე გახლდათ არკადიელი ღმერთის – ლადონის ასული, რომელიც აპოლონმა შეიყვარა და მისი დაუფლება გადაწყვიტა. მშვენიერი ნიფთა გაიქცა, მაგრამ როდესაც იგრძნო, რომ ვეღარსად წაუვიდოდა, გაჩერდა, ხელები აღაპყრო და მამას შეევედრა – ხელ მაქციე, რაკი ჩემი მშვენება ასეთ საფრთხეში მაგლებსო! ვნებისგან ანთებულ აპოლონს ულამაზესი ნიფთას ნაცვლად, ხელში დაფნის ხე შერჩა. ხელ გადაქცევის ამ მისტერიაში კოდირებულია ვაგინიზმის არსი – ქალწულის პანიკური შიში და თავდაცვითი ბარიერი, რომელსაც აღმართავს ორგანიზმი აგრესიული სამიჯნურო შემოტევის წინაშე. ეს შიში იმდენად ყოვლისმომცველია, რომ ქალის მთელ არსებას იპყრობს. ხანდახან, საშოსა და მენჯის პარალელურად, ადგილი აქვს თეძოებისა და მუცლის კუნთების სპაზმს – ქალი თითქოს „ხევდება“.

ვაგინიზმს არა მარტო ფობიური (შიშებით განპირობებული), არამედ ისტერიული ბუნებაც აქვს. ამ შემთხვევაში, მას განაპირობებს წარსულში მიღებული ნეგატიური გამოცდილება, რომელსაც სექსი, ქვეცნობიერად, „ტაბუს“ სფეროში გადაჰყავს.

ექიმთან მიღებაზე მოვიდა ახალგაზრდა ქალი, რომელსაც ვაგინიზმის მიზეზით დაენგრა ოჯახი და შემდგომაც ვერ ააწყო ინტიმური ცხოვრება. არანაირ ძალადობას მის შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. ფსიქოლოგთან საუბრისას გაირკვა, რომ პაციენტს ბავშვობიდან

აწუხებდა მამის წინაშე დანაშაულის არაცნობიერი განცდა: მამამისი ხშირად მორიგეობდა სამსახურში და დედასთან დარჩენილი გოგონა არაერთხელ გამხდარა იმის მოწმე, თუ როგორ მოჰყავდა ქალს ნაირ-ნაირი მამაკაცები. დედის შიშით მამას ვერაფერი უთხრა, მაგრამ მყარად გაუჯდა სირცხვილისა და შიშის განცდა, რამაც სექსს, მის თვალში, ბინძური, უღირსი ქმედების ელფერი შესძინა. ვაგინიზმი „ჭუჭყისაგან“ არაცნობიერი თავდაცვის საშუალებად გადაიქცა. ქალს ჩაუტარდა ფსიქო და სექსოთერაპიის კურსი, რის შედეგადაც არაჯანსაღი რეაქცია მოეხსნა.

„მძინარე მზეთუნახავის სინდრომი“

ვაგინიზმი მხოლოდ ერთი კერძო გამოვლინებაა იმ ქვეცნობიერი შიშისა და სირცხვილისა, რომლითაც ინტიმურ სფეროს დანაშაულის კომპლექსი ამძიმებს. არანაკლებ დამტანჯველია ფსიქოლოგიურ-ემოციური „გახეხვა“ – ფრიგიდულობა (სექსუალური სიცივე) და ანორგაზმია (ორგაზმის უქონლობა), რასაც უფრო ხშირად სწორედ ფსიქოგენური ფაქტორი განაპირობებს. იგულისხმება მეტისმეტად მკაცრი აღზრდის პირობებში აღმოცენებული კომპლექსები, სიმორცხვე და, რა თქმა უნდა, ზემოხსენებული არქეტიპული „მუხრუჭები“.

ოდესდაც ეკლესიურმა „ცენზურამ“ ინტიმურ ცხოვრებას „ჩამოათალა“ ფიზიოლოგიურ-ემოციური ტკობის ასპექტი და მხოლოდ გამრავლების ფუნქციით შემოფარგლა. ქალს ორგაზმის გარეშეც შეუძლია დაფხმძიმება, ამდენად ფრიგიდულობა-ანორგაზმია პატიოსანი ქალის აუცილებელ ატრიბუტად გამოცხადდა.

მოგვიანებით, ემანსიპაციამ ქალს დაუბრუნა ორგაზმის უფლება, მაგრამ

ფსიქოლოგიური ინერცია მდგრადი აღმოჩნდა და უამრავი დარღვევის მიზეზი გახდა. მამაკაცის შემთხვევაში, განაყოფიერება პირდაპირ კავშირშია ორგანიზმთან, ამდენად, მის სექსუალობას ასეთი მკაცრი ჩარჩოები ვეღარ მოარგეს, სამაგიეროდ, ტექნიკის სფეროში ყოველგვარი „შემოქმედება“ გარყვნილებად შეირაცხა. ცნობილია, რომ კათოლიკე ღვთისმსახურნი „ზედმეტობებისთვის“ (ეს აღსარებაზე ირკვეოდა!) წყვილს რიგგარეშე მძიმე მარხვას აკისრებდნენ.

„სიყვარული არის ყველაზე ძლიერი ვნება, რამეთუ იგი ერთდროულად ეუფლება თავს, გულს და სხეულს!“ – ამბობდა ვოლტერი.

პურიტანულმა მსოფლმხედველობამ სხეულს სიყვარულის უფლება წაართვა და ამ ძალადობის სავალალო შედეგებს კაცობრიობა დღემდე იმკის. აკრძალვითი მოდელის ერთ-ერთი მახინჯი გამოვლინება გახლავთ „მძინარე მზეთუნახავის სინდრომი“, ანუ ათასობით ფსევდო-ფრიგიდული ქალი, რომლებსაც პირადი ცხოვრება სწორედ ამ მიზეზით ენგრევათ – „უსიყვარულო სიყვარულს“ ბედნიერება არ მოაქვს. აფროდიტე არავის პატიობს ძალადობას თავის სამფლობელოში და მისი წყევლა პირად პრობლემებად გვიბრუნდება.

„მძინარე მზეთუნახავის სინდრომის“ მრავალფეროვანი გამოვლინებანი ორ ურთიერთსაწინააღმდეგო პოლუსს შორის თავსდება: პირველი – ეს არის ტიპური დიასახლისი, რომელსაც არ აინტერესებს „საწოლის სამზარეულო“ და მით უფრო კმაყოფილია, რაც უფრო ნაკლებად „შეაწუხებს“ ქმარი. საუბედუროდ, არარეალიზებული ვნებანი ქვეცნობიერში „თუნთუხებს“ და მათ გამოვლინებად სხვისი პირადი ცხოვრებისადმი ავადმყოფური ინტერესი – ჭორობა იქცევა ხოლმე. ასე ცხოვრობს დღეს ქართველ ქალთა დიდი ნაწილი. მეორე კატეგორია – ეს არის ე.წ. „მაძიებლები“, რომლებიც ისევე მწარედ განიცდიან თავის დაუკმაყოფილებლობა-სიცივეს, როგორც მამაკაცი – იმპოტენციას. ასეთი ქალი გამწარებით ეძებს „თავის“ მამაკაცს – პრინცს, რომელიც „გააღვიძებს“ მის სექსუალობას და „აჩუქებს“ ორგაზმს. ხშირად



ყალიბდება „დღის მზეთუნახავის კომპლექსი“, სასტიკი რეალიზმით გაშიშვლებული კლოდ ბუნუელის იმავე სახელწოდების ფილმში. ორივე კატეგორია არარეალიზებული ქალურობის სამწუხარო ნიმუშია.

სიყვარულისკენ – სიყვარულით!

ნამდვილი სიყვარული ჯანსაღი სულის საუფლოა, ამდენად, ჯანსაღ ურთიერთობებს მოითხოვს. ეს არის ერთგვარი „დაკვრა ოთხ ხელში“, ფსიქოლოგიურ-ემოციური და ფიზიოლოგიური ჰარმონია, ამდენად, ძალადობას ვერ გუობს. ამისი შედეგი ხდება ე.წ. „სულიერი გახეხვა“ – სიყვარულის შიში, ყინული, რომელსაც მხოლოდ სითბოთი თუ გააღვლო. გავიხსენოთ დაუნდობელმა კუპაიდონმა დაფნე სიყვარულის ჩამხშობი ისრით დაკოდა, ხოლო აპოლონი არც კი შეეცადა მშვენიერი ნიმფას გულის მოგებას და ჯიქურ შეტევაზე გადავიდა. სწორედ ამიტომ შერჩა ხელში სატურფოს ნაცვლად დაფნის ხე და მას შემდეგ უბედური სიყვარულის სიმბოლო – დაფნის ფოთლის გვირგვინი ამშვენებს!

გავიხსენოთ გამოთქმა – მამაკაცებს უყვართ თვალებით, ხოლო ქალებს ყურებით. ქალი მამაკაცისაგან, უპირველეს ყოვლისა, სითბოსა და ყურადღებას ელის. ვერანაირი თერაპია ნაყოფს ვერ გამოიღებს, თუ მას წყვილის ერთობლივი ძალისხმევა არ ახლავს. ქალის პრობლემების საუკეთესო მკურნალი მასზე შეყვარებული მამაკაცია.



ამ უჩვეულო რომანს საფუძველი ყირიმის ერთ სამკურნალო დაწესებულებაში ჩაეყარა. სწორედ იქ შეხვდა ერთმანეთს მძიმედ დაავადებული ორი ქართველი ახალგაზრდა, რომელმაც სამშობლოსაგან მოშორებით იპოვა სიყვარულიცა და მომავალი ბედნიერი ცხოვრების დიდი იმედიც.



მარინას ზანთსოფელის მშინობა... მშობლს ღირს ჩისქის შახარ ზანთინა

მორენა იბერლიძევილი

მამა გოგობერიშვილი:

– იმ წელსაც მკურნალობის კურსის ჩასატარებლად ვიყავი ჩასული, ერთ მშვენიერ დღეს დავინახე – ქართველი გოგონა ინვალიდის ეტლში ზის. რომეო და ჯულიეტა სამჯერ მქონდა წაკითხული, თუმცა ერთი ნახვით შეყვარებისა არასოდეს მჯეროდა. მარინას როგორც შევხედე, იმწუთსვე ვიგრძენი, რომ უსაზღვროდ შემიყვარდა. ერთმანეთი გავიცანით. ოთხი წლის მანძილზე ვხვდებოდით (ყოველწლიურად გვიწევდა ყირიმში სამკურნალოდ ჩასვლა). თავიდან მარინას ძალიან ეშინოდა ოჯახის შექმნის, მაგრამ სიყვარულმა გაიმარჯვა და, ბოლოს და ბოლოს, დამთანხმდა. ვიცოდით, მშობლები ჩვენი დაქორწინების წინააღმდეგნი იქნებოდნენ, ამიტომ გავიპარეთ. შემდეგ ჯვარი დავიწერეთ და ქორწილიც გადავიხადეთ... სიხარულთან ერთად, ჩვენს ქორწილს ბევრი ცრემლიც ახლდა. სეფაში შუქი გამოვართვევინეთ და ნეფე-დედოფლის სუფრამდე, სანთლის შუქით მივედით...

მარინა გოგობერიშვილი:

– 1985 წელს პუშკინის სახელობის ინსტიტუტში, კიბერნეტიკის ფაკულტეტზე ჩავაბარე, სწავლის დაწყებიდან სამი თვის შემდეგ, გრიპი შემეყარა. ყურადღება არ მიმიქცევია – მეგონა, ჩვეულებრივი გაცივება იყო და მალე გამოვივლიდა. ერთ საღამოს ტკივილი ვიგრძენი კისრის არეში, დღით კი ფეხები დამიბუჟდა: ადგო-

მა ვცაღე და ვერ მოვახერხე. საავადმყოფოში მიმიყვანეს და აღმოჩნდა, რომ ვირუსმა ხერხემალი დამიზიანა, რამაც ფეხების დამბლა გამოიწვია. თავიდან რესპუბლიკურ საავადმყოფოში, შემდეგ კი ყირიმში ვმკურნალობდი. ამის შემდეგ, ძნელად, მაგრამ მაინც ვმოდრაობდი ჯოხის დაუხმარებლად. მალე ისევ გავცივდი და ყველაფერი გამეორდა. მკურნალობა პირველთან შედარებით, ნაკლებად შედეგიანი აღმოჩნდა – ახლა, როგორც ხედავთ, ძალიან შეზღუდულად, მაგრამ მაინც ვმოდრაობ. ესეც ზახას დამსახურებაა: როდესაც დავქორწინდით, სისტემატური ვარჯიშებით ფეხზე დამაყენა.



მამა:

– პირველი ტრავმა 1983 წელს, ბორჯომში მივიღე. სპორტს მივსდევდი და მწვერვალების დაპყრობა მიტაცებდა. კლდეზე თოკების გარეშე ავდიოდი. ერთხელ, ნაწვიმარზე, ფეხი ამისხლტა და თხუთმეტსართულიანი სახლის სიმაღლიდან ჩამოვვარდი. ქვაზე დავეცი და ხერხემლის უმძიმესი ტრავმა მივიღე. ჯერ თბილისში მიმკურნალეს, შემდეგ, ერთი წელი ყირიმში გავატარე. რომ ჩამოვედი, ყოველდღიურად 6-7 საათი ვვარჯიშობდი. სხვათა შორის, აღდგენითი სავარჯიშოების უმეტესი ნაწილი მე თვითონ გამოვიგონე. ყველაფერმა ამან თავისი შედეგი გამოიღო, ყვარჯინების დახმარებით შემემძლო მოძრაობა.

თბილისში, საპროტესტო აქციები რომ დაიწყო, შიმშილობის პირველ აქციაზე ინვალიდის ეტლით მივედი (ქუჩაში ყავარჯინებით გასვლას მაინც ვერიდებოდი) და მოშიმშილეებს შევუერთდი. ოთხი დღის შემდეგ დავკარბიეს. ისე დაუზოგავად მცემეს, რომ ხერხემალი კვლავ დამიზიანდა, ხელიც მომტეხეს – მოკლედ, მთელი მკურნალობა წყალში ჩამეყარა... ისევ ყირიმი, ისევ ხანგრძლივი მკურნალობა, აღდგენითი ვარჯიშები. თუმცა ჩემი ტანჯვა არც ამით დამთავრებულა: უკვე მეორედ ფეხადგმული, ქალაქში მაინც ეტლით გავდიოდი და ერთხელ, ტროტუარზე მდგარს შემთხვევით მანქანა დამეჯახა და ისევ ხერხემლის ტრავმა მივიღე, რამაც სამუდამო დაღი დამასვა – ცუდი შესორცების გამო. ვე-

ღარც ვვარჯიშობ და გაუსადღისი ტკივილები დამრჩა. ამას მხოლოდ ქირურგიული ჩარევა თუ უშველის, მაგრამ ასეთ ოპერაციას საქართველოში კი არა, ევროპის ბევრ ქვეყანაშიც ვერ აკეთებენ: ყოველ შემთხვევაში, მარტო გერმანიიდან მომივიდა დადებითი პასუხი – მპირდებიან, რომ ტკივილების მოხსნას მაინც მოახერხებენ. თუმცა ოპერაცია ოთხმოცი ათასი გერმანული მარკა ჯდება. ჯანდაცვის სამინისტრო თხუთმეტი ათას მარკას მირიცხავს, დანარჩენი თანხის მოგროვებას რამდენიმე თვეა უშედეგოდ ვცდილობთ...

— **რამდენიმე თვის წინ ოროთახიანი ბინა გაჩუქეს. ეს თქვენს აქტიურობის შედეგი იყო თუ ვინმეს ინიციატივა?**

მარინა:

— როგორც ხედავთ, ნახევარსარდაფში ვცხოვრობთ. აქ ჯანმრთელ ადამიანსაც გაუჭირდება ყოფნა, ეტლს მიჯაჭვული ადამიანისთვის კი ამ კიბეზე ჩამოსვლა თითქმის შეუძლებელია. ზაზა ბალიშების დახმარებით ჩადის ხოლმე. მე კი რამდენჯერმე დავიმტვერი, მოტეხილობაც მქონდა და ოპერაციაც დამჭირდა... მიემართეთ პრეზიდენტს განცხადებით ბინის თაობაზე და მართლაც, გვაჩუქეს. ისან-სამგორის გამგეობის ხელმძღვანელებმა კი პანტუსის (ინვალიდის ეტლით ასასვლელი ბილიკის) აგება და ბინის გარემონტებაც იკისრეს. მართალია, სამუშაოები დროებით შეჩერებულია, მაგრამ ალბათ მალე განახლდება და ცოტა ხანში ახალ ბინაში გადავალთ.

— **თქვენს ოჯახს, ნინიკოს გაჩენამ სრულყოფილი სახე მისცა. რადგან ბავშვს ძირი-**

თადად, მარტო ზრდით, ალბათ ბევრი პრობლემა გექნებათ? მაგა:

— მარინამ შვილი დიდი რისკის ფასად გააჩინა, მშობიარობა რთული ჰქონდა, ნინიკო საკეისრო კვეთით დაიბადა. ერთ წლამდე ბუბუთი კვებავდა და სულ ჩვენთან იყო. დროდადრო მარინას მშობლებს თავისთან მიჰყავთ ხოლმე. ძნელია ჩვენთვის ბავშვის გაზრდა, მაგრამ არ ვუშინდებით. ნინიკო ჯერ სამი წლის არის, მაგრამ უკვე ცდილობს, დაგვეხმაროს: მარინა წყლის მოსატანად რომ დააპირებს წასვლას, გაიქცევა და დაასწრებს ხოლმე. მანქანა მყავს და ოჯახიდან გასვლა ძალიან ხშირად მიწევს. მანქანის ხმას გაიგონებს თუ არა, მაშინვე გამობრბის – ეტლს მომიგორებს და ხელს მანამდე არ გაუშვებს, სანამ არ დარწმუნდება, რომ მყარად დგას და არ გაგორდება...

— **მარინამ საუბარში ახსენა — ვმუშაობდი, მაგრამ ბავშვის გაჩენის შემდეგ თავი დაფანტული. საერთოდ, რა სპეციალობა გაქვთ?**

მაგა:

— წელს იურიდიულ ფაკულტეტს ვამთავრებ, ექიმი-კოსმეტოლოგის სერტიფიკატიც მაქვს (დედაჩემი სპეციალობით კანის დაავადებათა ექიმა, თვითონვე გამოიგონა მალამო, რომელიც კანის დაავადებებს კურნავს და, როგორც მემკვიდრეს, მეც მასწავლა მისი



დამზადება), კომპიუტერი ორივემ კარგად ვიცით. სხვათა შორის, ერევანში სამკურნალოდ რომ ჩავდიოდით, თავისუფალ დროს ოქრომჭედლობა ვისწავლე. მთავარია, ოპერაციის პრობლემა მოვაგვარო, მერე ვარჯიშებით მე თვითონ მოვახერხებ, თავი იმ დონემდე აღვიდგინო, რომ რომელიმე სპეციალობით ვიმუშავებო.

მარინა:

— პირველი ტრავმის შემდეგ, როგორც კი მოვახერხე ყავარჯნების დახმარებით მოძრაობა, ისევ ჩავაბარე სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტში. ოთხი წლის მანძილზე ყველა სესიის გამოცდებს ვაბარებდი, მაგრამ ტრავმების გამო და ბავშვის გაჩენის შემდეგ, ვეღარ მოვახერხებ, ბოლო კურსზე ერთი სემესტრული და სამი სახელმწიფო გამოცდის ჩაბარება. როგორც ზაზამ აღნიშნა, კომპიუტერს დავეუფლეთ და ერთხანს „ინვალიდ ქალთა საერთაშორისო ორგანიზაციაში“ ვმუშაობდი.


მაგა:

— მარინა კარგად ქსოვს, კერავს. მოღვლებსაც თვითონ იგონებს, ამიტომ დიდი სურვილი მაქვს, პატარა მოღების სახლი გავუხსნა. ახლა მთლიანად ოჯახის მოვლით არის დაკავებული. მთელი დღე ფეხზე დგას. ჯანმრთელი ქალი ათ წუთში რომ გააკეთებს, იმ საქმეს მარინა ერთი საათი უნდება ხოლმე, მაგრამ სიძნელეებს არ ებუება – ღამის ოთხ საათამდე არ წვება... ერთი სიტყვით, ტკივილებისა და პრობლემების მიუხედავად, ცხოვრებას მაინც არ ვუშინდებით და გადაწყვეტილი გვაქვს: ახალ ბინაში რომ გადავალთ, ნინიკოს ძმა უნდა ვაჩუქოთ!..



თითქმის ორი თვეა, რაც უზენაეს სასამართლოში პოლიციელის მიერ ჩადენილი მკვლელობის საქმის განხილვა მიმდინარეობს. პროკურატურის მასალებმა სასამართლო დარბაზში ძალზედ ბუნდოვანი სახე მიიღო, მოსამართლის მიერ საქმის ხანგრძლივი გამოძიება კი, რასაც თან ერთვოდა პროცესებს შორის ხანგრძლივი პაუზები, საზოგადოების მხრიდან დიდი მითქმა-მოთქმისა და ეჭვების საბაზი გახდა. ამ საქმის შესახებ ჩვენ უკვე ვწერდით (იხ. „გზა“, №32). ამიტომ მხოლოდ მის არსს შეგახსენებთ.

„ღეს უღანაჟაულო ვარ, კაკაჟი 20 წლის შედეგ, ხალს ნაქვილ ღანაჟაჟედ ღანუბრუნღაჟი“



„პოლიციელის საქმიდან“ 5 ტყვიან ბაძრა?

მეზი სანავა

განსასჯელს – 21 წლის ვახტანგ თიგიშვილს ბრალი ადამიანის განზრახ მკვლელობაში ედება. ნასვამმა თიგიშვილმა, რომელიც მომხდარი ფაქტის დროს ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის თანამშრომელი გახლდათ, მისთვის სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად გადაცემული „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეთიდან გასროლით, უღანაჟაულო კაცის – სამარშრუტო ტაქსის მძღოლის, აფხაზეთიდან ლტოლვილის, 39 წლის ჯიმშერ ჯანჯუღიას სიცოცხლე იმსხვერპლა. მკვლელობა 2000 წლის 28 მაისს, მეტრო „სარაჯიშვილის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, დაახლოებით საღამოს 11-ის ნახევარზე მოხდა.

პროკურატურა ვახტანგ თიგიშვილს, ჯიმშერ ჯანჯუღიას განზრახ მკვლელობის გარდა, დების – ნატო და თამარ ლორთქიფანიძეების სიცოცხლის ხელყოფის მცდელობაშიც ადანაშაულებს. საქმის მასალებში აღნიშნულია, რომ სამარშრუტო ტაქსის მიმართულებით გასროლის შემდეგ, თიგიშვილმა იარაღი გოგონებს დაუმიზნა, თამარს პისტოლეთის ლულა საფეთქელზე მიაღო, სასხლელეს ხელი გამოჰკრა, მაგრამ გასროლა არ მოხდა – იარაღში მეტი ტყვია არ აღმოჩნდა... გოგონებმა ყვირილი ატეხეს, რაზეც მათთან, იქვე მომუშავე ნაცნობი მძღოლები მივიდნენ. სწორედ მათ შეიტყვეს პირველებმა იმის შესახებ, რომ თიგიშვილი პოლიციელი გახლდათ, რადგან მისი ფილეტის ჯიბეში

ამის დამადასტურებელი მოწმობა იპოვეს. გლდანის რაიონის პოლიციამ იგი იმ საღამოსვე დააკავა.

ზემოთ აღნიშნული დანაშაულობების ჩადენისათვის, კანონის შესაბამისად, სახელმწიფო ბრალმდებელმა ვახტანგ თიგიშვილის 20 წლით თავისუფლების აღკვეთით დასჯა მოითხოვა.

სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე პროცესზე სიტყვით თავად განსასჯელი გამოვიდა, მან ჯიმშერ ჯანჯუღიას განზრახ მკვლელობა, ისევე როგორც დები ლორთქიფანიძეების სიცოცხლის ხელყოფის მცდელობა, არ აღიარა.

„ვაცხადებ, რომ პროკურატურის მიერ წაყენებულ ბრალდებებში თავს მხოლოდ ნაწილობრივ ვცნობ დამნაშავედ. ჯიმშერ ჯანჯუღია განზრახ არ მომიკლავს, ის მე გაუფრთხილებლობის გამო, უნებლიეთ შემომაკვდა. ამას მთელი არსებით ვინანიებ და მისი ორი შვილის წინაშე პასუხისმგებლობას ვიღებ. რაც შეეხება ლორთქიფანიძეებს, მათთვის არაფერი დამიშაგებია, მათ ჩვენებებში ერთი სიტყვაც კი არ შეეფერება სინამდვილეს და ვწუხვარ, რომ მთელი გამოძიება, სწორედ ამ არარეალურ ვერსიაზეა აგებული...“

განსასჯელის ადვოკატები აცხადებენ, რომ საქმე არასრულყოფილად არის გამოძიებული. „სამარშრუტო ტაქსის დათვალიერება მხოლოდ ზედაპირულად მოხდა. არავინ დაინტერესებულა, დაედგინა – რა სიჩქარით მოძრაობდა მანქანა ან რომელ სიჩქარეში იქნა იგი გაჩერებული. ამის გარკვევა ექსპერტ-სპე-

ციალისტებს შეუძლიათ, მათ პასუხს კი გამოძიებისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნებოდა. საინტერესოა, როგორ მოახერხა გულში ტყვიამოხვედრილმა კაცმა, მანქანის დაძვრა და წაყვანა? ცხადია, რომ სამარშრუტო ტაქსი იქ არც გაჩერებულა, უბრალოდ გზაზე ჩაიარა, რა დროსაც თიგიშვილის პისტოლეთიდან გავარდნილი ტყვია მძღოლს მოხვდა. ამის დასამტკიცებლად სასამართლოს ექსპერტიმენტის ჩატარება მოვთხოვეთ, თუმცა მოთხოვნა არ დაგვიკმაყოფილეს“ – გვითხრა ადვოკატმა ფრანგიშვილმა.

„სასამართლო პროცესს ხელოვნურად აჭიანურებენ“ – აღნიშნავს დაზარალებულის მხარე და აცხადებს, რომ ამის მიზეზი განსასჯელის ადვოკატების უსაფუძვლო შუამდგომლობებია, რომელთაც მოსამართლე რატომღაც აკმაყოფილებს. თიგიშვილის ახლობლები კი პროცესის გაჭიანურებაში დაზარალებულ – დებ ლორთქიფანიძეებს ადანაშაულებენ. განსასჯელის მხარის მტკიცებით, მათ გამოძიებას და სასამართლოს ზედიზედ ცრუ ჩვენებები მისცეს.

განსაკუთრებული ეჭვები სასამართლო გამოძიების ბოლო ეტაპზე თამარ ლორთქიფანიძის განცხადებას მოჰყვა. მისი თქმით, შემთხვევის ადგილზე ორი კი არა – შვიდი ტყვიის მასრა იქნა ნაპოვნი. ეს განცხადება ყველასთვის, დაზარალებულის ადვოკატებისა და სახელმწიფო ბრალმდებლისთვისაც კი, მოულოდნელი აღმოჩნდა.

საქმის მასალების მიხედვით, 2000 წლის 28 მაისს, შემთხვევის ადგილზე თიგიშვილმა ორჯერ გაისროლა – ერთხელ ჰაერში და მეორედ – სამარშრუტო ტაქსის მიმართულებით. შესაბამისად, სა-

მართლდამცავებმა ორი ტყვიის მასრა ამოიღეს. სწორედ იმ დროს, როცა სახელმწიფო ბრალმდებელმა და მხარეების ადვოკატებმა საბოლოო სიტყვა თქვეს, რასაც წესით, მოსამართლის განაჩენი უნდა მოჰყოლოდა — დაზარალებული თამარ ლორთქიფანიძე წამოდგა და სასამართლო კოლეგიას განუცხადა, რომ შემთხვევის ადგილზე შვიდი ტყვიის მასრა იქნა ნაპოვნი. მისი თქმით, ამის შესახებ მას მკვლელობის დღეს პოლიციელებმა მანქანაში უთხრეს, როდესაც იგი პროკურატურაში დასაკითხად მიჰყავდათ. მოსამართლის შეკითხვაზე — თუ რატომ არ აღნიშნა მან შვიდი მასრის ამოღების ფაქტი ადრე, თამარ ლორთქიფანიძემ ორი წუთის წინ ნათქვამი სიტყვები უარყო და დასძინა, რომ მსგავსი რამ მისთვის მანქანაში არ უთქვამთ. ამის შესახებ პროკურატურაში ლაპარაკობდნენ, მაგრამ ზუსტად არ მახსოვს, რა რაოდენობის მასრებზე იყო საუბარი — აღნიშნა მან, თავისი მოულოდნელი განცხადება კი დაბნეულობით ახსნა. პროცესის დასრულებისას თამარ ლორთქიფანიძეს ტირილი აუვარდა.

ამ ინციდენტის შემდეგ ბუნებრივად გაჩნდა კითხვა — ხომ არ ჰქონდა ადგილი თამარ ლორთქიფანიძეზე ზეწოლას ან მუქარას?

ლონდა ოთხოზორია, მოკლული ჯიმშერ ჯანჯულიას მეუღლე:

„ვეფირობთ, განსასჯელის მხარემ, კერძოდ, მათი ინტერესების დამცველმა ადვოკატმა — ზურაბ როსტიაშვილმა იზრუნა იმაზე, რომ დები ლორთქიფანიძეები დაეშინებინა, რათა, ბოლოს და ბოლოს, მათთვის სასარგებლო განცხადებები გაეკეთებინათ. მაშ, რისთვის დასჭირდა თამარ ლორთქიფანიძეს, ყველასთვის მოულოდნელად, სასამართლო გამოძიების ბოლოს შვიდი მასრის ხსენება? სიმართლეს მაინც ვერ დაამტკიცებენ (ეს მათ თავიდანვე შესანიშნავად იცოდნენ), ძიების ჩახლართვას, საქმის გაჭიანურებას და, უფრო მეტიც, განსასჯელის სასარგებლოდ მოსამართლის თვალში თავიანთი ჩვენებებისადმი უნდობლობის გაზრდას კი ხელი შეუწყვეს...“

დაზარალებული ლორთქიფანიძეები განსასჯელის მხრიდან რაიმე დაინტერესებას, ზეწოლას ან მუქარას უარყოფენ.

თამარ ლორთქიფანიძე:

„მე აღნიშნული განცხადება არავის მუქარის გამო არ გამიკეთებია, არც რაიმე დაინტერესება მაქვს ამ საქმეში. სიმართლე ვითხრათ, ჩვენი ერთადერთი ინტერესი მოკლულის ოჯახის ნუგე-

შისცემა და მათი მხარდაჭერაა, თორემ ჭეშმარიტებას რომ საქართველოში ვერ დაადგენ, სიანხლეს არ წარმოადგენს. სამწუხაროდ, მაშინდელ სასამართლო პროცესზე ეს ვერ გავითვალისწინე... შემთხვევის ადგილზე რომ დაახლოებით შვიდი გასროლა მოხდა, მე და ჩემმა დამ ჩვენებებში არაერთხელ დავაფიქსირეთ. თიგიშვილმა ნატოსთან კამათისას, ჯერ ორი, ჩემი მისვლის შემდეგ კი — სამი თუ ოთხი ტყვია ისროლა. ფაქტი 11 საათისთვის მოხდა. იმავე დღეს, პოლიციელებმა გლდანის რაიონის პროკურატურაში წაგვიყვანეს. ოთახში გამოძიებელი იყო, რომელიც ჩვენებას გვაწერინებდა. ამ დროს იქ სხვა თანამშრომელი შემოვიდა და შეგვეკითხა — რამდენი გასროლა მოხდა? მე ვუპასუხე — დაახლოებით 7-მეთქი. ამაზე მან გვითხრა — ჰო, მართალი ხარ, შემთხვევის ადგილზე, სწორედ შვიდი მასრა იპოვესო. როცა სასამართლო პროცესზე აღნიშნეს, ორი ტყვიის მასრა ამოღებული — განცვიფრებულმა, ჩემს დას გადავხედე და ვუთხარი: რატომ ამბობენ ორს, როცა ადრე შვიდ მასრაზე ლაპარაკობდნენ-მეთქი. სწორედ ამიტომ განვუცხადე მაშინ მოსამართლეს ამის შესახებ, მაგრამ როცა პროკურორსა და ადვოკატებს შევხედე, მივხვდი, რომ არ უნდა მეთქვა, რადგან ჩემს სიტყვებს ვერ დავამტკიცებდი. აბა, რომელი სა-მართლდამცავი იტყვის — ფული ავიღე და 5 ტყვია საქმიდან გავაქრეო? თუ ჩემ პირისპირ თავისი სიტყვის გადათქმა მოერიდება რომელიმე პოლიციელს? როცა ამ აზრმა თავში გამიღვავა, მაშინვე ვთქვი, პროკურატურაში ციფრი — 7 არ დაუსახელებიათ-მეთქი. სხვათა შორის, მასრების თაობაზე გარდაცვლილის მხარის ინტერესების დამცველ ადვოკატებსაც ვუთხარი, მათ კი უპასუხოდ დამტოვეს. რომ გავფეროთხილებინე ვინმეს — ამ სიტყვებს სამართალდამცავების წინააღმდეგ არავინ დავიდასტურებო — არც ვეცდებოდი რაიმეს თქმას.“

დაზარალებულის ადვოკატებმა ჩვენთან საუბრისას თამარ ლორთქიფანიძის სიტყვები არ დაადასტურეს:

„მასრების შესახებ რაიმეს თქმას თუ აპირებდნენ, არ უთქვამთ. ის, რომ

შვიდი გასროლა მოხდა — რეალურია, მაგრამ, სამწუხაროდ, საქმეში მხოლოდ ორი მასრა ფიგურირებს და ამის დამტკიცებას ჩვენ უკვე ვერ შევძლებთ. როგორც ჩანს, დებმა ლორთქიფანიძეებმა ეს არ გაითვალისწინეს, არ იცოდნენ, რომ მათ ნაჩქარევ განცხადებას შემდგომში განსასჯელის მხარე ხელზე დაიხვევდა“.

სად გაქრა 5 მასრა? — ამ შეკითხვაზე პასუხით დღეს მაინცდამაინც არავინ ინტერესდება. თუმცა, ყველა უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ პროკურატურამ, რომელმაც პოლიციელის მიმართ განზრახ მკვლელობის მუხლით საქმე აღძრა, მისთვის მდგომარეობის ცოტათი შემსუბუქებაზე უარი არ თქვა. რაც შეეხება თავად პროკურორს — კოჭლამაზაშვილს, თამარ ლორთქიფანიძის მიერ 7 მასრის ხსენებაზე, მან გაკვირვებისგან მხრები აიჩეხა. „მისგან გამოძიების მასალებში არსებული სიყალბის აღიარებას არც არავინ ელოდა“ — დასძინენ დაზარალებულები. სასამართლო პროცესზე დაკითხულმა პოლიციელებმა შემთხვევის ადგილიდან ორი ტყვიის ამოღების ფაქტი ერთხმად დაადასტურეს.

თამარ ლორთქიფანიძის გამოსვლას განსასჯელის მხარისგან მოსალოდნელი რეაქცია მოჰყვა.

ლია თიგიშვილი, ვახტანგ თიგიშვილის დედა:

„როგორ შეიძლება ამის შემდეგ ლორთქიფანიძის ჩვენებებს ვენდოთ და მისი სიტყვები დავიჯეროთ?! არადა, მთელი საქმე, სწორედ ამ დების მიერ შეთთხნილ ზღაპარზეა აგებული. ჯერ ამბობენ, პოლიციამ 7 ტყვიის მასრა იპოვაო, მერე კი, როცა დაინახეს, რომ ამ სიტყვებზე თავად სახელმწიფო ბრალმდებელმაც მხრები აიჩეხა, სასწრაფოდ გადათქვეს და ორი წამის წინ ნათქვამ დაბნეულობას მიაწერეს. სინამდვილეში იცით, რა მოხდა? მივხვდნენ, რომ ჩვენი ადვოკატი, განზრახ მკვლელობაში ვახ-



ოს უდანაშაულობას ამტკიცებდა და უკვე მოსამართლის სიტყვამდე იყო საქმე მისული, ამიტომაც ლორთქიფანიძემ კიდევ ერთხელ გაიბრძოლა, რათა მთელი სასამართლო გამოძიება თავდაყირა დაეყენებინა და ჩემი შვილის წინააღმდეგ ახალი ბრალდება შეეთითხნა. ლორთქიფანიძეებს იმ ორი ნაცნობი მამაკაცის დასახელება არ სურთ, რომელთაც ჩემი შვილი სასტიკად სცემეს“...

განსასჯელის თქმით, ნატო ლორთქიფანიძესთან გამოლაპარაკებისას, მასთან ორი მამაკაცი მივიდა, მათ ცემა დაუწყეს და სწორედ ამ დროს ამოიღო პირველად პისტოლეტი და მათ დასაშინებლად ჰაერში გაისროლა. ისინი გაიქცნენ, თიგიშვილი კი ადგილზე დარჩა და იარაღის გადახსნა დააპირა, რათა ჩარჩენილი ერთი ტყვია ამოეღო.

„მაშინ პისტოლეტიდან ტყვია უნებლიეთ გავარდა, მეც არ ვიცი, როგორ მოხდა. ალბათ იმ დროს გზაზე სამარშრუტო ტაქსმა გაიარა და მძღოლი ისე დაიჭრა. პირადად მე არც მძღოლი მინახავს და არც მანქანა... იმ უნებლიე გასროლის შემდეგ კვლავ გზის მოპირდაპირე მხარეს გადავედი, რათა ნატო ლორთქიფანიძისთვის იმ პირთა ვინაობა შეეცნო, რომელთაც მცემეს“

– განაცხადა განსასჯელმა ჩვენებისას. დაზარალებული ლორთქიფანიძეები აღნიშნული მამაკაცების არსებობას უარყოფენ, უფრო მეტიც, ისინი იმის შესაძლებლობასაც კი არ უშვებენ, რომ ნასვამი თიგიშვილი, შეიძლება, იმ დღეს ვინმეს ეცემა.

„გამორიცხულია, რადგან როცა თიგიშვილი ჩემთან მოვიდა, 11-ის ნახევარი იქნებოდა, მაისი იყო და ძალიან არ ბნელოდა. ამიტომ მისი სახეც შესანიშნავად დავინახე და ტანსაცმელიც – იგი ნაცემს ნამდვილად არ ჰგავდა“ – ამბობს ნატო ლორთქიფანიძე. თუმცა, აღსანიშნავია, რომ საქმის მასალებში არსებობს ექსპერტიზის დასკვნა, რომლის მიხედვით, თიგიშვილს ცემის შედეგად მიღებული სხეულის მსუბუქი დაზიანებები აღენიშნებოდა. ამავე დასკვნის მიხედვით, ექსპერტიზა მას შემთხვევის დღეს – 2000 წლის 28 მაისს ჩაუტარდა. „ჩვენს ქვეყანაში რა არის გამორიცხული? ექსპერტიზის ყალბ დასკვნას ვერ დაწერდნენ?“ – ამბობენ დაზარალებულები. გამორიცხული ნამდვილად არაფერია და ამაში თანდათან უფრო ვრწმუნდებით, რადგან როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, დაზარალებულისა და განსასჯელის მხარეებს შორის თანხის შეთავა-

ზების ფაქტებსაც ჰქონია ადგილი. **ლია თიგიშვილი,** განსასჯელის დედა:

„ყველაზე დიდ აღშფოთებას ჩემში დაზარალებულის საქციელი იწვევს. როცა ეს ტრაგედია მოხდა, ძალიან განვიცადე, დღე და ღამე ვტიროდი, 40 დღის მანძილზე, ჭირისუფალივით, შავები მეცვა და ყოველ მეორე დღეს გარდაცვლილის საფლავზე დავდიოდი. არ ვიცოდი, რით გამომეხატა თანაგრძნობა, ჩემი სულიერი მდგომარეობა, სამწუხაროდ, მათ ეს არ დამიფასეს. ყველასათვის მოულოდნელად 22.000 ლარი მომთხოვეს, მატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად“...

დაზარალებულის მხარე საპირისპიროს აცხადებს. მათ სასამართლო კოლეგიას რამდენჯერმე ოფიციალური განცხადებითაც კი მიმართეს იმის თაობაზე, რომ თიგიშვილის ახლობლები მათზე სისტემატურ ზეწოლას ახდენენ.

„თავდაპირველად ფულის შემოთავაზებით დაიწვეს. ბინაში მოდიოდნენ, ხან ერთ სახლს გვთავაზობდნენ, ხან მეორეს. ერთხელ ვიდაც კაცი მოვიდა და გვეუბნება – დაფიქრდით, ის ქალი (განსასჯელის დედას გულისხმობდა) ასე ამბობს, ფული აიღონ, რაღა პროკურატურას ვაჭამო, ბარემ ობლებს მოახმარეო... ვერაფერი რომ ვერ გააწყვეს, მერე მუქარაზე გადავიდნენ. სასამართლო პროცესებზე სპეციალურად მარტო ქალები დავდივართ, რადგან გვეშინოდა, მამაკაცები წონასწორობიდან არ გამოეყვანათ და კიდევ ერთი უბედურება არ დატრიალებულიყო. განსაკუთრებით განსასჯელის მეგობრები, პოლიციის თანამშრომლები აქტიურობენ, პროცესებზე სპეციალურად ჩვენს მხარეს სხდებიან და იმუქრებიან – ეს უდანაშაულო ბიჭი თუ დაისაჯა, ინანებთ, თანაც მწარედ, თუმცა არაფერი გამოგივათ, ამ ბრალდებებს ვერ დაუმტკიცებენო...“

განსასჯელი, **ვახტანგ თიგიშვილი:**

„არც მე და არც ჩემს ახლობლებს დაზარალებულების, მით უმეტეს, მოკლულის მხარის დაშინება არ გვაწყობს და არც გვიცდია, რადგან ეს, რომც მოვიწოდოთ, მაინც არაფერს მოგვცემს. ისინი ამას სპეციალურად, სიტუაციის დასამძიმებლად თხზავენ. უნდათ, საზოგადოების თვალში საშიშ დამნაშავედ გამომიყვანონ. დღეს უდანაშაულო ვარ, მაგრამ 20 წლის შემდეგ ციხიდან, ალბათ ნამდვილი დამნაშავე დაგბრუნდები – ამაზე არავინ ფიქრობს...“

„...ნი ზოგადად მიიყვანეს, ჩომ, უსასკოვო, მანიპოლაცია დაიბრკალოს“

ახლახან ქვემო ქართლის სამხარეო პროკურატურამ „რუსთაველ მანიპოლაციაში“ ეჭვმიტანილი პაატა სხირტლაძის ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნა მიიღო. თუმცა, დასკვნაში, რომელსაც სუთი თვის მანძილზე ელოდნენ, ექსპერტები მის შერაცხადობაზე ზუსტ პასუხს ვერ იძლევიან.

ანა პირველი

საექსპერტო კომისიის წევრების მტკიცებით, სხირტლაძე იმდენად რთული ავადმყოფი აღმოჩნდა, რომ მის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე დასკვნების გაკეთება ამ ეტაპზე შეუძლებელია. აღსანიშნავია, რომ პატიმარი ციხის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში 2000 წლის სექტემბერში მოათავსეს. იმ დროიდან იგი ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება.

ფსიქიატრთა განცხადებას იურისტებს შორის სხვადასხვა რეაქცია მოჰყვა. ბევრი მათგანი ექსპერტთა სიტყვებს ეჭვის თვალით უყურებს – ხომ არ არის ეს არაფრისმთქმელი დასკვნა წინასწარგამიზნული, მორიგი ნაბიჯი გამოძიების გასაჭიანურებლად? სპეციალისტებს ასე არ მიანიათ. მათი მტკიცებით, პრაქტიკაში ბევრია შემთხვევა, როცა რთულ ავადმყოფს ერთი წლის მანძილზეც კი აკვირდებოდნენ. ამ შემთხვევაში განხილავთ მთელი კითხვა – განეკუთვნება თუ არა სხირტლაძე ასეთ სერიოზულ ავადმყოფთა რიგს? ამ შეკითხვებით საექსპერტო კომისიის ხელმძღვანელს, ფსიქიატრ – **აბელ მამარდაშვილს** მივმართეთ:

– მართალია, პაატა სხირტლაძე ციხის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში სუთი თვის განმავლობაში იწვა, მე საქმეში მხოლოდ ერთი თვის მანძილზე ვიყავი ჩართული. ეს პერიოდი კი საკმარისი არ აღმოჩნდა იმისთვის, რომ მისი შერაცხადობის საკითხი გარკვეულიყო. სხირტლაძე საკმაოდ რთული ავადმყოფი გახლავთ და მივედით იმ გადაწყვეტილებამდე, რომ საჭიროა მისი მკურნალობა და მასზე დაკვირვება გაგრძელდეს.

– **ამჟამად როგორია მისი მდგომარეობა?**

– ახლა ნორმალურად არის, თუმცა ზუსტად ვერაფერს ვიტყვით.

– **ცნობილია, რომ სხირტლაძეს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში**

შერაცხადია თუ არა პაატა სხირტლაძე?



ოფოსთან შეხება ადრე, დაბატიმრებამდეც უკონდა. მაშინ, როცა მას დედა გარდაეცვალა, ნერვიულობის ნადაგზე ფსიქიკური დარღვევები აღმოაჩნდა და რამდენიმე თვის განმავლობაში საავადმყოფოშიც მკურნალობდა. სწორედ ეს დეტალი ხომ არ გახდა მისი ფსიქიკის ეჭვქვეშ დაყენების მიზეზი?

— რა თქმა უნდა, ჩვენ ყველაფერი გაეთვალისწინეთ. სამართალდამცავებსაც ეს რომ არ მიეღოთ მხედველობაში, მაშინ ექსპერტიზის დანიშნებას არც მოითხოვდნენ.

— ამის გარდა, სხვა კონკრეტული მიზეზი არ ყოფილა?

— კონკრეტული მიზეზი არ გახლავთ ის, რომ იგი ასეთ საშინელ დანაშაულებებშია ეჭვმიტანილი? ცხადია, ასეთ სადისტურ ქმედებას ნორმალური ფსიქიკის ადამიანი არ ჩაიდენს.

— მაგრამ სხირტლაძისთვის ეს ბრალდება ვერ არ დაუმტკიცებიათ...

— სამაგიეროდ, მისი ფსიქიკის შესწავლის აუცილებლობის საკითხი დადგა.

მამარდაშვილის მტკიცებით, წინასწარ იმის თქმა, თუ რამდენ ხანში დასვავენ დიაგნოზს, შეუძლებელია. ექსპერტებმა სამართალდამცავებს სხირტლაძის ფსიქიკური კლინიკაში მოთავსება ურჩიეს. როგორც შევითვქვით, პროკურატურაში, სოფელ ქვიტირის ან ქალაქ ფოთის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მის გაგზავნაზე საუბრობენ.

დავით კორკოტაშვილი, პაატა სხირტლაძის ადვოკატი:

„არა მგონია, ასეთი სერიოზული ავადმყოფის (როგორც ამას ექსპერტები სხირტლაძეზე ამბობენ) სოფელ ქვიტირის ან ქალაქ ფოთის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გაგზავნა მართებული იყოს. მოგესვენებთ, აქ — დელაქაქაში არსებულ მსგავს დაწესებულებებში არ არის დაცული ელემენტარული პირობები და, რა თქმა უნდა, ქვიტირისა და ფოთში სხირტლაძე სათანადო ყურადღების ქვეშ ვერ იქნება. გარდა ამისა, მისი ნათესავები, ახლობლები ვერ შეძლებენ ხშირად მის მონახულებას და დახმარებას, რასაც თბილისში უფრო ახერხებენ. ამიტომაც ვფიქრობთ, რომ გლდანის რაიონის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში სხირტლაძის მოთავსება უფრო სამართლიანი იქნება. არა მგონია, არაადამიანურმა პირობებმა ავადმყოფზე ისე იმოქმედოს, რომ ექსპერტ-ფსიქიატრებმა მისი ფსიქიკის სიჯანსაღეზე ახლო მომავალში სწორი დასკვნის გაკეთება შეძლონ.“

33 წლის, თბილისელ, პაატა სხირტლაძეს სამართალდამცავები გარყვნილ ქმედებასა და ქალის გაუპატიურების მცდელობაში ადანაშაულებენ. დღესდღეობით, მას ბრალდება, სწორედ შესაბამისი მუხლებით აქვს წაყენებული. თუმცა, ცნობილია, რომ გარდა ამისა, იგი 1999 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე რუსთავში მომხდარ, არასრულწლოვანი გოგონების სერიულ მკვლელობებშია ეჭვმიტანილი. ეჭვის საბაბად კი, პროკურატურამ სხირტლაძისა და ფოტორობოტის მსგავსება დაასახელა.

ამ ფაქტს თავიდანვე დიდი გამოხმაურება მოჰყვა. თავდაპირველად მოსახლეობას სხირტლაძის მანიაკობის დაჯერება არ გასჭირვებია. თუმცა, მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელის ნაცნობ-მეგობართა შეხედულებებსა და მონათხრობს გაეცნო, საზოგადოების უმეტეს ნაწილს, აზრი საგრძობლად შეეცვალა. ამჯერად, ხალხისთვის უფრო დამაჯერებლად ის ჟღერს, რომ პროკურატურამ გაუხსნილი საქმის „აკიდებას“, ვინმე უბრალო, ჭაღარა, წვეროსანი მამაკაცისთვის მისი გადაბრალბა არჩია.

დავით კორკოტაშვილი:
„შესაფერისი მომენტიც იპოვეს. სამართალდამცავთათვის საამისოდ ისეთი პატარა მიზეზიც კი საკმარისი აღმოჩნდა, როგორც გზაზე ქვების სროლა. დავინახეთ, ვიღაც კაცი ქვებს ისროდა, მოსახლეობას აწუხებდა, თანაც ისეთი გარეგნობა ჰქონდა, რომ მაშინვე რუსთაველი მანაკის ფოტორობოტი გაგვასხენდა და დავაკავთო — თქვეს პოლიციელებმა და პროკურატურამაც სხირტლაძის წინააღმდეგ საქმე აღძრა.“

პაატა სხირტლაძე 2000 წლის 20 ივნისს დააკავეს. პროკურატურის ინფორმაციით, არსებობს რეალური პიროვნებები — ორი არასრულწლოვანი გოგონა და ერთი შუახნის ქალი, რომლებიც მას გარყვნილ

ქმედებასა და გაუპატიურების მცდელობაში ამხელენ. სამართალდამცავთა თქმით, ეს საკმარისი საფუძველი გახდა იმისთვის, რომ სხირტლაძე რუსთავში სამი გოგონასა და თბილისში სოფიკო კუბლაშვილის მკვლელობაში ეჭვმიტანილად ეცნოთ.

დავით კორკოტაშვილი:

„ის მამხილებელი ჩვენებები, რომლებიც გამოძიებლებს საქმეში აქვთ ჩადებული, არარეალურია. ეს ერთი შეხედვითაც ნათლად ჩანს. მე-8 კლასელი გოგონების ჩვენებებს, სადაც დეტალურადაა არის აღწერილი, თუ როგორ ეწეოდა სხირტლაძე სამარშრუტო ტაქსიში გარყვნილ ქმედებას, მათი მასწავლებლებისა და თანაკლასელების ოფიციალურად დაფიქსირებული სიტყვები სავსებით აქარწყლებს. საეჭვოა ასევე, იმ ქალის ჩვენებაც, რომელიც სხირტლაძეს გაუპატიურების მცდელობაში ადანაშაულებს. წარმოიდგინეთ, პაატა 2000 წლის ივნისში დააკავეს, ის ქალი კი პოლიციაში ასეთი განცხადებით, რამდენიმე თვის შემდეგ ცხადდება. საინტერესოა, საიდან შეიტყო მან მისი დაკავების შესახებ?“

სამართალდამცავთა მიერ შეგროვებული ასეთი ყალბი ჩვენებები ნებისმიერ ადამიანს გამოიყვანს წონასწორობიდან. ის, რომ სხირტლაძის ფსიქიკური მდგომარეობა პროკურატურამ ეჭვქვეშ დააყენა, რეალურად მოკლებული არ არის, რადგან მას ჯანმრთელობა ამ მხრივ, ნამდვილად შერყეული აქვს. მაგრამ მიზეზი ამისა გახლავთ არა ის, რასაც სამართალდამცავები გულისხმობენ — „მანიაკალური გადახრები“ და ა.შ., არამედ ის არანორმალური, არაადამიანური პირობები და დამოკიდებულება, რაც სხირტლაძეს ციხეში დახვდა. პოლიციელთა მიერ მის დაკავებამდე, პაატა სრულიად ჯანმრთელი და ჯანსაღი აზროვნების პატრონი გახლდათ. სხირტლაძის განათლებაზე, ერუდიციაზე, პიროვნულ თვისებებზე მის მეგობრებსა და ნაცნობებს სათითბო შეუძლიათ ისაუბრონ და რეალური მაგალითები და ფაქტებიც კი მოიყვანონ.

დღეს კი პაატა სხირტლაძის პიროვნება განადგურებულია, ამ ფაქტმა იგი სულიერად მოკლა. ყველაფერში დამნაშავე სახელმწიფოა — სახელმწიფომ შერაცხა ის მანიაკად და მანვე მოახვედრა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. პაატასთვის უკვე ყველაფერი სულ ერთია, იგი იმ ზომამდე მიიყვანეს — თუ მოსთხოვენ, მანიაკობასაც დაიბრალდებს.“

პაატა სხირტლაძის საქმის სასამართლო განხილვა დაახლოებით სამ თვეში დაინიშნება. როგორც ამბობენ, სხდომა დახურული იქნება. ადვოკატის თქმით, ბრალდებულის შერაცხადობის საკითხიც საბოლოოდ, ალბათ, სასამართლოში გაირკვევა.

ინფორმაციულ-მედიის სფეროში

ეოჩა დვალის უბის წიგნაკრები:

1. პაპობის თეოკრატიის, შეუზღუდავი ძალაუფლების პროგრამა გრიგოლ VII-მ წამოაყენა, დიდ წარმატებასაც მიაღწია და პენრიხ IV აიძულა, კანონში ფეხით სვლიდა.

2. ლეონარდო და ვინჩი შეძლებული ნოტარიუსის და გლეხი ქალის უკანონო შვილი იყო.

3. „ტასოს ჩივილი“, „ებრაული მელიოდიები“, „ბეპო“, „ირლანდიელი ავატარა“, „ინგლისელი ბარდები და შოტლანდიელი მიმოძიებულები“. ეს ქმნილებანი ჯორჯ ბაირონს ეკუთვნის.

4. ჰანიბალმა ოთხი ენა იცოდა.

5. ცნობილი სიმღერა „სადაც არის გათენდება, აღსდექ, მუშავ, შენ!“ თბილისელ მგოსანს, ღაირის დაკვრის ოსტატსა და აშულს, ჰაზირას ეკუთვნის.

6. ჰააგა ნიდერლანდების სამეფო კარისა და მთავრობის რეზიდენციაა. P.S. ჰააგა სიტყვასიტყვით გრაფის მეხერს ნიშნავს.

7. სანდრო ახმეტელს 1924 წლის აჯანყებისადმი თანაგრძობისათვის დახვრება ჰქონდა მისჯილი. P.S. სასჯელისაგან იგი კოტე მარჯანიშვილმა დაიხსნა.

8. რუსეთმა უკრაინის შეერთების გადაწყვეტილება 1653 წლის პირველ ოქტომბერს მიიღო. P.S. უფრო მოგვიანებით ეს გადაწყვეტილება 1654 წლის 8 იანვარს პერეასლავის რადაზე (კრებაზე) დადასტურდა.

9. თხზულება „რჩევა-დარიგება მუღლეებს“ ამბოზენ, პლუტარქეს მუღლის სიყვარულმა დააწერინაო. P.S. პლუტარქეს ცოლს ტიმოქსენე ერქვა.

10. შიშის ღმერთს ბერძნულ მითოლოგიაში ფობოსი ჰქვია.

11. ბოგდან ხმელნიცკი თურქების ტყვეობაში ორ წელიწადს იმყოფებოდა.

12. „ილიადა“ და „ოდისეა“, ევროპის კონტინენტზე შექმნილი, ჩვენამდე მოღწეული პირველი ლიტერატურული ნაწარმოებებია. P.S. ორივე ნაწარმოები ოცდაოთხ სიმღერად არის დაყოფილი. „ილიადა“ 15 691 სტრიქონს შეიცავს, „ოდისეა“ – 12 107 სტრიქონს.



ღარი ბრძელიშვილი

„სამედოციონი“ გარმონი

ეს ამბავი საქართველოს ერთ მიგრუბულ რაიონში მოხდა — ზაფხულობით თუ ჩაფიოდნენ ხოლმე თბილისელი დამსვენებლები და იქაურობა ბავშვების ყრიაშულით, გვიანობამდე მოსეირნე წყვილებით და უნივერსიტეტთან, ბირჟაზე მოყვანე ახალგაზრდობით ხალისდებოდა.

კუკური მშრომელი ადამიანი იყო, უბრეტენზიო და პატიოსანი გლეხის განსახიერება. ორი ქალიშვილი ჰყავდა, ორივე თბილისში იყო გათხოვილი. სიძეებიც სანაქებონი ჰყავდა. ისე მოხდა, რომ ქვისლები სესნიები იყვნენ — ორივეს ბადრი ერქვა.

ერთი გინეკოლოგი იყო და თბილისის ერთ-ერთ სამშობიაროში, წამყვანი სპეციალისტის სახელი ჰქონდა განთქმული. არც მეორე ბადრი იყო ნაკლები, ბავშვობიდან გარმონზე უკრავდა და საკმაოდ კარგადაც — ფანოლებში ცნობილი ფანოლი გახლდათ, მის გარეშე ახლომხლო არც ჭირის სუფრა ჩაივლიდა და არც ლხინისა. ზაფხულობით, სიმამრს ხან ერთი ეწვეოდა და ხან მეორე. ძალიან დაკავებულები იყვნენ, ძნელად თუ შეიყრებოდა ხოლმე სიმამრისას ერთად ორივე ქვისლი... კუკური მათით ძალიან ამაყობდა — ჰქონდა კიდევ ამის საბაბი. უბნის ფანოლი სიძე

რაიონის თვალი იყო, როგორც კი მის ჩამოსვლას გაიგებდნენ, მთელი „ყარაჩოხლები“ მათთან იყრიდნენ ხოლმე თავს — ხან ციკანი იკვლებოდა და ხან ცხვარი... არც გინეკოლოგი იყო ნაკლებად დაფასებული — როცა „ბადრი ექიმი“ რაიონში იყო, იქაური, ნახევრად დანგრეული საავადმყოფოს ერთადერთი ექიმით დაწყებული და წყაროსთან დილა-საღამოს ჩამომსხდარი დედაკაცებით დამთავრებული, ყველა მის იმედად იყო — ხან რჩევას ეკითხებოდნენ, ხან ანალიზის პასუხს ამოწმებინებდნენ... ეგ კი არა, წნევის გასაზომდაც კი მასთან გამობობდნენ ხოლმე ზოგ-ზოგიერთები.

იმ ზაფხულს, ეს ამბავი რომ მოხდა, გინეკოლოგი ბადრი საზღვარგარეთ იყო სიმპოზიუმზე წასული. ძალიან რომ ჩამოცხა, მისმა ფანოლმა ქვისლმა მანქანაში ცოლი და ცოლისდა ჩასხა ბავშვებთან ერთად და დასასვენებლად სიმამრთან, რაიონში გაემგზავრა. რა თქმა უნდა, არც გარმონის ჩაღება დავიწყებია საბარგულში.

კუკური დიდის ამბით მიეგება სიძე-ქალიშვილებს, საღამოს სუფრაც გაშალა და ახლო მეზობლებიც გადმოიპატიჟა. კარგად მოიღვინეს — გამთენიისას დაწვა ბადრი დასაძინებლად...

დილაუთენია მანქანის ბლუილმა და გაუთავებელმა სიგნალებმა გააღვიძა. ფანჯრიდან გახედა — ჭიშკართან ახალგაზრდა ბიჭი იდგა — უფრო სწორედ

კი, თითების მტვრევით სცემდა ბოლო-ას.

ბადრის გულმა რეჩხი უყო – თბილისიდან ცუდი ამბავი ხომ არ ჩამოუტანიათო.

ტანსაცმლის ძებნა აღარ დაუწყია, ფეხი სანდლებში წაყო, ხალათი წამოისხა და „ნიფხავ-პერანგის“ ამარა გამოვარდა ეზოში.

– რა ამბავია, ხომ მშვიდობაა?! – მისალმება არ აცალა აშკარად აღელვებულ ახალგაზრდა კაცს.

– უკაცრავად, დილაუთენია გაწუხებთ, მაგრამ ძალიან გვიჭირს, ბატონი ბადრი უნდა წავიყვანო სასწრაფოდ... – სხაპასხუპით მიყვარა ახალგაზრდამ.

– მე ვარ ბადრი, გენაცვალე, რაშია საქმე? – ახლა უკვე ბადრიც შეშფოთდა ისე, რომ აღარც „პახმელია“ ახსოვდა და აღარც გამოუძინებლობა.

– ამდენი დრო არ მაქვს, ბიძაჩემო! შენი ჭირიმი, დროზე წავიდეთ, „დაჩნიკი“ ვარ თბილისიდან, ადგილზე ავიხსნით ყველაფერს, ძალიან ვთხოვთ, არ დავაგვიანოთ, თქვენთან გამოგზავნეს. – ჩამოსული ყოფილა და ის თუ გვიშველისო...

– დაიბნა ბადრი. ნეტა, რაში უნდა ვჭირდებოდე ამ დილაადრიან, ან ვის უნდა ვჭირდებოდეო. მაგრამ ახალგაზრდა კაცი ისეთი შეწუხებული ჩანდა, ბევრი ლაპარაკი აღარ დაუწყია. ახლავე მოვალო, მიუგდო ჭიშკართან მდგომს და სახლისკენ გაიქცა. შუა გზაში შეჩერდა, ისევ მობრუნდა.

– ინსტრუმენტიც წამოვიღო?
– კი, კი, აბა რა. ყველაფერი წამოიღეთ, თქვენი ჭირიმი, არ დავაგვიანოთ, ასევე წამოდი, როგორც ხართ, ბევრი დრო არ გვაქვს...

– ახლა კი დაფაცურდა ჩვენი ბადრი, ფართხაფურთხით ავარდა სახლში, უშველებელ გარმონის ჩემოდანს ხელი დასტაცა და ეგრევე, ხალათიან-ნიფხავ-პერანგთანად გამოიქცა ჭიშკრისკენ. ახალგაზრდამ ჩემოდანი დიდი მოწიწებითა და სიფრთხილით ჩამოართვა.

– აქ არის ხომ, ყველაფერი?!
– კი ბატონო, მეტი ინსტრუმენტები მე არ მაქვს და...

– არა უშავს, არა უშავს, დანარჩენს იქ მოამზადებენ, – ჩაილაპარაკა ახალგაზრდამ და „ჟიგული“ ბლილით დაძრა ადგილიდან. ორივე ხელით სავარძელს ჩაფრენილ ბადრის არც ლაპარაკის სურვილი გასჩენია და არც განმეორებით

შეკითხვისა – სად მივდივართო და რატომ მივდივართო. ოღონდრო გზებზე ხტუნვის შემდეგ „ჟიგული“ ნახევრად დანგრეული საავადმყოფოს ეზოში შეგრიალდა. მძლოლი უთქმელად გადმოხტა მანქანიდან, საბარგულიდან ჩემოდანი „ამოათრია“ და გაჭირვებით, მაგრამ მაინც სირბილით გაიქცა საავადმყოფოს შესასვლელისკენ, – რამდენიმე კაცი, ალბათ, მისი ნათესავები რომ შეკრებილიყვნენ.

– ხომ არ დავაგვიანეთ... აი, მოვიყვანე ბატონი ბადრი, პირდაპირ, საწოლიდან წამოვაცადე... – ეუბნებოდა აქლოშინებული ახალგაზრდა კაცი დამხვდურებს, რომლებიც, რატომღაც, ჩუმ-ჩუმად ქირქილებდნენ და ხან ერთ-მანეთს უყურებდნენ, ხან საავადმყოფოს ეზოში აწურულ, ნიფხავ-პერანგის ამარა მდგომ ბადრის, რომელიც ნელანელა ხვდებოდა, რაც მომხდარიყო და დაბნეული ილიმებოდა.

– გამაგებინეთ, კაცო, რაშია საქმე... ხომ მშვიდობაა... ხომ ყველაფერი კარგადაა... – უთავბოლოდ იმეორებდა ახალგაზრდა კაცი, ჩემოდნის სიმძიმით წელში მოხეჩილი – ალბათ, აღელვებისგან, აქამდე ხელში ეჭირა.

– კაი, ბიძია! დადგი ახლა მაგი გარმონი ძირს და მოდი აქნა, მოვილოცო, ბიჭის მამა ხარ!

– რომელი ბიჭის... რომელი გარმონი... მე ვარ გიჟად თუ, თქვენ გადაირიეთ...

– დამხვდურებს საავადმყოფოდანაც გამოემატნენ. ახლა უკვე სულს ვერ იბრუნებდნენ, ისე იჭაჭებოდა ყველა.

– კაცო, ეგ გინეკოლოგი კი არა, მეგარმონეა, მაგისი ქვისლია გინეკოლოგი, ქვისლი... – ამბობდა ერთი ახარხარებული ბიძა-კაცი და ბადრისკენ იშვერდა ხელს, ჩაბჭირებული, მანქანასთან რომ ჩაჩოქილიყო.

– კაი, ახლა, ბიძია, დაწყნარდი. ხომ ვითხარი, ბიჭის მამა ხარ, ყველაფერი კარგადაა, ეს გარმონიც ზუსტად დროულად მოგიტანია – აქვე, კაკლის ჩრდილში გავშალოთ სუფრა...

– საავადმყოფოს ეზოდან გარმონის ხმა, სიმღერა და სიცილ-ხარხარი მოისმოდა. ვინმე უცხოს რომ ჩამოეგლო, დიდად გაკვირვებული დარჩებოდა, რომ დაუნახა, როგორ უკრავდა გარმონს ნიფხავ-პერანგის ამარა, საავადმყოფოს ეზოში მჯდომი ბადრი...

ინფორმაციულ-მედიაციური კოლაჟი

ეორა დვალის უბის წიგნაკოდან:



13. ილია ჭავჭავაძეს დედა, მარიამ ბებურიშვილი, 10 წლის ასაკში გარდაეცვალა, მამა, გრიგოლ ჭავჭავაძე – 15 წლის ასაკში. P.S. ილიას მამიდა, მაკრინე ჭავჭავაძე-ერისთავისა ზრდიდა.

14. პირველი მსოფლიო ომის დროს პიტლერი ეფრეიტორი იყო, ომის დამთავრების შემდეგ – რაისხვერის ფარული აგენტი.

15. ადამიანის ოთხი ტიპი – სანგვინიკური, ქოლერიკური, ფლეგმატიკური, მელანქოლიკური – ჰიპოკრატემ გამოყო. P.S. ჰიპოკრატეს დედა, ფენარეტე, ბეზიაქალი იყო.

16. ერნესტ ჰემინგუეის მოხუცი სანტიაგო ცაცია იყო.

17. უმცროს ოფიცერს რომის არმიის ასეულში ოპციონი ერქვა.

18. ჯორდანო ბრუნო რომის პაპმა კლემენტი VIII-მ დააწვევინა.

19. რომაელები ბერძნებს დაცინვით „გრეკულებს“ ეძახდნენ.

20. ჰესიოდე და პინდარე ბეოტიელები იყვნენ.

21. ნიკოლოზ ბარათაშვილის დედა, ეფემია, გრიგოლ ორბელიანის და და ერეკლე II-ს შვილიშვილი იყო.

22. პალაცინი ძველი რომის ერთ-ერთი შვიდ ბორცვთაგანია.

23. ზევსის სამ ასულს – ბედის ქალღმერთებს – ბერძნულ მითოლოგიაში პარკები ერქვათ. ერთი და ადამიანის სიცოცხლის ძაფს ართავდა, მეორე – ახვევდა, მესამე კი – ჭრიდა.

24. მუშთაიდის ბალი ძველად ავარებისა და კინტობის თავშესაფარი ადგილი იყო. P.S. სწორედ აქ მდებარეობდა გოგიჯანოვის სახელგანთქმული საროსკიპო.

25. ალექსი ჭინჭარაული ვახუშტი კოტეტიშვილთან ერთად, ცოტა არ იყოს, მსუბუქად ჩაცმული ქალბატონების გარემოცვაში მოხვდა და იმწუთსვე გართობა:


„იმომიხნედე, ჩემო ვახუშტო, რა გამომწვევად სდუმან დუმანი! მზადა ვარ, ყველას თითო ვახიშტო და დავურიგო თუმიან-თუმიანი!“



სემონერლობა

არავის სჭირდება შესხენება, თუ რაოდენ დიდი წვლილი შეიტანა კაცობრიობის ისტორიაში დამწერლობის შექმნამ. შეუძლებელია იმის წარმოდგენა, რა გზით განვითარდებოდა ცივილიზაცია, განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე აღადიანებს საჭირო ინფორმაციის გარკვეული სიმბოლოებით დაფიქსირება რომ არ ესწავლათ.

დამწერლობის პირველი ფორმა გარკვეული დახაზული ნიშნების სახით დაახლოებით ჩვენს ერამდე 4 ათას წელს გაჩნდა, მაგრამ მანამდეც, დიდი ხნით ადრე, არსებობდა ინფორმაციის შენახვის და გადაცემის გარკვეული მეთოდები: განსაზღვრული სახით დაწყობილი ტოტების, ისრების, დანთებული კოცონის კვამლის ან სხვა მსგავსი ნიშნების საშუალებით. შეტყობინების ამ პრიმიტიული



პიქტოგრაფიული დამწერლობის მარტივი ნიმუში: ესკიმოს-მონადირის შეტყობინება წარმატებული ნადირობის შესახებ.

სისტემებიდან მოგვიანებით ინფორმაციის დაფიქსირების უფრო რთული სახე გაჩნდა. მაგალითად, ძველმა ინკებმა კვანძების საშუალებით „ჩაწერის“ ორიგინალური სისტემა მოიგონეს. ამისათვის ექვსი სხვადასხვა ფერის ზონარს იყენებდნენ, მათგან სხვადასხვანაირ კვანძს აკეთებდნენ, ჯოხზე ამარებდნენ და ასეთი სახის „წერილს“ ადრესატს უგზავნიდნენ.

არსებობს ვერსია, რომ ინკები ასეთი „კვანძური დამწერლობის“ სახით აფიქსირებდნენ კანონებს, „იწერდნენ“ ქრონიკებს და ლექსებს, ამგვარ დამწერლობას თურმე ძველი ჩინეთის და მონღოლეთის მოსახლეობაც იყენებდა. მაგრამ დამწერლობა ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, მხოლოდ მას შემდეგ გაჩნდა, რაც ხალხმა ინფორმაციის დაფიქსირებისა და გადაცემის განსაკუთრებული გრაფიკული ნიშნები გამოიგონა. დამწერლობის ყველაზე

ძველ სახეობად პიქტოგრაფია – სქემატური ნახატი ითვლება, რომელიც უშუალოდ გამოხატავს საგნებსა და მოვლენებს, რომელზეც მიმდინარეობს საუბარი.

ვარაუდობენ, რომ პიქტოგრაფია ფართოდ იყო გავრცელებული ქვის ხანის ბოლო პერიოდში სხვადასხვა ტომის წარმომადგენლებს შორის. აღნიშნული დამწერლობა საკმაოდ თვალსაჩინო იყო, სპეციალური შესწავლა არ ესაჭიროებოდა და საკმაოდ მოხერხებული იყო მცირე მოცულობის ინფორმაციის და პატარა ნაამბობის ჩასაწერად, მაგრამ როგორც კი რთული, აბსტრაქტული აზრის გადაცემის საჭიროება ჩნდებოდა, მაშინვე იგრძნობოდა პიქტოგრაფიის შეზღუდული შესაძლებლობები. ამიტომ დამწერლობის ისტორიის ადრეულ სტადიაში პიქტოგრაფია რიცხვში ისეთი პირობითი ნიშნები შევიდა, რომელთა საშუალებით გარკვეული აზრის გამოხატვა შეიძლებოდა (მაგალითად, გადაჯვარედინებული ხელები რაიმეს გაცვლას ნიშნავდა). ასეთ ნიშნებს იდეოგრაფებს უწოდებენ.

იდეოგრაფიული დამწერლობა პიქტოგრაფიულის საფუძველზე შეიქმნა, თუმცა ეს პროცესი საკმაოდ დიდხანს, ათასწლეულების განმავლობაში გაგრძელდა. იდეოგრაფიის უმაღლესი ფორმა ებრაული-ფურთხული დამწერლობა გახდა. პირველად ის ძველ ეგვიპტეში გაჩნდა, მოგვიანებით კი ებრაული-ფურთხული დამწერლობამ ფართოდ გავრცელება შორეულ აღმოსავლეთში – ჩინეთში, იაპონიაში და კორეაში პოვა. ებრაული-ფურთხული დამწერლობა საკმაოდ რთული იყო, მისი სწავლის მსურველს, რამდენიმე ათასი ნიშანი უნდა დაემახსოვრებინა, ამისთვის კი რამდენიმე წლის მანძილზე მუდმივი მეცადინეობა იყო საჭირო. ამიტომ წერა და კითხვა იმ დროს ძალიან ცოტად იცოდა.


აღსანიშნავია ისიც, რომ იდეოგრაფია დამოუკიდებელი სახით არასდროს არსებობდა. მაგალითად, ძველ ეგვიპტეში იმ ნიშნებთან ერთად, რომელიც გარკვეულ აზრს ან სიტყვას გამოხატავდა, არსებობდა სხვა, ცალკეული ბგერის ან მარცვლის აღმნიშვნელი სიმბოლოები. ასეთი ნიშნების საჭიროება აშკარა იყო, რადგან ყველა სიტყვის გამოსახულებით გამოხატვა შეუძლებელი ხდებოდა (უპირველ-



სად ეს საკუთარ სახელებს ეხებოდა). წმინდა ფონოგრაფიული სახის დამწერლობაზე (რომელშიც ყოველი სიმბოლო ცალკეულ ასოს ან ბგერას აღნიშნავს) ეგვიპტელები ვერ გადავიდნენ. ეს მნიშვნელოვანი წინსვლა სხვა ქვეყნების დამწერლობამ განიცადა.


ჩვენს ერამდე 2 ათასი წლის ბოლოს, ძველმა ფინიკელებმა ისეთი ანბანი შექმნეს, რომელიც ბევრი სხვა ქვეყნის ანბანის ნიმუშად იქცა. ფინიკელების ანბანი 22 თანხმოვნისგან შედგებოდა, რომელთაგან თითოეული ცალკეულ ბგერას აღნიშნავდა. ასეთი ანბანის გამოგონება კაცობრიობისთვის ძალიან დიდი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. ახალი დამწერლობის მეშვეობით ადვილად შეიძლებოდა ყველა სიტყვის გრაფიკული გამოხატვა. საზოგადოების უმეტესი ნაწილისთვისაც ანბანის შესწავლა მისაწვდომი გახდა. ამის გამო, ძველი ფინიკელების ანბანი მთელ მსოფლიოში გავრცელდა. როგორც ვარაუდობენ, ამჟამინდელი სხვადასხვა ქვეყნის ანბანის ოთხი მეზუთედი ნაწილი სწორედ ფინიკელების ანბანიდან წარმოიქმნა. ფინიკური ანბანის უშუალო „შთამომავალი“ ძველბერაული და ბერძნული დამწერლობაა. ბერძნულმა ფინიკურ ანბანში ბოლო და მნიშვნელოვანი გაუმჯობესება შეიტანეს: – მათ ასოებით არა მარტო თანხმოვანი, არამედ ხმოვანი ბგერებიც აღნიშნეს. სწორედ ბერძნული ანბანი დაედო საფუძვლად ევროპის ბევრი ქვეყნის დამწერლობას: ლათინურს (მისგან თავის მხრივ წარმოიქმნა ფრანგული, გერმანული, ინგლისური, იტალიური, ესპანური და სხვა ანბანი) და სლავურს (სერბიული, რუსული, ბულგარული და სხვა).

ეგვიპტური იეროგლიფები – მაღალგანვითარებული იდეოგრაფიული დამწერლობის ნიმუში. სიმბოლოები არა მარტო საგნებს და მოქმედებას, არამედ რთულ აბსტრაქტულ ცნებებს, საგნების თვისებებს და მოქმედების ნიშნებს აღნიშნავდა.



პერუელების უძველესი „წერილი“






შეგიძლიათ თუ არა ყურადღების კონსენზირება?
 შეგიძლიათ თუ არა ყურადღების კონსენზირება?
 შეგიძლიათ თუ არა ყურადღების კონსენზირება?
 შეგიძლიათ თუ არა ყურადღების კონსენზირება?

16	37	98	29	54
80	92	46	59	35
43	12	8	40	265
65	84	99	7	77
13	67	34	36	18

ორი წუთის მანძილზე მარჯვენა ცხრილის თავისუფალ უჯრედებში განალაგეთ ზრდადობის მიხედვით მარცხენა ცხრილის უჯრედებში ჩაწერილი 25 რიცხვი. რიცხვები ჩაწერეთ მიმდევრობით, სტრიქონების მიხედვით.

ორი წუთის შემდეგ შეამოწმეთ და თითოეული სწორად ჩაწერილი რიცხვი შეაფასეთ 1 ქულით. დათვალეთ ქულათა ჯამი:



21-25 ქულა: საუკეთესო შედეგია, თქვენს მახვილ მზერას არაფერი გამოეპარება, ასეთი ყურადღება და მესხიერება საკმაოდ იშვიათია.

16-20 ქულა: კარგი შედეგია, მობილიზებული ხართ და საქიროების შემთხვევაში კონცენტრირება შეგიძლიათ, თუმცა ხანდახან იბნევით და ყურადღება გეფანტებათ. ეცადეთ, გაიუმჯობესოთ მესხიერება.

15 ქულა და ნაკლები: საკმაოდ დაბნეული ხართ და ყურადღების კონცენტრირება გიჭირთ, თქვენი უსიამოვნებების სათავეც სწორედ ეგ არის. ეცადეთ, სშირად აგარჯიშოთ გონება, მიიღეთ ვიტამინები.

პასუხი:

7	8	12	13	16
18	29	34	35	36
37	40	43	46	54
59	65	67	77	80
84	92	98	99	265



ზნეობის განსაკუთრებით მკაცრი ქომაგები თურმე იტალიის ქალაქ მოდელში ცხოვრობდნენ. 1327 წელს ქალაქის უხუცესებმა ცენტრალურ მოედანზე დადგეს ქვა, რომელზეც აღნიშნულ ხაზს ზევით ქვედაბოლოს ტარება აკრძალული იყო. კანონის დამრღვევები მკაცრად ისჯებოდნენ – მათ ჯვალის ტომარებს აცმევდნენ, სახეს ღორის ქონში სანახევროდ აზელილი ფერფლით უთხუპნიდნენ, თავზე კი ჩიტის სკინტლს ასხამდნენ. ალბათ ქალები იმდენად შეშინდნენ მსგავსი სადამსჯელო ზომებით, რომ მოდამ გრძელ ქვედაბოლოზე (მთლიანად რომ ფარავდა ფეხებს) XX საუკუნემდე მოაღწია, მკაცრად აღებული ზომებით შეკერილ ტანსაცმელს კი დღესაც „მოდელი“ ეწოდება.

1893 წელს ჩიკაგოში გამართულ მსოფლიო გამოფენაზე პირველად იქნა წარმოდგენილი მოკლე ქვედაბოლო: სამი გოგონა პოდიუმზე ისეთი კაბებით გამოვიდა, რომლებიც მხოლოდ მუხლს უფარავდა. ქალიშვილები სტვენით აიკლეს, დამპალი პამიდვრები და ლაყე კვერცხები ესროლეს, ერთ მათგანს კი აღშფოთებულმა მაყურებელმა ქვა მთარტყა. სანამ ექიმი ხალხის ბრბოს გაარღვევდა, გოგონა მოკე-



როგორ მიქვია

ძველ საბერძნეთსა და რომში მოდის მიმდევარ ქალებს მუხლების გამოჩენის უფლება ჰქონდათ. სახელგანთქმული პეტერას თაის აფინელის ქვედაბოლო ნელამდე იყო შესხნილი და სიარულისას იხსნებოდა.

და და, ცხადია, გამოფენაც დაიხურა. გრძელმა ქვედაბოლომ ოდნავ დათმო პოზიციები 1905 წელს: მაშინ კაბის ბოლოდან ფეხსაცმლის წვერი გამოჩნდა პირველად. ამჯერად ქალები ბევრად უფრო ფრთხილად მოქმედებდნენ. ქვედაბოლო თანდათან მოკლდებოდა თითოეული სანტიმეტრით და ქალს ფეხების გამოჩენის საშუალებას აძლევდა. 1909 წელს კი მოდაში ისეთი ვიწრო ქვედაბოლო შემოვიდა, რომ ქალს მოძრაობა უჭირდა. გაჩნდა აუცილებლობა, ასეთი კაბები დაემოკლებინათ ან ჩაეჭრათ. სამ წელიწადში კაბის სიგრძე იმდენად შეიცვალა, რომ ფეხსაცმელები უკვე მთლიანად ჩანდა.

1920 წლისთვის სავსებით მშვიდობიანად იქნა მიღწეული არნახული პროგრესი: კაბის ქვედა კალთის სიგრძე კოჭებს ასცდა. აი ასე, ნელ-ნელა ხდებოდა კაბის დამოკლება.

გაურკვეველია, რით დამთავრდებოდა ეს ყველაფერი, 1963 წელს ინგლისელ მერი კუანტს, მაკრატლის ერთი მოქნილი მოძრაობით მოდაში მინი-კაბები რომ არ დაემკვიდრებინა. თავიდან ეს იდეა მხოლოდ ახალგაზრდობამ აიტაცა. ოჯახის უფროსები ამ სიახლეს – მინი-კაბებს ანადგურებდნენ და საკუთარ ქალიშვილებს მისი ჩაცმისთვის სახლიდანაც კი აძევებდნენ, მაგრამ ძალიან მალე მთელი ინგლისის ქა-



მგალობელი ფრინველი	რობერტსი	პაგივაყრილი სამურაი	წლოვანება	მანქანის ლეტალი	ცერემონიალი	გაღმართებული ქველი																			
მ	7	ც	მ	ე	ი	ე	ჩ	ი	ბ	ჩ	მ	ონ	ი	ნი	ს	ი	ს	ს	ბ	ი	ს	ს	ი	ს	ი
ფოლად ... დლი	ვაბო-მეცეველება	შვედური ფული	გბა აფრიკაში	... ვორობიანი-ნოვი	ლოთახის ნაწილი	თვით-მფრინავი	სილვერსტონი																		

მოდელი

სივარულის ქურუმის მიზაძვით ქალაქელმა ქალებმა ღრმად ჩაასწი-ლი ტანსაცმლის ტარება დაინწყეს, მაგრამ შუა საუკუნეების დასაწყის-ში მსგავს თავაშვებულობაზე მკაცრი აკრძალვა შემოიღეს.

ლეგმა მაინც მინი-კაბები ჩაიცვეს. ექიმებმა მაშინვე შობადობის მკვეთრი მატება დააფიქსირეს, გაუპატიურებათა რიცხვიც საკმაოდ გაიზარდა. მალე მსოფლიოს ქალების უმრავლესობამ მინი მოირგო და სულაც არ ემინოდა, ამით მამაკაცების გადამეტებულ ყურადღებას რომ მიიქცევდა. მერი კუანტმა მსოფლიო აღიარება მოიპოვა და ბევრი ფულიც იშოვა. 1966 წელს ის ბრიტანული იმპერიის იმ ორდენის მფლობელი გახდა, რომლითაც, როგორც წესი, გამოჩენილი საქციელის ჩამდენ ადამიანებს აჯილდოებენ.


1970 წელს ლორა ეშლიმ მოდაში მიდი-ქვედაბოლო დაამკვიდრა: მისი სიგრძე წვივის შუამდე აღწევდა. მართალია, ამ სიახლეს ისეთი აღიარება არ ეწერა, როგორც მინის, მაგრამ გარკვეული დროის მანძილზე, მაინც დაიმკვიდრა

ადგილი პოდიუმებსა და ქუჩებში. მალე მაქსი-ქვედაბოლოც გა-მოჩნდა, მაგრამ არც მას ხელა მყარი წარმატე-ბა. ამ სტილის ქვედა-ბოლო მოუხერხებელი იყო საქალაქო ტრანს-პორტით გადაადგილე-ბისას, განსაკუთრებით კიბეზე მოძრაობისას. კრძელ ქვედაბოლოს იმთავითვე გვერდებში ღრმად შეჭრა დას-ჭირდა.

ჭირვეული მოდა გამუდმებით გვაიძუ-ლებს განვაახლოთ ჩვე-ნი სამოსი. 1988 წელს მსოფლიოს კიდევ ერ-

თხელ მოედო მინი-ქვედაბოლოებით გატა-ცების ტალღა. სწორედ მაშინ გაჩნდა ყველაზე მოკლე მინი-ქვედაბოლო. მისი სიგრძე 22 სანტიმეტრს არ აღემატებო-და. ამასთან, სულ უფრო ხშირად ივიწ-ყებდნენ აქსიომას, რომ რაც უფრო მოკ-ლეა კაბა, მით უფრო მაღალი უნდა იყოს ქუსლი.

თავიდან მოდელიერები ვარაუდობდნენ, რომ მოკლე კაბის ტარებას მხოლოდ ახ-ალგაზრდა და ტანადი გოგო-ნები შეძლებდნენ, მაგრამ ქალებმა სხვაგვარად გადაწ-ყვიტეს. რაც უფრო ასაკო-ვანი იყო მოდის მიმდევარი ქალბატონი, მით უფრო და-ბალქუსლიან ფეხსაცმელს ირჩევდა იგი. ხანგრძლივი, მრავალსაუკუნოვანი ბრძო-ლა იმის გასარკვევად, თუ რა სიგრძის უნდა იყოს ქვე-დაბოლო, საბოლოოდ, ქალებ-ის სრული გამარჯვებით დასრულდა: ახლა თითოეუ-ლი ქალი იმას ირჩევს, რაც თავად სურს. მოდელიერე-ბი კი დაულაღვად გვთავა-ზობენ სიახლეებს...



ინტერვიუ	დაავადება- აუცი ქარი	ელიავა	ბალრაგი ანუ	მჭევრმეტყველება	ფუტკარის სახლი	კუტიური კრისტვიან
პრემილენტი ფრანსუა ...	სვენარისტი კარტერი	პომეროსის კოშმა	ნაში	ნადირის თათი	გრეუკების შემსრულებელი	



ბიორბი მთაწმინდელი - «პერკი რჩეული ღმრთისაი»

გიორგი მთაწმინდელი ღირსი და გამორჩეული მამა ჩვენი ქართული ეკლესიისა 1008 წელს, თრიალეთში დაიბადა. მამამისი, იაკობი წარმოშობით სამცხელი, საქართველოს მთაწმინდელი მეფის, გიორგი პირველის კარზე მსახურობდა. დედა მარიამი ღმრთის სიყვარულით აღვსილი ქალი იყო. მესამე შვილის დაბადებამდე ცოლ-ქმარს აღქმა დაუღვია – თუ ისევ ძე გვეყოლება, ღმერთს შევწერთო. მუცლადღებულ მარიამს ძილში ანგელოზი გამოცხადებია, რომელსაც უთქვამს: „აჰა, ესერა, ჰპოვებ ყრმაი წული, ვერძი რჩეული ღმრთისაი, შეწირე იგი მისსა, რომლისადა აღვითქვამს და სახელი უწოდებ გიორგი!“

7 წლის გიორგი დას, მონაზონ თეკლეს მიუყვანეს ტაძრისის დედათა მონასტერში. მალე გიორგის გონიერებამ და სულიერი მოღვაწეობისაკენ დაუოკებელმა სწრაფვამ ყველა გააკვირვა. ხახულის მამათა მონასტრის გამოჩენილმა მოღვაწეებმა, გიორგის მამის ძმებმა, გრიგოლმა და საბამ ძმისშვილს თავიანთ მონასტერში დააწყებინეს სწავლა. შემდგომში კი კონსტანტინოპოლის ერთ-ერთ სასწავლებელში გაგზავნეს ცოდნის გასაღრმავებლად. 25 წლისა, ლეთიური მადლით შემკული, რაფინირებული სულის, განსწავლული ახალგაზრდა, საქართველოში ისევ ხახულის მონასტერს დაუბრუნდა. აქ ილარიონ თვალოელმა ბერად აკურთხა საყვარელი მოწაფე. მალე გიორგის ასკეტობის სურვილი შეიპყრობს და ყველასაგან მალულად გაშორდება ხახულის მონასტერს. იგი შავ მთასთან, „მთაი საკვირველთან“ მიიყვანა განგებამ. აქ შეხვდება გიორგი შავი მთის სამონასტრო ცხოვრების წინამძღვარ – გიორგი შეყუდებულს, ქართველთა ნათესავს, რომელმაც დაიმოწაფა გიორგი და დაამკვიდა სავანეს რომანაწმინდას, სადაც სამი წელი დიდი შრომით, მარხვით, მოძღვრებით, სიმდაბლით და მორჩილებით ცხოვრობდა მთაწმინდელი. „დიდი ეფთვიმეს შემდგომ, სწორედ ამ ჭაბუკმა უნდა სრულყოს ნაკლულოვნება ენისა ჩვენისაო“ – ამბობდა მოძღვარი, ამიტომაც აღარ დაუყოვნებია, აკურთხა გიორგი სქემით და გაუშვა იერუსალიმში წმინდა ადგილთა მოსახილველად და მოსალოცად.

ასე გაემგზავრა გიორგი შავი მთიდან ათონის მთაზე. მომეტებული თავმდაბლო-

ბის გამო ვერც მღვდელ-მონაზვნობის მიღებას ბედავდა და ვერც წიგნების თარგმნას. ბოლოს, ისევ თავისი მოძღვრის მიერ გამოგზავნილმა სამღურავმა გასჭრა. გიორგიმ მიიღო მღვდელ-მონაზვნობა და დაიწყო წიგნების თარგმნა. მანამდე ეკლესიები ყველა თარგმანს თანაბრად იყენებდნენ მღვდელმსახურების დროს, ეს კი იწვევდა უთანხმოებას და უწესრიგობას მსმენელში. გიორგიმ არსებული ქართული თარგმანები შეუდარა ბერძნულ დედანს, მისცა ისეთი სახე, როგორითაც ვიცნობთ დღეს. ასე, გაუმდებულ ფიქრსა და შრომაში შეიქმნა „ცხოვრებაი ნეტარისა მამისა ჩვენისა იოვანესი და ეფთვიმესი“, რომელიც ათონის ივერთა მონასტრის მხატვრული მატიანეა. მან გადაამუშავა ბიბლია და შექმნა მისეული რედაქცია. თარგმნა სახარება ოთხთავი, სამოციქულო, დავითნი და სხვა რელიგიური წიგნები.

1044 წელს გიორგი მთაწმინდელი ათონის ივერთა მონასტრის წინამძღვარი ხდება. სწორედ ამ დროს იქცა ეს მონასტერი ქართული სულიერი კულტურის კიდევ უფრო მძლავრ კერად. ცნობილია ისიც, რომ ქართველებსა და ბერძნებს შორის არსებობდა ქიშობა იმის გამო, თუ ვინ უფრო ჭეშმარიტი მართლმადიდებლები იყვნენ. სვიმეონ მესვეტის ლავრაში ანტიოქიის პატრიარქის – თეოდოსის დროს 60 ქართველი

ირიცხებოდა. ბოროტმა პირებმა განიზრახეს ქართველების განდევნა ერთხელ და სამუდამოდ. მამა გიორგიმ წიგნი „მიმოსვლა ანდრია მოციქულისა“ გადაუშალა პატრიარქს და უთხრა: თუ შენ პეტრე მოციქულის ტახტზე ზისარ, სამაგიეროდ ქართველები „პირველწოდებულისა და ძმისა თვისისა მწოდებლისა ნაწილნი ვართ და სამწყსონი მის მიერ მოქცეულნი და განათლებულნი და სიმონ კანანელიც ჩვენს ქვეყანაში მარხია... იყო ჟამი, რომელ ყოველსა საბერძნეთსა შინა მართლმადიდებლობა არა იპოებოდა და იოანე გუთელი ეპისკოპოსი მცხეთას იკურთხა ეპისკოპოსად, ვითარცა სწერია დიდსა სვინარქსარსა“.

ნეტარი მამის და გამოჩენილი მნათობის გიორგის პირისპირ ხილვას მთელი ქართველი ერი ნატრობდა. „ხმა ერისა – ხმა ღვთისაო“. დაემორჩილა წმინდანი ერის სურვილს, მოვიდა საქართველოში და 5 წელი დაჰყო. გიორგიმ უარყო წოდებრივი უპირატესობა საეკლესიო საქმეებში და ადამიანის პირადი ღირსება წამოსწია წინ. მეფეებს მოსთხოვა აღმოეფხვრათ უწესობა, დაუღვინა მათ ყოფილიყვნენ სამართლიანნი, ქვრივთა და ობოლთა შემწყალებე. მეფე ბაგრატ IV ჭეშმარიტად ერის სულიერ მამად მიიჩნეოდა გიორგი მთაწმინდელს. თავის შვილი გიორგი, მომავალი ტახტის მემკვიდრეც აკურთხებინა მას.

თავის სამშობლოში ყოფნა ერის წინამძღვარმა მეტად დიდმნიშვნელოვანი საქმით დაავიკრავინა. მან შეკრიბა უღედმამო 80 ბავშვი საბერძნეთში წასაყვანად და სასწავლებლად. ასე ასწავლიდა, ზრდიდა, მოძღვრავდა, ჰკურნავდა და იყო შუამდგომელი ღმერთსა და კაცს შორის. ეს ობოლი ბავშვები ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე დუკასთან მიიყვანა, შეავედრა ჯერ ღმერთს და მერე ხელმწიფობას.

... კონსტანტინოპოლშივე ივრძნო გიორგიმ სიკვდილის ჟამის მოახლოება. ეს იყო 1065 წლის 27 ივნისს. იმ 80-მა ქართველმა ობოლმა გადაასვენა მისი ნეშტი ათონს.

„ხელთა შენთა, უფალო, შეგვედრებ სულსა ჩემსა!“ – ეს იყო უკანასკნელი სიტყვები უფლის მიმართ, რომელიც წარმოთქვა გიორგი მთაწმინდელმა, „ვერძმა რჩეულმა ღმრთისამან“.

60600 შვეპარდნაპი

პარიზში ჩასული ქართველი პუბლიცისტის, იონა მეუნარგი-ასთვის ვიქტორ ჰიუგოს რომ უკითხავს — საიდან ბრძანდებითო და პასუხი — საქართველოდანო — რომ მიუღია, უთქვამს: აა, ლამაზი ქალების ქვეყნიდანო?.. დიდი ფრანგი მწერალი საქართველოში არასოდეს ყოფილა, მაგრამ ბევრი სმენოდა მისი, განსაკუთრებით, ქართველი ქალების მშვენიერების შესახებ. უცხოელ მოგზაურთა საკმაოდ მრავალრიცხოვან ჩანაწერთაგან, მარტო ფრანგი მისიონერი ბერის — იოსებ დელაპორტის სიტყვები იკმარებდა მისთვის (რომ აღარაფერი ვთქვათ: სტრაბონზე, ბაირონზე, ალექსანდრე დიუმასა და კანტზე): „საქართველოში ყველაფერი კარგია, მაგრამ ქართველ ქალებზე უმშვენიერესი არაფერი მინახავს, იმათ რომ ვუცქერდი, განცვიფრებული ვიყავი. ამ ქვეყანას კაცმა „მშვენიერების სავანე“ უნდა უწოდოს“.



დამანა მდივნიშვილი მეუღლესთან ერთად

ქართულ მანდილოსანთა მუშაინიერება

ნათია გოგსაძე

„მშვენიერთა სავანე“ – ასე ჰქვია ქალბატონ დამანა მდივნიშვილის წიგნს, რომელშიც 200 ულამაზესი ქართველი ქალბატონის სურათია თავმოყრილი.

დოსტოევსკისა არ იყოს, თუკი სილამაზე მართლაც გადაარჩენს მსოფლიოს, მაშინ გავაგრძელოთ ეს წიგნი მსოფლიოს ცხელ წერტილებში და ქვეყანაში მშვიდობა დაისადგურებს.

ალბომი მე-2 საუკუნეში მოღვაწე ზევახ ერისთავისა და კარზაკ დედოფლის უდროოდ გარდაცვლილი ქალიშვილის, ულამაზესი სერაფიტას სურათით იწყება და ჩვენი თანამედროვე უმშვენიერესი ქრისტინა შენგელიას პორტრეტით მთავრდება. თავად მომხიბლავ-

მა ქალბატონმა, დამანა მდივნიშვილმა ამ ალბომზე მუშაობა 10 წლის წინ დაიწყო. მშვენიერებას იგი ბავშვობიდან ეტრფოდა.

– ჩვენს სახლში თვეში ორჯერ, ძველი არისტოკრატიული ოჯახების წარმომადგენლებს ვიწვევდით სადილად. მათ შორის ბევრი ულამაზესი ქალბატონი იყო. ბავშვებს საგანგებოდ გამოგვაწყობდნენ და სტუმრებთან დაგვსვამდნენ, რათა საკუთარი თვალთ გვეხილა და აღგვექვა ძველი ქართული სიღარბაისლე. დღესაც კარგად მახსოვს მათი მანერები, ჩაცმულობა, დახვეწილი იუმორი, საოცარი გრძნობით ნამღერი სიმღერები. ბავშვებისათვის ეს თავშეყრა ნამდვილი სასწაული იყო. ალბათ, ამან განაპირობა ჩემი უდიდესი ინტერესი მშვენიერ ქართველ ბანოვანთა მიმართ. გარდა ამისა, მიმაჩნია, რომ ქალის სხეულზე ლამაზი ქვეყნად არაფერია. თუმცა ჩემი ალბომის ყველა მშვენიერებას, გარეგნულ სილამაზესთან ერთად, საოცარი შინაგანი სამყარო და ქართული კლემამოსილება ახასიათებს.

– თქვენს „სავანეში“ უმეტესად დიდგვაროვანი ბანოვანები ფიგურირებენ, რა ნიშნით ირჩევდით ლამაზ ქალბატონებს?

– თავდაპირველად ლამაზ მანდილოსნებს არისტოკრატიულ ოჯახებში ვეძებდი – ბაგრატიონებში, ერისთავებში, წერეთლებში, ანდრონიკაშვილებში, მაგრამ მოგვიანებით შედარებით უბრალო გვარის წარმომადგენლების სურათებიც მოვაგროვე – მე

ხომ ლამაზ ქალებს ვეძებ და არა გვარის შვილებს. თანაც, როგორც მოგახსენეთ, მათ შინაგანი სისპეტაკით ვარჩევ. ჩემი მშვენიერი ქალბატონები თავიანთი ცხოვრების წესითაც სამაგალითონი არიან. მიმაჩნია, რომ სულის მშვენიერება გარეგნობაში აისახება.

– ესე იგი, თქვენთვის ანტიკური ეპოქის ფრაზა: „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია“ – ურყევი ქვშმართებაა?..

– ნამდვილად ასეა. ფორმა შინაარსის გარეშე თითქმის არ არსებობს. საერთოდ, ძალიან მიმდობი და მიამიტი ვარ. სშირად ამის გამო მეგობრები მეჩხუბებიან ხოლმე.

– თქვენს გალერეაში რეპრესირებულ ქალთა სურათებიც არის. რა შეგიძლიათ გვიამბოთ მათზე, ერთ-ერთი მათგანი, თინათინ ჯიქია, კონსტანტინე გამსახურდიას ცნობილი ლექსის მუზა გამხდარა.

– თინათინი ვლადიმერ ჯიქიას, სახელგანთქმული ჰიდრომშენებლის მეუღლე გახლდათ. ვლადიმერ ჯიქიას ჰიდროელექტროსადგურები ჰქონდა აშენებული ინგლისში, გერმანიაში და შვეიცარიაში. საქართველოშიც ბევრი რამის გაკეთება მოასწრო, მაგრამ 1937 წელს ვერ გადაურჩა. ვერავინ გაიგო, რისთვის დააპატიმრეს ან ის, ან მისი მეუღლე. გადასახლებაში მყოფი თინათინი წერდა, გაუსაძლის ყინვაში, როგორ აიძულებდნენ ყინული ეჭრათ და საკმაოდ დიდი ტერიტორია მატარებლის ლიანდაგების დასაგებად მოემზადებო-





თინათინ ჯიქია

ნათ. ნორმის შეუსრულებლობისათვის კარცერში აყურყუტებდნენ მრავალჯის. ყაზახეთის ტრიალ მინდვრებში განზრახ მარილიან თევზს აჭმევდნენ, რათა საშინელი წყურვილით დაეტანჯათ. ზამთარში ფარღალა კარვებში აძინებდნენ და აიძულებდნენ, საცხოვრებელი ეშენებინათ. 4 წლის შემდეგ დაბრუნებული თინათინ ჯიქიას სილამაზეს ისე დაუტყვევებია კონსტანტინე გამსახურდია, რომ დაუწერია:

„ზღვისფერი გაქვს თვალები და თავად გაგხარ ზღვას“...

1992 წლიდან ვაქცევინებდი წერილებს რუბრიკით „მშვენიერების ცრემლიანი დღესასწაული ჯოჯოხეთში“. არაერთი უმშვენიერესი მანდილოსნის ამბავი აღვწერე. მათ შორის გახლდათ იდა კვიციანი სეველიანის თავგადასავალიც. მისი მეუღლე – ბონდო არაჩვეულებრივად განსწავლული კაცი იყო. საზღვარგარეთ დიპლომატიურ სამსახურში იყო. ერთხელ ბერიას უთქვამს მისთვის, უცხოელებთან ერთად სუფრაზე წამიყვანეო. სანამ ლობიოს ხელით ჭამას არ გადაეჩვევი, არაფერი გამოგივაო – განუმრებია ბონდო. გავიდა ხანი და კვიციანი დააპატიმრეს. გამწარებული იდა მცირეწლოვანი ბავშვით ეახლა „ყოვლისშემძლე ლავრენტის“ და მეუღლის მონახულება სთხოვა. ნებართვა მიიღო მხოლოდ იმ პირობით, თუკი საკანში



მერი შერვაშიძე

შესული, მეუღლეს ჰკითხავდა, საჭმელს ხელით როგორ მიირთმევდა.

შეხვედრა შედგა, ზედამხედველმა იდას შეახსენა დავიწყებული დანაბარები. ამის გამოგონე ბონდო კვიციანი იდა დაიღმუკლა – მიხვდა, ოდინდელი ხუმრობისთვის რომ ისჯებოდა. ის იმ დამესვე დახვრიტეს. თურმე თავად ბერიამ ესროლა – თანამდებობის პირებს სხვა ჯალათს არ ანდობდა. ევგენი მიქელაძესაც ხომ თავისსავე კაბინეტში გაუყარა შანთი ყურებში... ვინ იცის, კიდევ რამდენი სიმწარე აქვთ ნანახი ქალბატონებს, მაგრამ თვით ჯოჯოხეთური წამებაც კი ვერაფერს აკლებდა მათ სილამაზეს.

— **ქალბატონო დამანა, ჩვენი საუბარი ძალიან ტკივილიან თემებს შეეხო, მაგრამ არ უნდა დაგვაგინდეს, რომ 14 თებერვალს წმინდა ვალენტინის დღე აღინიშნება. ცნობილია, რომ თქვენ ძალიან ლამაზი სიყვარული გქონდათ...**

— ეს იყო ერთი ნახვით შეყვარება. თეატრალური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ბათუმის თეატრში გამანაწილეს. ბედნიერება მხვდა წილად, მემუშავა ისეთ სახელგანთქმულ რეჟისორთან, როგორც ვასო ყუშიტაშვილი იყო. სხვათა შორის, სულ მთავარ როლებს ვთამაშობდი: ძიძიას, კესოს – „ოთარაანთ ქვრივი“, „ბაგრა-

ტიონში“ – ელიზავეტას... ისეთი პოპულარობა მომიტანა სცენამ, რომ სულ მალე საოლქო საბჭოს დეპუტატად ამირჩიეს. მაშინ მხოლოდ 23 წლის ვიყავი.

ერთ მშვენიერ დღეს ბათუმში მივიღიოდი. ვაგზალზე ჩემი ნაცნობი შემხვდა, რომელსაც ძალიან სიმპათიური მამაკაცი ესაუბრებოდა. მან ისეთი ინტერესით შემომხედა, რომ მაშინვე მიიპყრო ჩემი ყურადღება. დღესაც არ მავიწყდება ის გამოხედვა – საოცრად ჭკვიანი, თბილი თვალები და დაჟინებული მზერა. გულმა მაშინვე რეჩხი მიყო, გამიხარდა: ლამაზი კაცის ყურადღება სასიამოვნოა.

— **ესე იგი, ეს „შემოფეთება“ იყო?..**

— სწორედ... ავიღე ბილეთი და გავეშურე ჩემი ვაგონისაკენ. ვხედავ – შესასვლელში დგას და გზას მილობავს, კიბეზე დროშასავით „გადმოკიდებული“ – რომელია თქვენი ნომერი? – მკითხა. „არ არის საჭირო-მეთქი – კატეგორიულად ვუთხარი და გავეშურე ჩემი ადგილისაკენ. მაშინ ახალგაზრდა ვაგონებს ყოველთვის გამოელაპარაკებოდნენ ხოლმე. მოხდენილად ვიცავდით, ვარცხნილობაც შესაფერისი მქონდა და ვიფიქრე, ყურადღება ამიტომ მომაქცია-მეთქი. ჩვეული შეკითხვები – ვინ ხართ, სად მიდიხართ, რამდენი წლისა ხართ, – რომელიც მატარებლის ვაგონს მიღმა აღარ გრძელდება ხოლმე, თავიდან რომ ამეცილებინა, სასწრაფოდ ამოვიღე პირადი ბლოკნოტი და ლექსების კითხვა დავიწყე. ჩემს საყვარელ პოეტებს ყოველთვის თან „დავატარებდი“. მაგრამ ამან არ მიშველა – თავზე დამადგა და ჯიუტად მთხოვდა, მისთვისაც წამეკითხა რამე. დიდი ხნის ხვეწნამუდარის შემდეგ, უფლება მივეცი, ერთი ლექსისთვის გადაეკლო თვალი. გადაშალა რვეული და იოსებ ნონეშვილის ლექსი შეხვდა... ერთს მეორე მოჰყვა, მეორეს – მესამე და გაიბა საუბარი. თუმცა, მე სახელიც მოგონილი ვუთხარი და პროფესიაც – პედაგოგი ვარ-მეთქი. არადა, სპექტაკლზე გავგრობდი – „ჰამლეტს“ ვდგამდით და ოფელია უნდა მეთამაშა.

ქობულეთში ჩემი კუპე სრულიად დაცარიელდა. მანაც იხელთა დრო და შოკოლადი მოატანინა. სხვათა შორის, ძალიან მიყვარს ტკბილეული და ყვავილები... შეუღლების შემდეგ ყოველ-

დღე მოჰქონდა ხოლმე. ჩვენი სტუმრები ამბობდნენ – წავიდეთ ლაშასთან და დამანასთან, სხვა თუ არაფერი, შოკოლადი და ყვავილები მაინც აუცილებლად ექნებათო...

ბათუმში რომ ჩავვდივით, უკვე დამეგობრებულები ვიყავით. ძალიან მომწონდა, ბედნიერი ვიყავი, მაგრამ ვცდილობდი, არ გამომეხატა – მაინც ვფრთხილობდი. უნდა გენახათ მისი გაცოცხლება, როდესაც მატარებლიდან ჩამოსული, სადეპუტატო გასასვლელით გავიდი ვაზლის ბაქანზე. ბათუმში უკვე ყველა მიცნობდა, შემომხევივნენ თავიანთი მკვლელები და გულშემატკივრები, მეკითხებოდნენ, როდის იქნებოდა ჩემი სპექტაკლი. ის მოულოდნელობისაგან ერთ ადგილას გაშეშდა. უბრალო „პედაგოგი“, უეცრად მსახიობი აღმოჩნდა. სახლამდე მიმაცილა და ყოველდღე მოდიოდა სტუმრად. გვქონდა ძალიან ლამაზი და სასიამოვნო ურთიერთობა. თავდაპირველად, ჩემს შესაფასებლად, მეგობარი მოიყვანა. სუფრის გასაწვობად სამზარეულოში რომ გავიდი, გავიგონე, მეგობარი ეუბნება – ასეთ გოგოს რაღა ფიქრი უნდაო... ძალიან გამიხარდა... მალე დავექორწინდით. საოცარი სიყვარული გვქონდა. ლაშას ჩემამდე ორი შეილი ჰყავდა, რომლებიც არასოდეს მოჰყავდა სახლში – არ უნდოდა, გავეღიზიანებინე. მე კი, პირიქით – სულ ვთხოვდი, გაეცნო ისინი ჩემთვის.

ერთხელაც, ვაკეში მანქანით მოვდივართ და ძალიან ლამაზი ბიჭი დავინახე. ლაშამ გაუცინა, მაგრამ მანქანა არ გაუჩერებია. მაშინვე ვუთხარი – ის ახალგაზრდა შენი გივი უნდა იყოს, ახლავე მანქანა უკან დახიე-მეთქი. ჩავისვით გივი. ბავშვებმა რომ გაიგეს, ჩვენი უფროსი ძმა არისო, ჩაეხუტნენ და კოცნიდნენ... იმის შემდეგ ურთიერთობა არ გაგვიწყვეტია.

სამწუხაროდ, მარტო 15 წელი ვიცხოვრეთ ერთად. ლაშა, სრულიად უმიზეზოდ დააპატიმრეს – ყალბი ლატარიის ბილეთის გამო. საქმე იქამდე მივიდა, რომ დახვრეტა მიუსაჯეს. ეს რომ გავიგე, მოსამართლესთან მივვარდი და ვიყვირე: ჯალათო! იცით, ვის კლავთ – კაცს, რომელსაც ხალხის სამსახურის გარდა, არაფერი უკეთებია-მეთქი... ხოლო მას შემდეგ, რაც მოსაკლავად ვერ გაიმეტეს და 15 წლიანი პატიმ-

რობა მიუსაჯეს, მოსამართლემ შემომითვალა – რა მექნა, ასეთი დავალება მქონდა მიღებულიო.

— კი, მაგრამ რას ერჩოდნენ, უდანაშაულო ადამიანს, მხოლოდ ყალბი ლატარიის ბილეთისთვის ხვრეტდნენ?

— ბოროტმა ადამიანებმა ვაწირეს. მანქანის ყიდვა უნდოდა, ამის უფლებას არ აძლევდნენ. ერთ დღესაც მეგობარმა მოუტანა ლატარიის ყალბი ბილეთი და უთხრა – მანქანის ფული გადაიხადე და ოცნებას აისრულებო. თურმე მახე დაუგეს და სანამ ფულს გადაიხდიდა, მანამ დაიჭირეს. ყველა-საგან გამორჩეული რომ იყო, იმიტომ მტრობდნენ, ჩვენ კი ვერაფერს ვგრძობდით... ციხიდან გამოსვლის შემდეგ, 40 დღეც არ იყო გასული, – შეილის დაბადების დღე გვქონდა. სტუმრები რომ გავაცილეთ, ფანჯარასთან მივიდა და უეცრად, სავარძელში ჩაეშვა. ამქვეყნად აღარ იყო...

დარჩა დიდი ტკივილი, მაგრამ ახლა ჩემი საქმით ვცდილობ დარღვის გაქარვებას. ამ ალბომს ამიტომაც შევალე ამხელა შრომა და ენერჯია... მსგავსი ალბომი არც ერთ ქვეყანაში არ მეგულება. ბედნიერი ვარ, რომ საქართველოს „მშვენიერთა სავანე“ ვაჩუქე.

P.S. ქალბატონი დამანა მეორე ტომის გამოცემასაც აპირებს, სადაც ლამაზ მანდილოსნებს მხარს წარმოსადგეი ქართველი ვაჟკაცები დაუმშვენებენ. საქართველოში „მშვენიერთა სავანეს“ მხოლოდ 200 ლამაზი ქალით ვერ ამოწურავ. ერთი ამდენი უკვე „რიგში დგას“...



ქრისტინა მენგელია

რეპრეზენტაცია



ყოველგვარი სიბრძნის საფუძველია მოთმინება.

კლატონი

ომში დაცემულთ ღმერთებიც პატივსაცემენ და ადამიანებიც; ერთი, ჩემთვის ათი ათასია, თუ ყველაზე უკეთესია; უნდა განაგებდეს რჩეული. ჰერაკლიტე ეფესოელი

ჯერ მიშველე, ჩემო კარგო, მერე ჭკუა დამარიგე.

ჟან ლაფონტენი

ვინც ლამობს ქვეყნად ბოროტებით თავი გაართოს, ნუ აქვს იმედი, განკითხვის დღეს თავი არიდოს! ღმერთმა შეუნდო, ვინც ვერ შეძლო სიკეთის თესვა, მაგრამ ავისმქმნელ არამზადას ის არ დაინდობს.

ომარ ხაიამი

საშინელება ის კი არ არის, რომ მოგატყუეს ან გაგქურდეს. საშინელება ის არის, რომ შენ ეს არ გავიწყდება.

კონფუციუსი

კაცის ზნე და ხასიათი – ოქროს თუ ეკლებია – ნირი, წესი, ჩვეულება – ყველა ალზრდის შედეგია.

პანჩატანტრა

ცნობილია, რომ მგზნებარე განცდა მოკლედ და ნათლად ითქმის. გაბრიელ დერჟავინი

აკაკი გეგენავა

ყოველთვის ვოცნებობდი მოგზაურობაზე. ასე მგონია, არ არსებობს წიგნი მოგზაურობაზე და თავგადასავალზე, მე რომ არ წამეკითხოს. სკოლის ბიბლიოთეკის გამგის გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა დილით გატანილ წიგნს საღამოს თუ არა, მეორე დღეს მაინც ჩავაბარებდი. ვკითხულობდი შეუსვენებელივ — გაკვეთილზე, ჭამის დროს, ღამით... გაგონილი მქონდა, რომ გემი «მოთა რუსთაველი» წლის განმავლობაში ორჯერ თუ არა, ერთხელ მაინც შემოუვლიდა დედამიწას. არ მასვენებდა იმაზე ფიქრი, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ, მოვწყობილიყავი გემზე, ნებისმიერ სამუშაოზე — მიმტანად, დამლაგებლად თუ მუშად, — და გემით მემოგზაურა.

სამწუხაროდ, ეს ვერ მოხერხდა, მაგრამ ჩემი ცხოვრება ისე აეწყო, რომ მოგზაურობის სურვილი, ასე თუ ისე, ამისრულდა. ახალ ქვეყანას რომ ნახულობ, უამრავ სიამოვნებას იღებ. დრო გადის და თანდათან გრძნობ — რაღაც აღარ გაკმაყოფილებს: იმის სურვილი გიჩნდება, რომ სხვასაც გაუზიარო შენი შთაბეჭდილებები, ის ვნებათაღელვა, რაც მოგზაურობის დროს განიცადებ.

ეს ჩანაწერები თავდაპირველად ჩემთვის დავწერე, ჩემს ახლობლებსაც წავაკითხე. შესაძლოა, მკითხველისთვისაც აღმოჩნდეს საინტერესო.

1992 წლის დასაწყისია. საბჭოთა კავშირი დაიშალა. საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანაა. ქართული საზოგადოება გახლეჩილია — ზოგი ზვიადს ემხრობა, ზოგი შევარდნაძეს. ძმათა კვლა არის გაჩაღებული.

მაგრამ საზოგადოების ნაწილს ნეიტრალური პოზიცია უკავია, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერაფერს ახერხებს და მხოლოდ იმის იმედად დარჩენილია — დრო ყველაფრის მკურნალიაო.

საზოგადოების ამ ნაწილს მეც ვეკუთვნი — აკაკი გეგენავა, ჩვეულებრივი თბილისელი ბიჭი, რომელსაც გაგიჟებამდე უყვარს საქართველო და ვერც წარმოუდგენია მის გარეშე არსებობა...

უცხოეთში კაცი ბევრი მიზეზის გამო მიდის, მათ შორის — დროებით სამუშაოდ. ყველას გაგვივია სიტყვა „შაბაშნიკი“, რომელსაც იმ ადამიანებს უწოდებენ, ვინც ცდილობს, თავისი მატერიალური მდგომარეობა ცოტათი გაიუმჯობესოს და იმ რეგიონში მიდის, სადაც, მთარული ხმების თანახმად, „კარგად უხდინან“, მეც იმ „შაბაშნიკების“ რიგში ჩავუწერე, მაგრამ იმის მაგივრად, რომ რუსეთში წავ-



vin icis SvedeTSi, sad aris

GEORGIA

სულიყავი, საზღვრების გახსნით ვისარგებლე და ევროპის გზას დავადექე.

ჯარში სამსახურის დროს, ტალინში მცხოვრები რუსი ბიჭი, ელჟარდი გავიცანი. დაემეგობრდით. ელჟარდი თარჯიმნად მუშაობდა ერთ უცხოურ კომპანიაში და შვედი ბიზნესმენი, უფე ნინსენი გამაცნო. მას უნდოდა, ერთობლივი საწარმო გაეხსნა საქართველოში. ჩამოვიდა კიდევ თბილისში. ათასგვარი გეგმაც დავსახეთ და მომავალს ოპტიმისტური თვალთი ვუყურებდით. მაგრამ როგორც ცხოვრებაში ხდება, „კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო“ — საქართველოში არეულობა დაიწყო და ყველა გეგმა და იმედი სამომავლოდ გადაიღო...

გავიდა დრო, გამახსენდა უფე, დავუკავშირდი და მანაც უყოყმანოდ დროებითი მიწვევა გამომიგზავნა. სასწრაფოდ გავამზადე საბუთები და გზას დავადექე.

ტალინიდან სტოკჰოლმში სამოქალაქო გემით — „ესტონიათი“ გავემგზავრე. ეს ის გემია, 1994 წელს რომ ჩაიძირა.

შვედეთის შესახებ ბევრს ლაპარაკობენ: იქ ყველაზე დიდი გადასახადებია, ყველაზე მეტად არის გავრცელებული პორნოგრაფია, შვედური ოჯახი „ყველაზე მყარი“ო, კიდევ — ალკოჰოლი საკმაოდ ძვირი ღირს და დღემდე არის გავრცელებული გამოთქმა — „შვედეთით მივრალი“...

ჩემი მასპინძელი, უფე ნინსენი ძალიან თბილად დამხვდა. 45 წლის მანძილზე, მეოთხედ მოესწრო ცოლის მოყვანა. ჰყავ-

და 6 შვილი და 4 შვილიშვილი. მისი ბოლო მუღლე, არხა, თავის გერზე სამი წლით უმცროსი იყო.

უფე საკმაოდ წარმატებული ბიზნესმენია, აქვს რამდენიმე ხის გადამამუშავებელი ქარხანა და პლასტმასის საწარმო. ბიზნესს არა მარტო ფულის შოვნის საშუალებად, არამედ თითქოს სპორტის სახეობადაც აღიქვამს. მას ყოველთვის სიამოვნებდა ის არასტანდარტული ცხოვრება, რომელსაც ნებისმიერი მეწარმე ეწვეა.

უფე ტიპური შვედია — მაღალი, გრძელსახიანი და ცისფერთვალა. თავიდან, შეიძლება შვედი ვერც განასხვავო ნორვეგიელისა ან დანიელიდან, მაგრამ საკმარისია, ორიოდე კვირა იცხოვრო იქ და ეს პრობლემაც მოგესხნება: დაახლოებით იგივე სიტუაციაა რუსისთვის, რომელიც კავკასიაში არ ყოფილა და თავდაპირველად ერთმანეთისგან ვერ განასხვავებს ქართველს, სომეხსა და აზერბაიჯანელს.

ერთი შეხედვით, შვედები, როგორც ჩრდილოელ ერს შეეფერება, ცივ და მკაცრ ადამიანებად მოგეჩვენებათ (ბუნებამ თავისი დადი დასვა ხალხს — ბოლოს და ბოლოს, ქვეყანაში მხოლოდ ორი თვეა ზაფხული, თანაც ისეთი, ჩვენთან რომ მარტია), მაგრამ თუ დაგიახლოვდა და მივიღო, ეს „სიცივე“ სრულიად გადაგავიწყდება. ისინი ამაყობენ თავიანთი სექსუალურობით და არც მალავენ, რომ თავი, მიუღ მსოფლიოში ყველაზე ემოციურ და მოსიყვარულე ადამიანებად

მაინათ. უყვართ მუსიკა და ალკოჰოლი.

ამ ხალხს, თავისი შეხედულება აქვს სიყვარულსა და ცოლქმრულ ურთიერთობაზე. თავიდან მიკვირდა, შემდეგ კი შევეჩვიე: არ შემხვედრია კაცი ან ქალი, რომელსაც სამი თუ არა, ორი ცოლი ან ქმარი მაინც არ გამოეცვალა. ვფიქრობდი, ალბათ მე ვტრიალებ საზოგადოების ისეთ წრეში, სადაც ეს ჩვევად ექცათ-მეთქი, მაგრამ დრომ დამანახვა, რომ ვცდებოდი: მრავალცოლქმრიანობა შევხვდეთში ჩვეულებრივი მოვლენა ყოფილა. მხოლოდ ერთხელ შევხვდი წყვილს, რომელმაც ერთად გაატარა ცხოვრება ოთხმოცი წლის ასაკამდე – და ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ გვიან – სამოცი წლის ასაკში გაიცნო ერთმანეთი.

ერთხელ ვკითხე უფეს – რა ხდება, სიყვარულს ვერ უფრთხილდებით-მეთქი? პირიქითო, მითხრა – ჩვენი სიყვარული მუდმივიაო. – რაღაც ვერ გავიგე, თუ ძმა ხარ, ამისხენი-მეთქი – გაკვირებული სახით ვუტყუარდი ჩემს მასპინძელს... ჩვენ, როდესაც გვიყვარს, ერთად ვართ, მაგრამ თუ ვიგრძნობთ, რომ სიყვარული ნელდება, – იმის შიშით, სიძულვილში არ გადავიდეს, გაყრას ვამჯობინებთო.

შვედეთში თუ ვინმე ნამდვილად უყვართ, ეს სამეფო ოჯახია. ყველა ექსკურსია სამეფო სასახლიდან იწყება, რომელიც ძველი ქალაქის ცენტრში მდებარეობს და გამლასტანი ჰქვია. ზაფხულში ყოველდღე, ზამთარში დღეებში მხოლოდ, დღის 12 საათზე იქ ტარდება ევექტური სანახაობა: სამხედრო ორკესტრის თანხლებით, რთული ქორეოგრაფიული წარმოდგენითა და დოლების ბრანაბრებით სამხედრო დაცვის შეცვლა ხდება. მეფის, დედოფლისა და უფლისწულის სურათები ნებისმიერ ჯიხურში იყიდება. იყო დრო, როდესაც ასალგაზრდა მეფე კარლ XVI იცვამდა ჯინსებს, არც ერთ დისკოთეკას არ აცდენდა, არაფრით ჩამოუვარდებოდა იმდროინდელ პანკებს, რაც სამეფო ოჯახის დიდ უკმაყოფილებას იწვევდა.

1972 წლის მიუნხენის ოლიმპიადაზე უფლისწულმა გაიცნო სიმპათიური თარჯიმანი, სილვია (ნახევრად ბრაზილიელი, ნახევრად გერმანელი) და სასწრაფოდ გადაწყვიტა, მასზე დაქორწინებულიყო.

როგორც ალა პუგაჩოვას ცნობილი სიმღერიდან არის ცნობილი, „მეფეს ყველაფერი ძალუმს, სიყვარულით ცოლის მოყვანის გარდა“... მაგრამ შევხვდი თავიანთი ბატონის სურვილს წინ ვერ აღუდგნენ და მან თავისი გაიტანა.

ქორწინება საოცრად ბედნიერი აღმოჩნდა, სილვია სამეფო კარის ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებდა. ამჟამად, საზოგადოებრივი გამოკითხვისას, ძალიან ხშირად მის სახელს, ცნობილ შვედ პოლიტიკოსებზე მალ-

ლა აყენებენ.

შვედეთში კონსტიტუციური მონარქიაა. მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტია ცნობილი სკანდინავიური სოციალიზმის პრინციპებს მისდევს. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის დონით, შვედეთი ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე მოწინავე პოზიციას ინარჩუნებს. თუმცა ბოლო წლებში ქვეყანას რამდენადმე გაუჭირდა უწინდელი ტემპის შენარჩუნება, ვინაიდან სოციალურ პროგრამებზე უფრო მეტს ხარჯავენ, ვიდრე სახელმწიფოს შეუძლია. სოციალ-დემოკრატებსაც სულ უფრო უჭირთ საბაზრო ეკონომიკისა და სოციალისტური გადანაწილების ურთერთშეხამება.

ჩემი მასპინძელი ყურადღებას არ მაკლებდა: დავყავდი ათასნაირ წვეულებასა და შეხვედრაზე. სამწუხაროდ, არავინ იცოდა, სად იყო გეორგია, ბევრს ამერიკელი ჯორჯიელიც კი ვეგონე. თავიდან დაუზარებლად ვუხსნიდი, სად იყო საქართველო. პატარა რუკაც დამქონდა და ვაჩვენებდი ჩვენი ქვეყნის ადგილმდებარეობას, მაგრამ უშედეგოდ – ცოტა ხანი გავიღოდა და მაინც რუსს მეძახდნენ. ეს საკმაოდ მალიზიანებდა და ხშირად ამდგარი დიალოგი იწყებოდა:

- სტალინი გაგივიათ?
- დიას.
- ჰოდა, მე სტალინის საშობლოდან ვარ.
- მერე, სტალინი რუსი არ იყო?..

გავიდა დრო და მეც შევეჩვიე; თუ გუნებაზე ვიყავი, მოთმინებით ვუხსნიდი ყველაფერს, თუ არადა – ამერიკელი ვართ-მეთქი, ვეუბნებოდი...

ერთი დარდი მქონდა – როგორ გამემართლებინა «შაბაშნიკობა». შვედები სტუმართმოყვარე ხალხია – გადაგვებინ, დაგათვალაობენ ყველაფერს, მაგრამ ერთი რამ აღიზიანებთ; დიდად არ ეპოტნავენათ ემიგრანტები, სამუშაოდ ჩასულებს კი საერთოდ ვერ იტანენ.

შვედი ძლიერ უფრთხილდება თავის სამუშაო ადგილს და არავის დაუთმობს – მით უმეტეს უცხოელს. ამიტომ ის მიხანი, რაც იქ წასვლისას მქონდა, ჩიხში მაქცევდა...

თუ ვინმემ სტოკჰოლმის რამდენიმე სიტყვით აღწერა ისურვა, ალბათ იტყვის: ლამაზი, სუფთა და უსაფრთხო ქალაქიაო. ის მრავალ პატარა კუნძულზეა განლაგებული, რომლებსაც ბალტიის ზღვის წყალი ერტყმის. ქალაქში საზღვაო და სამდინარო ტრანსპორტის ყველა ძირითადი კვანძი გადის. ტბა და მდინარე

უფე ნინსენი (მარჯვნივ) ერთ-ერთ ვაჟიშვილთან ერთად

ქვეყანაში უხვად არის და სტოკჰოლმში მათ დამაკავშირებელ პუნქტს წარმოადგენს.

მშვენიერი სახლები მწვანეშია ჩაფლული და ლამაზი ხიდეებით არის ერთმანეთთან დაკავშირებული. ქალაქის ცენტრში და მის გარშემო უზარმაზარი, ხელუხლებელი ტყე, მდინარე და მდელოებია. ქუჩები და სკვერები საოცარი სისუფთავით გამოირჩევა. წარმოიდგინეთ, იქ შეგიძლიათ ქალაქის ნებისმიერ ადგილას იბანათ და ლაიჭიროთ თევზი.

„წყლის ფესტივალი“ უდიდესი ღონისძიებაა არა მარტო შვედეთში, არამედ მთელ ჩრდილოეთ ევროპაში. ეს ზეიმი რომ აღნიშნონ, დედაქალაქის მცხოვრებლები მთელი კვირით იფიცებენ ჩვეულებრივი ცხოვრების სტილს. ისეთი შთაბეჭდილება იქნება, თითქოს ამ დროს არავის სძინავს მთელ ქალაქში. ამ დღეებში უამრავი როკ-კონცერტი, ფოლკლორული კონკურსი, ფეიერვერკი თუ სპორტული შეჯიბრება იმართება.

თუ ყველა ღონისძიებაში ვინდა მონაწილეობა, წინასწარ უნდა შეიძინო „ფესტივალის პასპორტი“, რომლითაც ზოგიერთ კონცერტს უფასოდად დაესწრები, სადამოებით კი ისარგებლო ტრანსპორტით, ისეირნო ნავით და ნახევარ ფასად შეიძინო სუვენირი.

ფესტივალის კულმინაცია, „იხვების შეჯიბრია“. ათასამდე ხელოვნური „იხვი“ ეჯიბრება ერთმანეთს ცურვაში. გამარჯვებული იხვის პატრონს კი ავტომატურად ვოლვო 850-ს ჩუქნიან, რომელსაც პირადად გადასცემს მეფე-დედოფალი.

რა თქმა უნდა, მეც მომიხდა ახალი შვედური მანქანის მოგება და გადავწყვიტე, მონაწილეობა მიმეღო კონკურსში. უფეს შეიღებმა ქალაქისგან იხვის გაკეთება მასწავლეს, მაგრამ, საუბედუროდ, არ გამოძლიოდა. ისიც კი ვინანე – რატომ არ ვუჯერებდი შრომის მასწავლებელს და არაფერი ვისწავლე-მეთქი.

ფესტივალზე ცნობილია ასეთი ხუმრობა: ერთი ტურისტი ეკითხება მეორეს – რა,





აკაკი გეგენავა (მარჯვნივ) სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლებს სტოკჰოლმის ქუჩაზე შემთხვევით გადაეყარა

მართლა ასეთი სუფთა წყალია შვედეთში? – არ ვიცი, – პასუხობს მეორე – წყლის გასინჯვა ვერა და ვერ მოვახერხე – სულ ლუდის სმა მიწვევდაო...

რაც შეეხება ლუდს – როგორც მთელ ევროპაში, შვედეთშიც ბლომად სვაჰენ. ყოველ ნაბიჯზე გახსნილია ბარი, ეს კი ისეთი ადგილია, სადაც შვედი სრულიად „ეშუება“: მთელი კვირის განმავლობაში ელოდება პარასკევს, რათა შევიდეს საღამოს და უგონოდ გაიღუმოს. ზოგიერთი ამას კვირადღის საღამოდღეც კი „ახერხებს“... ამ პერიოდში ისინი, თითქოს ყველა საზრუნავსა და პრობლემას იფიქრებენ, სიყვარულისა და კეთილშობილების სხივებს აფრქვევენ. ამავე დროს, ეს ის მომენტია, როდესაც შეგიძლია გააკეთო ის, რასაც ვერ წარმოიდგენ ჩვეულებრივ დღეებში – გაიცნო პიროვნება, რომელმაც შეიძლება შენი ცხოვრება შეცვალოს, მაგალითად, საქმიანი კაცი, რომელიც საშუალოზე მოაწყობს, ან გაიცნო მშვენიერი მანდილოსანი, რომელიც ყოველგვარი ყოფითი პრობლემის გადაწყვეტაში დაგეხმარება. ფლირტი აქ ჩვეულებრივი მოვლენაა – გააჩნია, როგორი იღბალი გაქვს და რა მარიფათის პატრონი ხარ. შვედეთში ყოფნისას, ხშირად შეხვედრივარ იქ ჩემსავით ჩასულ რუსებსა და თურქებს, რომლებიც უბრალო ფლირტისა და ბედნიერი შემთხვევის იმედით, ცხოვრების აწყობას ცდილობდნენ. ასეთი პატარა ბედნიერი შემთხვევა, მეც მერგო, რაზეც მოგვიანებით მოგიყვებით.

ვინც ევროპაში შობის აღსანიშნავად, ფეიერვერკისა და მხიარულების მოლოდინით წასულა, ბერს გასცრუება იმედი: ქუჩები და სკვერები დაცარიელებულია, ევროპელები შობას ოჯახებში და ახლობლებში ხვდებიან. თუ გინდათ, შობის ნამდვილი ზეიმი შეიგრძნოთ, სტოკჰოლმში დეკემბრის შუარიცხვებში უნდა ჩახვიდეთ. პარკ SKANS-EN-ში მთავარი საშობაო ბაზრობა იხსნება.

მხოლოდ შვედეთში იმართება.

ბერს მიაჩნია, რომ შვედი ქალები ყველაზე ლამაზები არიან, ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ აქ სილამაზის კონკურსების ჩატარება უყვართ. 14 დეკემბერს სილამაზის კონკურსი იმართება ყველა კოლექტივში, სადაც კი ერთი მანდილოსანი მინც არის. თუმცა კონკურსები მოკრძალებულად ტარდება (არანაირი ბიკინი და მოკლე კაბები), რადგან ეს მინც, რელიგიური დღესასწაულის დროს ხდება. თუ კოლექტივში მანდილოსანი არ მუშაობს, მაშინ მამაკაცებს სამსახურში თავიანთი მეორე ნახევრები მოჰყავთ. ერთ ასეთ დღეს კომიკურ სიტუაციას შევქსნარი: ჩემი მასპინძლის ყოფილი ოთხი ცოლიდან, სამს უნდოდა კონკურსში მონაწილეობა. იყო ერთი ხმაური და აყაღამყალი. გამარჯვებული, არხა გამოვიდა – ბოლოს და ბოლოს, ის იყო იმჟამინდელი კანონიერი მეუღლე...

წინასაშობაო კვირის ყველაზე დასამახსოვრებელი მომენტია, როდესაც გამოატარებენ წმინდა ლიუსის. ზამთრის სიცივეში, ბავშვთა სიმღერის თანხლებით, ჩირაღდნებით განათებული ლიუსი საოცარი სანახავია.

თავისებურ ხიბლს წინასაშობაო კვირას ნობელის პრემიის გადაცემის ცერემონიალი ანიჭებს. რა ფერის კაბაში იქნება გამოწყობილი დედოფალი? ვის გვერდით იჯდება პრინცესა? ამ და სხვა ამგვარ კითხვებს უტრიალებს ყველა შვედური გაზეთი. 10 დეკემბერს კი მთელი ქვეყანა ტელევიზორს არ წყვეტს თვალს.

სტოკჰოლმის რატუმის ცისფერი დარბაზი, სადაც იმართება ბანკეტი, ყველა ფანტაზიას აჭარბებს. ათასამდე გაშლილ მაგიდას უსხედან სამეფო კარის წარმომადგენლები, ინტელექტუალური ელიტა, მსოფლიოს ცნობილი ადამიანები, უმაღლესი საზოგადოება. აქ „გამოფენილია“ არნახული საბანკეტო კაბები, უძვირფასესი სამკაულები და უამრავი ყვავილი, რომელ-

იც სპეციალური ავიარეისით ჩამოაქვთ ქალაქ სან-რემოდან, სადაც ალფრედ ნობელი გარდაიცვალა.

საზეიმო გადაცემის ცერემონიალის შემდეგ მეჯლისი იმართება. ზემის ამ ნაწილს ტელევიზიით არ უჩვენებენ, მაგრამ თუ თქვენ 300 დოლარი გაქვთ, შეგიძლიათ შეიძინოთ ბილეთი და შესაძლოა, ნობელის პრემიის ლაურეატთანაც იცეკვოთ.

ჩემდა გასაკვირად, იმდენი პოლიციელი, რამდენიც შვედეთში ვნახე, არც ერთ ევროპულ ქვეყანაში არ მინახავს. სადაც არ უნდა გაიხელო, პოლიციელის მანქანას ან ფორმიან კაცს დაინახავ. ხშირად გაუჩერებიათ და პირადობის მოწმობა მოუთხოვიათ. ეს მოვლენა ჩემთვის დღესაც აუხსნელია – შვედეთი ხომ ერთ-ერთ ყველაზე დემოკრატიულ ქვეყნად ითვლება მსოფლიოში. სამეფოში ძველი დროიდან დაკანონდა „თავისუფალი უფლებები“. ქვეყანაში გადაადგილება შეუძლია ყველას – იმის მიუხედავად, შვედია ის თუ უცხოელი, – მთავარია, არაფერი დაამავო.

ამ ქვეყანაში შეიძლება: გაიარო კერძო მესაკუთრის ტერიტორიაზე, გაშალო კარავი, იბანაო და ისერირო ნავით, დაანთო კოცონი, დაიჭირო თევზი, აიღო ტყეში მოსავალი – დაკრიფო სოკო.

არ შეიძლება: ძალიან ახლოს მიხვიდე კერძო სახლთან, გაჩეხო ტყე, დაყარო ნაგავი, გაიარო ავტომობილით იქ, სადაც არ არის გაყვანილი სამანქანო გზა.

უნიკალური ინფორმაცია მქონდა მიღებული იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება ამ ქვეყანაში ფულის შოვნა. ეს ინფორმაცია ერთმა ლენინგრადელმა ბიჭმა მომწვოდა. ამგვარი მოვლენები ალბათ მხოლოდ შვედეთში შეიძლება მოხდეს.

...როცა ციხეზე ჩამოვარდება საუბარი, რაღაც მომენტში უსიამოვნოდ გამაყრუოლებს ხოლმე. შვედეთის ციხეზე ამას ვერ იტყვი. აქ ციხე სანატორიუმს უფრო მოგავსებთ, საკანი – დამსვენებელის ოთახს, სადაც საშხაპეც არის, ფერადი ტელევიზორიც და ტელეფონიც. მსუბუქი დანაშაულის ჩამდენს უფლება აქვს, ყოველი შაბათ-კვირა ოჯახში გაატაროს. ციხეში კი პატიმარს შეუძლია აკეთოს ის, რაც მოეპრიანება: იკითხოს წიგნი, დაუფლოს ახალ პროფესიას, იმუშაოს ან არ იმუშაოს. არავინ არაფერს დაგაძალებს, მაგრამ თუ იმუშავებ, ხელფასსაც მოგცემენ, თანაც საკმაოდ კარგს.

საბჭოთა კავშირი ახალი დაშლილი იყო. ევროპელები არ იცნობდნენ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ფსიქოლოგიას. ვინც საბჭოეთიდან ჩადიოდა, ყველა ეცოდებოდათ და თანაუგრძობდნენ. ყოველგვარ პირობებსაც უქნდნენ ნორმალური ცხოვრებისათვის. ამით ისარგებლეს ყოფილმა საბჭოელებმა და სხვადასხვა ემპკობას მიმართეს. თავიდან ევროპე-

ლები გულუბრყვილო ბავშვებით იქცეოდნენ, ვერ წარმოუდგინათ, როგორ შეიძლება კაცმა გააკეთოს ის, რასაც ისინი გონებაშიც ვერ გაივლებენ. მაგალითად, ჩამოვიდოდა კაცი, ნახავდა, რომ არაფერი გამოსდის და იწყებდა იმაზე ფიქრს, თუ როგორ მოხვედრილიყო ციხეში. მერე იქ სწავლობდა ენას, ეუფლებოდა პროფესიას და პატარა კაბიტალსაც აგროვებდა. ამ ეტაპის გავლის შემდეგ, ის უკვე მზად იყო ქვეყანაში საცხოვრებლად. თუ დატოვებდნენ, ხომ კარგი, თუ არა და — ხელცარიელი მაინც არ ბრუნდებოდა სამშობლოში... მისი მთავარი ამოცანა იყო, რა დაემთავებინა. უმეტეს შემთხვევაში, ამტრედნენ მაღაზიის ვიტრინას, ჭრდნენ ხეებს და ა.შ. ამან იმდენად მასობრივი ხასიათი მიიღო, რომ ხელისუფლებამ, რომელიც თავიდან მშვიდად ითმენდა, მიიღო გადაწყვეტილება — ყოველგვარი გამოკითხვისა და სასამართლო გარჩევის გარეშე, თვითმფრინავში ჩაესვათ და სამშობლოში გაემგზავრებინათ უკანონო იმიგრანტები.

...მეფურად ვცხოვრობდი, არაფერი მაკლდა. მასპინძლისგან კარგის მეტი არაფერი მინახავს. მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი. ვფიქრობდი: აქ მაინც ვერაფერს ვაბამ თავს, სხვა ქვეყანაში გადავსულიყავითეთქი. ბოლოს და ბოლოს, როდემდე უნდა ვყოფილიყავი სტუმარი? პარაზიტად ვგრძნობდი თავს, რაც საკმაოდ მალეღებდა.

ამ ფიქრებით ვიყავი ლუდის ბარშიც, სადაც შევღებოვით, მეც ცვდილობდი პრობლემებისაგან განტვირთვას. რა დაგიძალოთ და, ბევრი ადამიანიც გავიცანი და ბლომდაც „ვეფლირთაბდი“. სამწუხაროდ, არაფერი გამომიდოდა — ან შწო-მარფათი არ მქონდა, ან ბედი არ მწყალობდა...

ღეღაჟემს პატარაობიდანვე დაგყავი ფორტეპიანოზე. მართალია, ბევრიად არ ესწავლობდი, მაგრამ ელემენტარული ჩვევები მაინც გამოიმომუშავდა. მოზრდილ ასაკში კი თბილისის ცნობილ გიტარისტ გურამ მღებრიშვილთან დავდიოდი. თუმცა ვოკალში მოვიკოჭლე, ქართულ სუფრასთან და წვეულებებზე მსმენელთა მოწონება მაინც დამიმსახურებია...

შვედეთის თითქმის ყველა ბარში მუსიკა ცოცხლად სრულდება. რა გინდა, სულს და გულს, იქ რომ არ მოისმინო — ჯაზიდან დაწყებული, ბლუზით დამთავრებული. პროფესიონალიზმის დონეც სხვადასხვა იყო, მაგრამ ამას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა: „პუბლიკას“ ჰანები სჭირდება...

ღიდი ხნის შესული ვიყავი ბარში და საკმაო „გრაფუსიც“ მქონდა მიღებული, თანაც, ერთ მანდილოსანთან ბასი ახალი დაწყებული მქონდა, რომ შევნიშნე — მუსიკოსებს მთლად კარგად ვერ მისდიოდათ საქმე: დროდადრო ერთსა და იმავეს იმეორებდნენ. ეს იმდენად გამაღიზიანებელი იყო, რომ წასვლაც კი დავაპირე. და უცბად თავში გამიელვა

— აი, ქალის „დაბმის“ საშუალება!.. ძალა მოვიკრიბე, სცენაზე ავედი და გიტარა ვითხოვე, თან დასარტყამ ინსტრუმენტებთან მჯდომს ვანიშნე, ამოელოდა.

გამომივიდა, თანაც საკმაოდ კარგად. „როკ-ენ-როლი“ ადვილი დასაკრავია, მასის აყოლილებაც უფრო მოსახერხებელია. იმ საღამოს მარტო ის ქალი კი არა — მთელი დარბაზი ჩვენს დაკრულზე ცეკვავდა. სიხარულისგან ცას ვეწიე, ჩემი თავი ვარსკვლავი მეგონა. იმ დღეს ვიგრძენი, რომ ჩემი „კამათელი დაჯდა“. ამ შანსის ხელიდან გაშვება არ შეიძლებოდა. მუსიკოსი, რომელიც გიტარაზე უკრავდა, უქეიფოდ გრძნობდა თავს და მისი შეცვლაც მომიწია. დაკრისას საკმაოდ ბევრი შეცდომაც მომიდოდა, მაგრამ ამას მარტო სპეციალისტი თუ შეამჩნევდა.

გარიჟრაჟე, ერთ-ერთმა მუსიკოსმა, თომასმა 300 კრონი გამომიწოდა და მითხრა: აი, ეს შენ, დიდი მადლობა, რომ საღამოს ჩატარებაში დაგვეხმარეო. — როგორ გეკადრებათ, მე ისე, სიამოვნებისთვის უკრავდი, თან მე პროფესიონალიც არა ვარ-მეთქი, — ვუპასუხე მორიდებით.

— შენ რა, გგონია, ჩვენ ვართ პროფესიონალები? ჩვენც სიამოვნებისთვის უკრავთ, თან ამაში ფულსაც ვიდებთ, თუ გინდა, ხვალაც გამოიარე და ცოტა ფულს გამოიწინებთო. ჩვენი გიტარისტი რამდენიმე დღე ვერ იმუშავებს და შეგიძლია, შეცვალო. თომასმა გამიღიმა, ტელეფონის ნომერი გამომართვა და მეორე დღისთვის დამიბარა.

ყველაფერს მოველოდი, მაგრამ ასეთ დაბოლოებას ნამდვილად არა. მუსიკა ყოველთვის მიყვარდა, მაგრამ მუსიკით ფულის შოვნაზე არასოდეს მიფიქრია.

შემდეგ საღამოს, იმავე ბარში ვიჯექე ჩემს ასალშექმილ მეგობრებთან და უკრავდი. მუსიკის საშუალებით შეძელი დამოუკიდებლობის მოპოვება ამ უცხო ქვეყანაში. პატარა თანხაც გამიჩნდა, უფესიც აღარ მრცხვენოდა და სრულყოფილ ადამიანდაც ვიგრძენი თავი...

თქვენ ალბათ იმ ქალის ამბავიც გაინტერესებთ, ბარში რომ გავიცანი და ვესაუბრებოდი, სანამ „მუსიკოსობას“ დავიწყებდი. იქიდან რომ გამოვიდი, საკმაოდ ციოდა. ქუჩაში კაციშვილის ჭაჭანება არ იყო. შენობის კუთხეს რომ მიუჯახლოვდი, შევნიშნე, რომ იქვე მდგომი მანქანიდან

რაგუმის დარბაზი, სადაც ნობელიანტებს აჯილდოებენ

მანდილოსანი გადმოვიდა, რომელმაც თბილად გამიღიმა და ჩემკენ წამოვიდა.

— ვა... შენ ხარ? — გამიკვირდა.

— ღიას, მე ვარ... რა მაგარი ყოფილხარ! — ღიმილით მელაპარაკებოდა. ალბათ მიხვდით, სწორედ ის ქალი იყო, რომელმაც მთელი ენერგია დამახარჯვინა და ბოლოს მაინც გაწილებული დამტოვა...

— ასე უკრავს ყველა რუსი ემიგრანტი? — მკითხა.

— მე რუსი არ ვარ — ქართველი ვარ, — სახეზე გაღიზიანება შემეტყო.

— ჰო, კარგი, ნუ ჯავრობ, ამის შემდეგ მეცოდინება, ქართველები ვინ ყოფილხართ.

— ჩემზე უკეთესებაც არიან. ნახავ, როცა თბილისში ჩამოხვალ. — წასვლა დავაპირე.

— სანამ თბილისში დამაპტიყებ, მანამდე მე გაპატიყებ ჩემს ვილაში. აქვე, ქალაქართ არის, — ხელკავი გამოძღო და მანქანისკენ წამიყვანა. მეც გავეყვი. იმ დღესვე გავიცანი ტერეზას მთელი ოჯახი: მამა, დედა, ორი ძმა და იმ ღამით მასთან ნაჩხუბარი ქმარი, დევიდი. მართალია, ტერეზასთან არაფერი გამოვიდა, მაგრამ მასთან ურთიერთობამ ვეროპელი ქალების ხასიათი გამაცნო, რაც შემდეგ სხვა ქვეყნებში არაერთხელ გამომადლა.

იმ დღიდან მე უკვე შევედეთში ორი ახლობელი ოჯახი მყავდა. დღემდე ვეპატიყები საქართველოში, ისინი კი — შევედეთში...

ხუთი თვის განმავლობაში, რაც მე შევედეთში ვიყავი, ბევრ საინტერესო ამბავს მოვესწარი. ის, რაც გადამხდა, ერთ საჟურნალო ნომერში ნამდვილად არ დაეტყვა. ერთხანს მუსიკით ვირჩენდი თავს, მაგრამ ისიც არასტაბილურად. სხვა სტაბილურ სამსახურსაც ვერ ვპოულობდი, თან გული სხვა ქვეყნებისკენაც მიწევდა, ვინაიდან შევედეთში ამაზე მეტს მაინც ვერ მივალწევდი.

ჩემი ვიზის დრო იწურებოდა. კი შემედლო გამეგრძელებინა, მაგრამ არ მოვინდომე. მინდოდა, სხვა ქვეყანაში გადავსულიყავი. მადლობა გადავუხადე ჩემს მასპინძელს და შევედეთიდან გავემგზავრე.




სერიალ „საიდუმლო მასალების“ ეკრანზე გამოჩენამდე მხატვარ-სიურეალისტები თავისუფლად მანიპულირებდნენ სხეულებისა და საგნების ზებუნებრივი ურთიერთშერწყმით. ყველაზე წინ ამ მიმართულებით ბელგიელი რენე მაგრიტი წავიდა. მას „მისტიკურ რეალისტს“ უწოდებენ – ასევე „ახირებულ ნომერ 2“-ს – სალვადორ დალის შემდეგ.

რენე მაგრიტის ახლობელთაგან ხატვა არავინ იცოდა. ხელოვნების ერთადერთი სახეობა, რომელთანაც მაგრიტებს შეხება ჰქონდათ, აბრები იყო. მათი ოჯახი ხორციით და მცენარეული ზეთით ვაჭრობდა. გასაკვირია რატომ, მაგრამ გამაძღარი, უზრუნველი ცხოვრება არ აკმაყოფილებდა რენეს დედას – რეგინას. რაც უფრო წინ მიიწევდა ბიზნესი, მით უფრო გულჩათხრობილი ხდებოდა ქალი. როცა მაგრიტებმა ახალი ორსართულიანი სახლი აიშენეს, რეგინას მძიმე დეპრესია დაემართა. რამდენჯერმე მან თავის მოკვლაც სცადა, ეს ძირითადად ღამ-ღამობით ხდებოდა. ქალს საოცრად იზიდავდა წყალი.

პირველად მან სცადა, წყლით სავსე დიდ ავზში დაეხრჩო თავი. ავზი სარდაფში იდგა. რეგინა გადაარჩინეს, მაგრამ შემდეგ ქმარი მას ღამით იმ ოთახში კეტავდა, სადაც ბავშვებს ეძინათ. ალბათ იმედოვნებდა, რომ შვილებისადმი სიყვარული ქალს გონზე მოიყვანდა. ბიჭები თვალყურს ადევნებდნენ, როგორ ექაჩებოდა მათი დედა კარის საკეტს

„მკვლელი საფრთხეშია“ 1927 წელი, თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, ნიუ-იორკი



რენე მაგრიტის „თქმავან ქეთილყაიმ“

და თან ტიროდა...

ერთხელაც, რეგინამ ხელში გასაღები ჩაიგდო და სახლიდან გაქცევაც მოახერხა. კვალმა ხალხი მდინარესთან მიიყვანა. 17 დღის განმავლობაში ეძებდნენ რეგინას მიმდებარე ადგილებში, სანამ პოლიციის უბნიდან გამოძახება არ მიიღეს. იქ, მაღალ მაგიდაზე დამხრჩვავი ქალის დამახინჯებული სხეული ესვენა, რომელიც სახლიდან ერთი კილომეტრის დაშორებით ეპოვათ. ახლობლებმა რეგინა ამოიცნეს. ის სწრაფად – ერთ დღეში დაასაფლავეს. ბავშვებს დედის სახე არ უჩვენეს. შემდგომში ბიძამ მოუყვა რენეს: როცა ქალის სხეული იპოვე-

ეს, მას თავზე ღამის პერანგი ჰქონდა დახვეულიო. სწორედ უჩინარი და ნაჭრით დაფარული სახე აირჩია შემდგომში მაგრიტმა თავისი შემოქმედების ძირითად სიმბოლოდ. შეიძლება ამ სიმბოლომ თავად ამოარჩია მაგრიტი და მას ხელში ფუნჯი შეაჩენა.

ბავშვობაში მაგრიტი ერთ გოგონასთან მეგობრობდა, მათ ძალიან უყვარდათ თამაში მიტოვებულ სასაფლაოზე; რკინის სარქველს ხდიდნენ და აკლდამაში ჩადიოდნენ, რომელშიც შუქი მხოლოდ პატარა სარკმლიდან შემოდებოდა. რენეს მოსწონდა კუბოების გვერდით, მიწისქვეშ დამალვა, მას საერთოდ არ ეშინოდა. მოგვიანებით, მან შექმნა სურათი – „დავიდის მაღამ რეკამიე“. ეს მხატვარ დავიდის კლასიკური ტილოს პაროდია იყო. ტახტზე წამოწოლილი ქალის ნაცვლად, მაგრიტმა სურათზე ეროტიკულად გაზნეპილი კუბო გამოსახა. ეს მისი ერთადერთი ასეთი ნამუშევარი არ იყო. მხატვარს თითქოს ყველაფერი „მეტისმეტად ცოცხალი“ აღიზიანებდა. ის ცდილობდა, დაეხურა, დაეხშო, ჩაეკეტა ეს ყველაფერი კუბოებში.

გადიოდა წლები, მაგრამ დედის თვითმკვლელობა დავიწყებას არ ეძლეოდა. მაგრიტმა თავად მოაწყო დედის დაღუპვის გამოძიება: შეა-

გროვა ფაქტები, გამოკითხა ახლობლები და ნათესავეები, ეძებდა ჭეშმარიტებას, აგებდა ვერსიებს. თავი მაშინდელი მოდური დეტექტიური რომანის გმირ გამოძიებლად წარმოედგინა. მან ერთ-ერთი ასეთი რომანის ყდისთვის სურათი დახატა. თვითონაც სრულ კონსპირაციაში ცხოვრობდა: არ უყვარდა ინტერვიუს მიცემა, ეშინოდა, „რაიმე ზედმეტი“ არ წამოსცდენოდა. მაგრამ ერთხელ მაინც წამოსცდა: „ყველაფერი, რასაც ჩვენ ვხედავთ, სულ სხვა სამყაროს ფარავს, ადამიანს სურს, ეს დაფარული დაინახოს. ინტერესი ამოუცნობისადმი შეიძლება ყოვლისმომცველ ჟანრში გადაიზარდოს“.

მაგრიტის ახალგაზრდობაში ძალზედ პოპულარული იყო ფილმები ფანტომასის შესახებ, რეჟისორ ლუი ფეიადის ეს ფილმები „ნამდვილი“ იყო და არა პაროდული – ლუი დე ფიუნესის მონაწილეობით რომ გადაიღეს მოგვიანებით. ეს ნერვების გამაღიზიანებელი, დაძაბული თრილერები იყო. უსახო ადამიანი, რომელიც დანაშაულის კვალს არ ტოვებს... არ იყო გასაკვირი, რომ მაგრიტი ფანტომასის დიდი თაყვანისმცემელი იყო. არც ერთ მხატვარს არ შეუთვისებია კინოსგან იმდენი, რამდენიც მაგრიტს, განსაკუთრებით კი სერიალიდან ფანტომასის შესახებ. რენე ზატავდა ფანტომასს, მისი ფილმების კინოპლაკატებს. ამ პლაკატებიდან ერთს ეწოდებოდა „მკვლეელი საფრთხეშია“: მზის სხივებით დაფარულ საწოლზე წევს შიშველი, მკვდარი ქალი. მის გვერდით მდგარი მამაკაცი მოწყვნილი მისჩერებია პატეფონს. ორივე მხრიდან კი, ისე, მხოლოდ მაყურებელი რომ ხედავს, ორი გამოძიებელია ჩასაფრებული...

მაგრიტმა თავისი მუდგულე ჟორჟეტა პირველად ქალაქის ბაზრობაზე ნახა. გოგონა მაშინ 12 წლის იყო. შემდეგ ისინი შემთხვევით, ავტობუსის გაჩერებაზე გადაეყარნენ ერთმანეთს, გაისეირნეს. მესამედ, უკვე დიდი ხნის შემდეგ, ბრიუსელის ერთ-ერთ ქუჩაზე შეხვდნენ. მაშინ მაგრიტი ნატოფი ხელოვნების სამეფო აკადემიაში სწავლობდა. მის სწავლას მამა უზრუნველყოფდა. მალე მამამისს ცუდად წაუვიდა საქმე და



„ადამიანი ცილინდრში“ 1964 წელი კერძო კოლექცია, ნიუ-იორკი



„შეყვარებულები“ 1964 წელი კერძო კოლექცია, ბრიუსელი

მაგრიტმა მუშაობა შპალერების მწარმოებელ ფაბრიკაში დაიწყო. ასე რომ, ჟორჟეტა ბერჟე ცოლად უბრალო დიზაინერს გააჰყვა.

თვითონ ჟორჟეტა, რენეს უდიდეს მხატვრად თვლიდა. საკუთარი შვილების გაჩენა ქალს არ შეეძლო და მან გადაწყვიტა დედობა ქმრისთვის გაეწია. რენეც კმაყოფილი იყო. ქალი შრომისმოყვარე და მზრუნველი „დედა“ აღმოჩნდა: დადიოდა ეკლესიაში, მუშაობდა (თვითონ მაგრიტმა ქორწინების შემდეგ სამუშაო მიატოვა), იღებდა პროდუქტებით სავსე ამანათებს ნათესავეებისგან.

ცხოვრება გამართული საათის მექანიზმივით მიდიოდა, ერთადერთი „თავისუფალი“ ელემენტი მასში თვითონ მაგრიტი იყო. ის აკეთებდა ყველაფერს, რასაც მოისურვებდა – შინაც და გარეთაც – გასართობი საღამოები, პაემნები, ბორდელები... მოკლედ, ეს იყო ადვილად მოკლებული გენიოსის ცხოვრების ყველა ატრიბუტი. თავისი ქორწინება მან ასახა სურათზე „გეომეტრიის სული“: დედას, რომელსაც ახალდაბადებული ჩვილის მრგვალი, უთმო თავი აქვს, ხელში ბავშვი უკავია. თვით

ბავშვს კი დედის სახე აქვს...

პარიზში გადასვლის შემდეგ მაგრიტმა ჟორჟეტას კიდევ ერთი „ბავშვი“ – თავისი ძმა პოლი მიუყვანა. პოლი მეზობლად ცხოვრობდა, თუმცა ყოველთვის მაგრიტებთან სადილობდა და მთელი დღის მანძილზე მათ სახლში ფორტეპიანოზე დაკრით ერთობოდა. სარჩოს ბარში სიმღერით შოულობდა, მთელ ფულს კი ტანსაცმელზე და გაურკვეველი სექსუალური ორიენტაციის მქონე მეგობრებზე ხარჯავდა. ჟორჟეტა დაუღალავად მუშაობდა და ხაზგასმით

მაგრიტი ჟორჟეტასთან ერთად, 1922 წელი



უარყოფდა ბოქმურ ცხოვრებას. სიურეალისტების უმრავლესობა, ისევე, როგორც მაგრიტი, მაშინ პარიზში ცხოვრობდა, მათი უმრავლესობა ჰომოსექსუალისტი იყო. მაგრიტი ცხოვრებას უფრო ფართოდ უყურებდა: მას ორივე სქესი იზიდავდა. ქალს მაგრიტი ყოველთვის ტანჯვასა და წვალებასთან აიგივებდა, კაცს კი თავშეკავებულ მედიდურობასთან. ეს, რა თქმა უნდა, მის ნაშრომებში აისახა. მისი მენატურე ხშირად იყო ფორჟეტა – ეს მისი ერთ-ერთი ძირითადი ცოლქმრული მოვალეობა იყო. მაგრიტი კი ფორჟეტას ქალად და, საერთოდ, ადამიანად იშვიათად აღიქვამდა. თუმცა, როდესაც ქალმა მაგრიტის ახლო მეგობარი შეიყვარა და სახლიდან წავიდა, აღშფოთებულმა მხატვარმა პოლიცია გამოიძახა. მას ხომ კანონიერი საკუთრება მოჰპარეს!



„გაუპატიურება“, 1934 წელი
მენილის კოლექცია, პიუსტონი

სიურეალისტები ანრი ბრეტონის თაოსნობით მაგრიტს არ სწყყლობდნენ: არ იწვევდნენ გამოფენებზე, არ ახსენებდნენ პუბლიკაციებში. ამას მაგრიტი ძალიან განიცდიდა, მაგრამ მას ერთხელ ბედმა გაუღიმა: სალვადორ დალიმ სტატიაც კი გამოაქვეყნა მაგრიტზე. შემდეგ, მეუღლესთან ერთად თავისთან, ესპანეთშიც კი მიიწვია. კადაქესში მაშინ ლუის ბუნიუელი და პოლ ელუარიც სტუმრობდნენ. მაგრიტი იქ მეუღლესა და ახლო მეგობართან, კამილ ჰუ-

მანსთან ერთად ჩავიდა. კამილ ჰუმანსი პოეტი და სურათების გამყიდველი იყო. ის მაგრიტის პირად მცველად წარადგინეს, თუმცა მეგობარს რენესთან საკმაოდ „მჭიდრო“ ურთიერთობა აკავშირებდა.

პარიზის სიურეალისტებთან მაგრიტი მალე დაახლოვდა. ერთ წვეულებაზე ანრი ბრეტონმა მოითხოვა, რომ ფორჟეტა მაგრიტს მოეხსნა მკერდზე დაკიდებული ჯვარი. სიტყვა „ჯვარი“ ბრეტონს არ უყვარდა – ის განთქმული აგრესიული ათეისტი იყო. ფორჟეტამ კატეგორიული უარი განუცხადა და კარი გაიჯახუნა. მას უკან, უხალისოდ რენე აიღვენა. ახალმა კავშირებმაც მაშინვე დაიწყო რღვევა. გამოფენა, რომელსაც მაგრიტის ფინანსური მდგომარეობა უნდა გამოეწორობინა, აღარ ჩატარდა. რენემ სცადა, ღიზანის სფეროში ემუშავა, მაგრამ მხატვრებით გადაჭვდილ პარიზში შემკვეთის პოვნა ადვილი არ იყო. მაგრიტები ბრიუსელში გადავიდნენ და იქ ოცი წელი იცხოვრეს.

ბოლოს და ბოლოს, ვინ არის რენე მაგრიტი? ოჯახის მოყვარული თუ გარყვნილი კაცი, სელოვანი თუ კონიუნქტურის მიმდევარი? მაგრიტი არ ცდილობდა ამის გარკვევას, ის სიკვდილამდე „კონსპირატორად“ დარჩა. მისი გარეგნობა არ შეესაბამებოდა ბოქმის წარმომადგენლის იმიჯს. ყველა სურათზე რენე საგანგებოდა არის დავარცხნილი, ლამაზად ჩაცმული, ის მხატვარს კი არა, უფრო თავისი საყვარელი დეტექტივებიდან გადმოსულ ჯაშუშს ჰგავს. ის თითქოს „იმალებოდა“, ცდილობდა, გამორჩეული არ ყოფილიყო ხალხისგან.

დიდებამ შემოსავალი მაგრიტს მხოლოდ სამოცი წლის ასაკში მოუტანა. მანამდე კი ის ნებისმიერ სამუშაოს ასრულებდა, ხის სადგამებსაც კი აკეთებდა გამოფენებისთვის. მაგრიტი ძალზედ განსწავლული კაცი იყო – უძველესი მითოლოგიიდან დაწყებული თანამედროვე ლიტერატურით დამთავრებული, დიდი ცოდნის პატრონი იყო. განსაკუთრებულ ინტერესს მაგრიტის წერილები იწვევს. ეს ნამდვილი ტრაქტატებია, რომლებშიც მხატვარი თავისი ნაწარმოებების შინაარსს გარკვევით განმარტავს.

სიცოცხლის ბოლო წლები, როცა მაგრიტი გენიალურ მხატვრად აღიარეს, მან ერთფეროვნებაში გაატარა. დილაობით ძაღლთან ერთად სეირნობდა, შუადღეზე კაფეში შედიოდა, იქ საათობით მოჭადრაკეთა შორის იჯდა. შაბათობით თავისთან ეპატიჟებოდა რამდენიმე მეგობარს. 1950 წლის შემდეგ ხალხში მაგრიტი მოდიდან დიდი ხნის გამოსული „ქვაბურა“ ქუდით გადიოდა. ზუსტად ასეთი ქუდები ახურავთ კარგად ჩაცმულ მამაკაცებს მაგრიტის სურათზე „გოლკონდა“. აქ მამაკაცები ჰაერში დაფრინავენ. რას ნიშნავს გოლკონდა? ეს ძველინდური მითოლოგიის სიმბოლოა: შესანიშნავი ქალაქი, ოქროთი და ძვირფასი ქვებით მოკირწყლული ქუჩებით.

დღეს ბიზნესმენები, მხატვრები, ხელოვნებათმცოდნეები გარს დასტრიალებენ მაგრიტის შემოქმედებით შემკვიდრებას. ის ხომ ნამდვილი გოლკონდაა – ოქროთი და ძვირფასი ქვებით შემკული...

„გოლკონდა“ 1953 წელი კერძო კოლექცია, აშშ



საქართველოს სსრ

აგერ უკვე 40 წელიწადია, წლის დასაწყისში, მსოფლიოს ყველაზე პოპულარული კრიტიკოსი მისტერ ბლეკუელი, აქვეყნებს „ყველაზე უგემოვნოდ ჩაცმული ქალების სიას“. 40 წლის მანძილზე მისტერ ბლეკუელმა უგემოვნობაში ამხილა ასობით ყველაზე ცნობილი ქალი, მათ შორის ისეთებიც, ვინც მსოფლიოს ყველა კუთხეში მოდების კანონმდებლად ითვლებოდნენ...

მისტერ ბლეკუელი, რომლის ნამდვილი სახელი რიჩარდ ზელცერია, ახლა 78 წლის არის. 30 წლის ასაკამდე მას არავინ იცნობდა. კარიერის შექმნა კინოში დაიწყო, არაფერი გამოუვიდა და სამოდელო საქმეში სცადა ბედი. ფსევდონიმად „მისტერ ბლეკუელი“ აირჩია და ჰოლივუდის ვარსკვლავებს თავისი მომსახურება შესთავაზა. კლიენტები არ მოდიოდნენ და მაშინ, ყოველკვირეულ AMERICAN WEEKLY-ში (ათეულობით ამერიკული გაზეთის უფასო საკვირაო დამატება) გამოჩნდა მისტერ ბლეკუელის სტატია ჰოლივუდის ვარსკვლავებზე, რომლებიც სხვებზე უარესად იცვამდნენ.

სტატიამ ფანტასტიკური რეზონანსი გამოიწვია. ზელცერმა მაშინვე გაითქვა სახელი. მას ტელეპროგრამებში იწვევდნენ, ხოლო ჰოლივუდელ ღამაზმანებს უცხად მხოლოდ მისტერ ბლეკუელთან მოუხდათ ჩაცმა.

მაგრამ ტანისამოსის შექმნისათვის ზელცერს დრო აღარ ჰქონდა. ის სამუდამოდ იქცა „იმ მისტერ ბლეკუელად, რომელიც მსოფლიოს ყველაზე ცნობილ და მდიდარ ქალებს ჯვარს აცვამს“.

მისტერ ბლეკუელი არ მალავს, რომ მხოლოდ იმ ქალების შეფასებას მიჰყოფს ხელს, რომლებიც იმ დროს ყველაზე მეტად აინტერესებს საზოგადოებას. 60-იან წლებში ესენი იყვნენ კინოვარსკვლავები, 70-იან წლებში მათ რიცხვს დაემატნენ სამეფო ოჯახთა წევრები, ხოლო 80-იანი წლებიდან ზელცერმა მუსიკალური ბიზნესის წარმომადგენლებსაც სერიოზულად მოჰკიდა ხელი. მის საქმიანობაში მხოლოდ ერთი რამ რჩება უცვლელი – მისტერ ბლეკუელის მსხვერპლნი ხდებიან წლის ყველაზე პოპულარული და სათაყვანებელი ქალები, რომელთა მიბაძვასაც ცდილობს მოდას აყოლილი ყველა ქალბატონი.

ივონა დე გოლი



– საფრანგეთის პრეზიდენტის, შარლ დე გოლის მეუღლე. 1965 წლის ყველაზე უგემოვნოდ ჩაცმულ ქალთა სიაში მის შესატანად დიდი გამბედაობა იყო

საჭირო – შარლ დე გოლი იმხანად პოპულარობის პიკში იმყოფებოდა. ამიტომ რიჩარდ ზელცერის შენიშვნა, რომ მაღამ შარლ დე გოლი თავისი ჩაცმულობით 20 წლით ჩამორჩება, ფრანგებმა არა მარტო ივონა დე გოლის, არამედ მთელი ერის შეურაცხყოფად მიიღეს.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამგვარი მითქმა-მოთქმა და ხმაური სწორედ რომ მისტერ ბლეკუელის წისქვილზე ასხამდა წყალს.



ჟაკლინ ენედი-ონასისი

მისტერ ბლეკუელი პირველი აღმოჩნდა, ვინც ჟაკლინ კენედის გემოვნებაში შეიტანა ეჭვი. მაგრამ რიჩარდ ზელცერი მას თეთრ სახლში ცხოვრებისას როდი აკრიტიკებდა: უგემოვნოდ ჩაცმულ ქალთა სიაში ჟაკლინ კენედი მხოლოდ ჯონ კენედის სიკვდილის შემდეგ, ბერძენი მულტიმილიონერის ონასისის ცოლობის ხანაში მოხვდა. რიჩარდ ზელცერის მოთმინების ფაილა მაშინ აივსო, როცა ჟაკლინი შარვლიან კოსტიუმში წარდგა საზოგადოების წინაშე.

„ფისუნია მარტის კატის შარვალში“ – დაწერა ზელცერმა და ჯეკი 1971 წლის სიაში მოათავსა.

ბრიტანეთის სამეფო ოჯახი

1969 წელს გამოჩნდა რეიტინგში. მას შემდეგ რიჩარდ ზელცერმა ამ ოჯახის ყველა სუსტი სქესის წარმომადგენელი „დაადანაშაულა“ უგემოვნობაში, ერთი გამონაკლისის გარდა – დედოფალი ელისაბედი, დედა დედოფალი, ზელცერის არც ერთ სიაში არ ირიცხება. სამაგიეროდ ელისაბედ II მან სამჯერ მოიხსენია. ორჯერ – მოდურად ჩაცმის უცოდინარობის გამო: „ყველაფერს, რაც მოდაში არ არის, დედოფალი იცვამს ხოლმე“. „გაუმარჯოს ნაფთალისა და ქვის საუკუნის სტილს!“ დაბოლოს, ორი წლის წინ, როცა დედოფალი ქარაფშუტულ კაბაში



გამოჩნდა, ზელცერმა დაწერა: „ვინ არის ეს? სასახლის სამობაო ნაძვის ხე თუ კარის ჯამბაზი?“



სოფი ლორენი

იტალიელმა მსახიობმა, მიუხედავად საქვეწო პოპულარობისა და საყოველთაო აღტაცებისა, რიჩარდ ზელცერის ყურადღება მალე მიექცია. „სოფი ლორენი ცხოვრებაშიც იმ იტალიელ ვაჭრად რჩება, რომლის განსახიერებასაც ასე შეეჩვია. ვინმემ უნდა მიანიშნოს, რომ უბრალოება და უფერულობა ერთი და იგივე არ არის“, – ამგვარი კომენტარი გაუკეთა მისტერ ბლეკუელმა თავის სიაში სოფი ლორენის პირველ გამოჩენას. დანარჩენი გამოხმაურებებიც არ ყოფილა პირველზე სასიამოვნო: „მასალა, 20 წლის წინანდელი მორეხარისხოვანი პოლივუდური კინოსათვის“.

პრინცესა სტეფანია



მონაკოს მთავრის რენიე მესამის ქალიშვილი ზელცერის სიაში ორჯერ მოხვდა. „მეფური გარდერობი მას ქალური და მამაკაცური სამოსის ტარების საშუალებას აძლევს, მაგრამ მისი სამოსი მაინც უგემოვნო დონეზე რჩება“. თუმცა, ზელცერი თვლის, რომ ცუდი გემოვნება მას დედისგან, წარსულში ცნობილი კინოვარსკვლავის, გრეის კელისაგან მოსდგამს, რომლის ჩაცმა-დახურვის სტილი ბლეკუელის ყურადღების მიღმა არ დარჩენილა და რომელიც თავადაც გახლდათ მისი სიის გმირი.

ივანა ტრამპი



– მილიონერი, რომელსაც ამერიკაში პოპულარობა მოუტანა მილიონერ ღონაღდ ტრამპთან სკანდალური გაყრის პროცესმა, ხოლო მსოფლიომ მას შემდეგ გაიცნო, რაც 1980 წელს ყველაზე ცუდად ჩაცმულ ქალთა ათეულში მოხვდა, მას შემდეგ, რაც მისტერ ბლეკუელმა მას „ფსიქოდელური საფრთხივანი და ბრეიტი ბარდოსა და ლესის ნაზავი“ უწოდა. ამბობდნენ, რომ მისი ტრამპმა ზელცერზე სასამართლოში სარჩელის შეტანაც დააპირა, მაგრამ შემდეგ გადაწყვიტა, თავი მასხრად არ აეგდო.

ნიდერლანდების დედოფალი იულიანა

ყველაზე უგემოვნოდ ჩაცმულ ქალთა სიაში 1976 წელს მოხვდა. „მეფის მთელი მხედრონი, ამაღა და მთელი ერი, ვეღარ შეძლებს, მშვენიერ ქალად აქციოს იულიანა!“ – დაწერა მასზე რიჩარდ ზელცერმა. 1980 წელს დედოფალმა იულიანამ ტახტი ქალიშვილს – ბეატრიქსს დაუთმო. მისტერ ბლეკუელმა არ დააყოვნა და ახალ დედოფალს მაშინვე მოუჩინა ადგილი თავის სიაში. თუმცა, ზედმეტად არ აწყენინა და მხოლოდ „კონკრეტული შუაღამის შემდეგ“ შეარქვა.



ბიორკი

არ გაუმართლა კინოფილმის – „სიბნელეში მოცეკვავე“ მონაწილე, ისლანდიელი მომღერალ ბიორკსაც. წელს იგი პირველად მოხვდა ზელცერის სიაში და კრიტიკოსმა მისთვის მწარე სიტყვები არ დაიშურა: „ის სიბნელეში ცეკვავს და ეტყობა, სიბნელეშივე იცვამს“.

ელთიზაბეტ ტეილორი

იყო და რჩება მისტერ ბლეკუელის თავდასხმების საყვარელ ობიექტად. იგი ექვსჯერ მოხვდა „სამარცხვინო“ სიაში. კრიტიკოსის აზრით, ლიზ ტეილორს ხაზი არ უნდა გაესვია თავისი მომრგვალებული ფორმებისთვის: „თავის სულელურ სეიტერებსა და ქვედატანებში, სოსისების აცმას ჰგავს“, „კბილის პასტის ტუბი, რომელსაც შუაგულში ჩააჭირებს თითი“, „დროა მოდელიერის ძებნას მოეშვას და არქიტექტორის ძებნას მიჰყოს ხელი“... 90-იანი წლების დასაწყისში კი, ზელცერმა ტეილორს მოწყალე თვალთ შეხვდა და უგემოვნოდ ჩაუმულ ქალთა სიდიან, „მკვეთრად გამოხატული, ინდივიდუალური სტილის მქონე“ არსებათა სიაში გადაიყვანა.

ბრიტნი სპირსი

მისტერ ბლეკუელისთვის მეორე ლიზ ტეილორი გახდა. „კანფეტისთვისაც კი შეუფერებლად იცვამს“, „ამ ტიტველმუცლიან მომღერალს, სვობს, თვალდაზრწულმა უსმინო“. დაბოლოს, მისტერ ზელცერმა ის 2001 წლის ყველაზე უგემოვნო ქალად გამოაცხადა და მის გასაქილიკებლად მომღერლის ერთ-ერთი ჰიტის დასახელებაც გამოიყენა: „ოჰო, მან კვლავ გააკეთა ეს! მისი კოლექცია, რომელიც შედგება იმისგან, რაზეც მადონამაც კი თქვა უარი, მომაკვლინებელია!“



**ტესტი
ერუდიციისაზე**

1. რომელი კუნძულის მდინარეებისა და წყაროს წყლები არ გამოდგება სასმელად?



- ა) ფილიპინების;
- ბ) ბერმუდის;
- გ) კანარის.

2. სპორტის რომელ სახეობაში გახდა ოლიმპიური ჩემპიონი რომარტ შავლაჩაძე?



- ა) რბენა;
- ბ) სიმაღლეზე ხტომა;
- გ) ერთადგილიანი ბაიდარა.

3. რომელი მკვნიდან შეიტანეს თავის დროზე ტიტუპი ჰოლანდიაში?



- ა) თურქეთიდან;
- ბ) იტალიიდან;
- გ) საფრანგეთიდან.

4. რომელი მცენარისგან მოწულ გვირგვინს ატარებდნენ გლოვის ნიშნად ძველ საბერძნეთში?



- ა) დაფნის;
- ბ) ოხრახუმის;
- გ) ლელვის.

ჯორჯაძეების ფუძე ალაზნის გაღმა კახეთის სოფლებში — საბუესა და ენისელში იყო. ამ წარჩინებულ გვარს ატარებდა საქართველოს უკანასკნელ მეფეთა სარდალ-იც... ჯორჯაძეების დინასტიის ღირსეული შთამომავალი იყო სამშობლოს ბედზე მჭმუნვარე პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე არჩილ ჯორჯაძე.

შოკლე სულიერი ცხოვრება სკობს სხულის ხანგრძლივ სიცოცხლეს

ლელა ჯიყაშვილი

ის 1872 წლის 10 იანვარს დაიბადა თბილისში. არჩილის მამა — კონსტანტინე სამხედრო პირი იყო. ერთი პერიოდი ქუთაისში მსახურობდა. პატარა არჩილმაც სწავლა ქუთაისის გიმნაზიაში დაიწყო. ისეთი მომხიბლავი და მიმზიდველი ყმაწვილი იყო, ყველას ყურადღებას იპყრობდა. იმ დროს ქუთაისში ჩასულა ცნობილი მხატვარი მიხაი ზიჩი — მასალებს აგროვებდა „ვეფხისტყაოსნის“ დასურათებისთვის. ზიჩის თვალს შეუშინეველი არ დარჩენია პატარა არჩილი. არსებობს კიდევ ფოტო, რომელიც ალბათ როგორც სასინჯი, ისე გადაიღეს: სხვებთან ერთად დგას ქართულ კაბაში გამოწყობილი ბავშვი — არჩილ ჯორჯაძე, ხელში ვერცხლის თუნგი. მისი მეგობარი ზურაბ ავალიშვილი შემდგომ წერდა: ზიჩის ერთ-ერთ სურათში არჩილი პაჟის როლს ასრულებდაო.

ჯერ კიდევ პატარა იყო, როცა მის თვალწინ წყალწითელაში ბანაობისას დაიხრჩო მისი ორი უფროსი და — წმ. ნინოს სასწავლებლის მოსწავლე. ეს იყო უმძიმესი ტრაგედია ყმაწვილი არჩილის ცხოვრებაში. ამის შემდეგ აღარც გაუხედავს იქითკენ, ამბობდა: „მე ქუთაისს ვერასოლეს ვნახავ, რადგან ქუთაისის დანახვისთანავე თვალწინ წარმომიდგება ჩემი უბედური დების ტრაგიკული სიკვდილი“.

არჩილის დედა, ლუარსაბ მაღალაშვილის და — ანასტასია, ადრე გარდაიცვალა. მამისგან სულიერად შორს მდგომი არჩილი მარტო დარჩა. მალე მამითაც დაობდა. არჩილის ანაბარად დარჩნენ უმცროსი ძმა და ორი და, რომლებსაც კერძო გაკვეთილებით აღებული ფულით არჩენდა. მალე ეს ძმაც მოკლეს თბილის-



ში, ერთ-ერთ მოხელესთან ჩხუბის დროს. 1888 წლიდან სწავლა თბილისის პირველ გიმნაზიაში განაგრძო. არც აქ ელოდა მშვიდი და უშფოთველი დღეები. ისტორიულად დიდი მეომრების პატარა შთამომავალმა თოფი გაისროლა, რის შედეგადაც სასტიკად დაიჭრა — ისე, რომ მარცხენა ხელის ამპუტაცია დასჭირდა, მაჯის ქვემოთ. შემდეგში მძიმე ხის პროთეზს ხმარობდა, რომელსაც ფოლადის სამაგრები ჰქონდა. ზედ შავი ხელთათმანი ეკეთა. მისი ტარება იმდენად ძნელი იყო, შინ რომ იყო, ხელის პროთეზის გარეშე ერჩინა ყოფნა.

მარტოსული, ობოლი ყმაწვილი იყო. ნაადრევად მომწიფებული და დაბრძენებული კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ყველას ხიბლავდა მისი სიდარბასილე და სახის ლამაზი ნაკეთები. გიმნაზიაში სალიტერატურო წრეს ხელმძღვანელობდა, სადაც ხელნაწერ ჟურნალს — „შრომას“ გამოსცემდნენ.

გიმნაზიის შემდეგ პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე შევიდა. იმავე წელს, მისივე თხოვნით, იურიდიულ ფაკულტეტზე გადაიყვანეს. უკიდურესად ხელმოკლედ ცხოვრობდა, ჭლებით დაავადდა. 1892 წლის 13 ნოემბერს ასეთი წერილით მიმართა იმპერიის განათლების მინისტრს: „ვინაიდან განვიციდი მატერიალური სახსრების უქონლობას, რის გამოც პეტერბურგში ცხოვრების და უნივერსიტეტში საკუთარი ხარჯით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა არა მაქვს, ხოლო ჩემი ავადმყოფური მდგომარეობის (მარცხენა მაჯის უქონლობა) გამო, არ შემიძლია, გარეშე შრომით მოვიპოვო საჭირო თანხა, უმორჩილესად ვთხოვ თქვენს ბრწყინვალეობას, გასცეთ

შესაბამისი განკარგულება, რათა დამინიშნონ სტიპენდია და გამათავისუფლონ სწავლის ქირისგან“. დახმარება არ დაუნიშნეს. იძულებული გახდა, ვარშავის უნივერსიტეტში გადასულიყო. იქ ქართველმა ახალგაზრდებმა „საქართველოს განთავისუფლების ლიგა“ ჩამოაყალიბეს.

როგორც კი ჯანმრთელობამ საშუალება მისცა, კვლავ პეტერბურგში დაბრუნდა. მაგრამ იქ მის ცხოვრებას აზრი არ ჰქონდა. რასაც ეძიებდა, რისკენაც ისწრაფოდა, მისი მიღწევა შეუძლებლად ეჩვენებოდა რუსეთში. მეგობრებმა საშუალება მისცეს, ინგლისში წასულიყო. ტოლსტოის მიმდევართა მიერ დაარსებულ ახალშენში. 1897 წლის ცივ, ქარიან შემოდგომაზე 25 წლის არჩილ ჯორჯაძე ნიკოლოზ ჯაყელმა და ზურაბ ავალიშვილმა უბრალო სავაჭრო გემით ინგლისში გააცილეს.

არჩილ ჯორჯაძე საზღვარგარეთ მკურნალობდა, პოლიტიკურ და სოციოლოგიურ მეცნიერებებს სწავლობდა.

1904 წელს შვეიცარიიდან სწერდა მეგობარს — ანეტა ოქრომჭედლიშვილს: „ჩემს გულში აღმოვაჩინე ის, რაც ჩემი არ მეგონა. ვიპოვე სიცოცხლის საგანი, ადამიანი და ხალხი შემეყვარა, შევიგენ, რომ განსაზღვრულ წრეში, იმ ხალხის წრეში, რომელმაც მასწავლა და ფეხზე წამომაყენა და რომლის ვალიც მმართებს, შემემძლო მოქმედება, განხორციელება სიკეთისა, ჭეშმარიტებისა, ყველა იმისი, რაც ღვივის ადამიანის გულში და რაც სურს მას სხვას განუზიაროს. ამ დროიდან შედარებით ბედნიერი ვარ“.

არჩილ ჯორჯაძე და მისი მეგობარი გიორგი დეკანოზიშვილი აქტიურად იბრძოდნენ საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. დეკანოზიშვილმა

მშობლები — კონსტანტინე ჯორჯაძე და ანასტასია მაღალაშვილი



იარაღით დატვირთული გემიც კი მოაყენა საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს. ჩვენს ქვეყანაში საბრძოლო იარაღი შემოვიდა, საუბელურად ცუდი, მაგრამ მაინც იარაღი.

1904 წ. გიორგი დეკანოზიშვილმა და არჩილ ჯორჯაძემ გადაწყვიტეს უცხოეთის ქართველთა კონფერენციის მოწვობა, ერთიანი ეროვნული ფრონტის შესაქმნელად. ეს კონფერენცია ფენევაში შედგა. მაშინ გაიცნო მიხაკო წერეთელმა არჩილი: „ჩემს წინ იდგა მშვენიერი ვაჟკაცი, ტიპური ქართველი არისტოკრატი, ევროპულად განათლებული, მაგრამ სრული ქართველი, აღსავსე ქართული ჰუმორითა. ხუმრობა მეც მიყვარდა და ბევრს ვიცინოდით ხოლმე, როცა არჩილი და მე ვეჯვებოდით ერთმანეთს მეგობართა ხმის წაბაძვაში“.

ისევ მძიმედ განდა ავად. ბულვარ სანძიმელის ერთ-ერთ პატარა სასტუმროში იჯდა ლოგინში ფერმიხდილი. — თავზე გიორგი დეკანოზიშვილი ედგა, ხელში სისხლით სავსე ტაშტით. ავადმყოფობისას მიხაკო წერეთლისთვის უთქვამს: „მე დიდი ხნის სიცოცხლე აღარ მაქვს, მაგრამ რა ვუყოთ, არ მრჩება არც ცოლშვილი, არც დიდი სიმდიდრე, არც დიდი სიყვარული. ჩვენი ერი პატარა ერია, იგი მძიმე პირობებში იბრძვის არსებობისათვის და ფართხალეებს. მას უნდა ვემსახურო, სანამ ცოცხალი ვარ. მეტი არა დამრჩენია რა...“

1905 წ. მაისში თბილისში ჩამოვიდა. მეფის „ოხრანკა“ სასტიკად სდევნიდა. ის მოსკოველი ებრაელის პასპორტით შემოვიდა ბათუმში. „მთელი გზის განმავლობაში თავს ძალას ვატანდი, ვცდილობდი, ებრაელის კილო დამეცვა“, — იხსენებდა არჩილი.

პირველ ხანებში თბილისში დიდუბეში, მწერალ ნინო ნაკაშიძის სახლში იმალებოდა. ეს რომ ვაჟა-ფშაველას გაუგია, ლოგინად ჩავარდნილი არჩილ ჯორჯაძის სანახავად მისულა. ვაჟას შეუჩვილია — ჩემი მწერლობისგან არაფერი გამოდის, არავინ მაფასებსო. არჩილს უთქვამს: „საზღვარგარეთ თქვენი ბადალი მწერალი არა ჰყავთ, აბა, რას ამბობთ, ვაჟა! თქვენ თუ არ გაფასებენ, მაშ, ვის აფასებს ქართველი ხალხი? თქვენი უფრო მეტი დაფასება კი მომავალს ეკუთვნის“.

სარეცელს მიჯაჭვული არჩილი მეგობრებმა ავარაკზე, კიკეთში და შემდეგ მახინჯაურში გააგზავნეს. აკაკი წერეთელი 200 მანეთით დახმარებია. ნაცნობები ურჩევდნენ, ჯანმრთელობისთვის მიეხედა, გონებრივ საძუძოზე უარი ეთქვა. არჩილი ამბობდა: „მთელი ჩემი სიცოცხლე ჯანმრთელობისათვის უნდა შემეწირა, რადგან ისეთი ავადმყოფობა მჭირს, რომელ-

საც მუდამდღე წამლობა, დასვენება სჭირია. როცა ვეუბნები მრჩეველებს, რომელთა შორის ზოგიერთები მხოლოდ თავის კუჭს აღმერთებენ და ემსახურებიან. ბევრს ჩემი სიტყვები არ ესმით. რა სასარგებლოა ჩემთვის მუდამ ჟამს სხეულის ჯანმრთელობაზე ვიბრძოლო და სული, სხეულის ლამპარი სიბინელესა და უძრაობაში დავეტოვო. მოკლე სულიერი ცხოვრება სჯობს სხეულის ხანგრძლივ სიცოცხლეს“.

მძიმე ავადმყოფიც კი განუწყვეტლივ შრომობდა. ბეჭვებზე დაწოლილი წერდა დიმიტრი ყიფიანის ბიოგრაფიას, რომელსაც ამ სიტყვებით ასრულებს: „სხვადასხვა მომენტებში მცონარენი შევდრკებოდით ხოლმე ილიას, აკაკის და სხვათა ძახილზე, ვილაციის მოლოდინში გაოცებულის სიხარულით გავეურბდით ამ ჩვენ დამშვენებულ ქვეყანას და ახლა იმ მოხუცის წყალობით, მთაწმინდაზე რომ მიწას აბარია, გადაჭრით და საბუდამოდ გამოვერკვიეთ ძილისა და ბურანისაგან“. ვინ აპატიებდა ამ გამოფხიზლებას-გამორკვევას ქართველ მამულიშვილს იმ პერიოდში?!... მარტო მაშინ კი არა, მთელი მომდევნო ათეული წლები არჩილ ჯორჯაძის სახელს ძალიან უფრთხოდა „საბჭოთა აზროვნება“.

როცა არჩილ ჯორჯაძის უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი გიორგი დეკანოზიშვილი საფრანგეთში გარდაიცვალა ჭლექით 1910 წელს, „რუსის მთავრობამ“ საქართველოში მისი ჩამოსვენება აკრძალა. მკვდარიც კი აშინებდათ... მაგრამ გიორგი დეკანოზიშვილს თვითონ ჰქონდა გეგმა შემუშავებული, საილუმლოდ როგორ ჩამოესვენებინათ მისი ნეშტი საქართველოში. მეგობრებმა ამ გეგმით იმოქმედეს. ჩუმად მოახერხეს ყველაფერი და გიორგი დეკანოზიშვილი საქართველოში, თბილისში დაკრძალეს. ის იყო არჩილ ჯორჯაძის საუკეთესო თანამდგომი და მეგობარი. მძიმედ განიცდიდა მის არყოფნას. დაწერა კიდევ წერილი — „მყავდა მეგობარი...“ მიხაკო წერეთელი იგონებდა: „ამ თავგანწირულმა მეგობრებმა შეჰქმნეს ის დიდი საქმე, რომელმაც შესაძლებელი გახადა მარქსიზმთან ეროვნული ბრძოლა ქართველთა“.

ავადმყოფობამ კი თავისი ქნა. ხშირად უწევდა სავადმყოფოში ყოფნა. სიკვდილამდე ერთი წლით ადრე სურამში ცხოვრობდა წისქვილზე. „მეწისქვილე თავისეული კაცი იყო, არჩილის დიდი მეგობარი. ცოლად ჰყავდა გაქართველებული რუსის ქალი.

... სასიამოვნო კუთხე იყო ეს იტრიის



მარცხნიდან მარჯვნივ დგანან: ალექსანდრე გაბუნია, კომანდო გოგელია, ვარლამ ჩერქეზიშვილი; სხედან: არჩილ ჯორჯაძე, გიორგი დეკანოზიშვილი, მიხაკო წერეთელი. 1904 წ. ფენევა

წისქვილი. არჩილი ძალიან მხნედ იყო. მუშაობის უნარიც ჰქონდა. სულ იმას ამბობდა — „აი, მოდი ერთხელ სხვა მეგობართან. ეს კაცი წაგიყვანს „ლინეიკით“ მთაში, კარგი გასაიერნება იქნებაო“, — იხსენებდა არჩილ ჯორჯაძის მეგობარი — ზურაბ ავალიშვილი, მაგრამ მგზნებარე მამულიშვილს დიდი დღე აღარ ეწერა. მეგობრები გაბუდმებით იბრძოდნენ მისი გადარჩენისათვის. ყველაფერი ამაო იყო. 1913 წელს თავად-აზნაურთა საკრებულომ საერთო ფონდიდან 500 მანეთი გაუგზავნა სამკურნალოდ. არჩილს ბათუმში უნდოდა წასვლა. მეგობრებმა სურვილი აუსრულეს. ბათუმში სასტუმრო „ფრანციაში“ ცხოვრობდა. 21 მარტს გრძობა დაკარგა, მარჯვენა ხელით ცდილობდა, რაღაც ენიშნებინა ირგვლივმყოფთათვის. განუწყვეტლივ ლაპარაკობდა, მაგრამ გაურკვევლად. მისი უკანასკნელი სიტყვებიც საქართველოზე დარდს ეხებოდა. რაღაცის თქმა უნდოდა, ალბათ — როგორ უნდა ელვაწათ სამშობლოსათვის: „... ჩვენ სულ სხვა პირობებში დავეწყეთ მუშაობა... კულტურა...“ ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები.

დაკრძალვას ბევრი ხალხი დაესწრო. მათ შორის არჩილ ჯორჯაძის „სახლიკაცები“, უახლოესი ნათესავებიც იყვნენ. მათ გვირგვინი მიუძღვნეს გარდაცვლილს, რომელსაც ეწერა: „ჩვენი გვარის სიამაყეს“.

... ასეთი იყო მუდამ ხელმოკლე, ავადმყოფი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, სამშობლოს თავისუფლებაზე ფიქრში დამშვრალი კაცი — არჩილ ჯორჯაძე.

სუფრასთან ორნი იხდნენ. ჭკადარა ბერიკაცები ხმადაბლა საუბრობდნენ, შიგადაშიგ სადღეგრძელოებს ამბობდნენ და ახალგაზრდობას იხსენებდნენ. გვერდითა ოთახიდან ქართული მელოდია ისმოდა და მყუდრო გარემოს რომანტიკულ ელფერს აძლევდა.

— დავით, გახსოვს „შინმოუსვლელო“ რა კარგად ვმღეროდით? — ჰკითხა მასპინძელს გოგომ.

— მახსოვს. ეგ სიმღერა ჩვენი ბიჭებიდან ყველას ძალიან უყვარდა.

— დავით...

სიჩუმე ჩამოვარდა. ერთდერით ნათურის მკრთალ შუქს სიგარეტის კვამლი ერეოდა. თითქოს სათქმელიც აღარაფერი ჰქონდათ, მაგრამ ერთმანეთთან ჯდომა მაინც არ ეთმობოდათ.

— დავით — გაიმეორა გოგომ — მოდი, ვიმღეროთ.

— რა ვიმღეროთ... — გაფიცხდა დავითი — რა დროს ჩვენი სიმღერაა.

— მოიცა, გეტყვი — ეშმაკურად გაიღიმა — ბიჭები გავიხსენოთ. „შინმოუსვლელო“ ვიმღეროთ.

მასპინძელი წამოდგა. გვერდით ოთახში გავიდა და ტელევიზორს ხმა ჩაუწია.

— კარგი, ვიმღეროთ — თქვა დაბრუნებულმა, მოხერხებულად მოკალათდა და მეგობარს მიაჩერდა. ფრთხილად, ხმადაბლა დაიწყო სიმღერა, მერე და მერე გათამამდნენ და მთელი გრძნობით უღრმავდებოდნენ სიტყვებს.

„შინ მოუსვლელო... სადა ხარ...“

უნებურად წამოდგნენ, ერთმანეთს ხელი გადაჰხვიეს და ასე დაამთავრეს სიმღერა.

ურუმრად დაცალეს სასმისები.

— დავით, დადამდა. უნდა წავიდე.

— რა გეჩქარება?

— მერე ტრანსპორტი აღარ იქნება, ჩემები ინერვიულებენ.

— სახლში დარეკე და დარჩი ამ-აღამ, რამდენი ხანია ასე არ დავმსხდარვართ.

— ჩემი პატარა შვილიშვილი უჩემოდ არ იძინებს. თუ არ მივივლი, აიკლებს ქვეყანას.

— შენ რა გიჭირს, ოჯახი მაინც შეგერჩა ხელში. მე დავრჩი მარტო.

— რატომ მარტო? აგერ არა ვარ?!

— კი, როგორ არა? სამ-ოთხ თვეში ერთხელ თუ გამომივლი. მიმატოვე ბერიკაცი.



ლადო ნაპირელი

დო-დო

ცოტა ხანს კიდევ ილაპარაკეს.

დაღამებულიყო. სოლოლაკის დაღმართს ქვევით მიჰყვებოდა. მხიარულ ხასიათზე დადგა. დიღინებდა კიდეც. სადაცაა გაზაფხული მოვიდოდა, გოგომ პალტო გადაიღვია, ნაბიჯს აუჩქარა და ოცი წლის ბიჭივით შიგადაშიგ ხტუნაობაც დაიწყო. ძველი სახლების პირველ სართულზე განლაგებულ ფანჯრებში იჭყიტებოდა, ზოგან მიაკაკუნებდა კიდეც და ქვევით მობოდა.

— გეყოფა ხულიგნობა, გოგი — საკუთარი თავი ხმადაბლა დამოძღვრა — რაღა დროს შენი ანცობაა, — ცხვირსახოციტო შუბლიდან ოფლი მოიწმინდა და ორი თითი მარცხენა ხელზე დაიდო — მგონი, გული ამიჩქარდა, პულსი მაქვს მომატებული. წნევამ თუ ამიწია, მარიამის საყვედურებს რა გაუძლებს.

დასერიოზულდა. დინჯი ნაბიჯით გაუყვა ტროტუარს.

ვიღაც ბეთჰოვენის „მოვარის სონატას“ ასრულებდა. მიაყურადა. ასეთი მსგავსება შეუძლებელი იყო. ერთი კლავიში ხარვეზით იძლეოდა „დო“-ს.

— ნეტა მერვინება თუ?.. — თავის თავს ეკითხებოდა და სწორედ იმ ნოტს იხსენებდა, რომელიც დოლოს

როიალზე ვერაფრით მოიფიქნეს სტუდენტობისას ჭკუაზე. თავადაც არაერთხელ დაურტყამს თითი იმ კლავიშზე, ის კი „დო-დო“-ს თავისებურად გამოსცემდა.

— არა, არ მერვინება, ნამდვილად ის უნდა იყოს.

ქუჩის მეორე მხარეს გადავიდა და თეთრად შეღებილ ფანჯარასთან შეჩერდა. შიგნით შეიხედა. განათებულ ოთახში როიალთან ახალგაზრდა ქალი მიმჯდარიყო და გრძნობით უკრავდა. გოგი მონუსხული უყურებდა ამას, ეს უკვე უბრალო დამთხვევა აღარ იყო, გოგო ხომ სწორედ იმას ჰგავდა.

აღბათ დიდხანს იდგა ასე. მერე ფანჯარას მოსცილდა და ქუჩას დაუყვა.

სახლში დაბრუნებულს მარიამი საყვედურებით მიეგება. კაცი ლამისაა სამოცდაათისა გახდე და ჭკუა მაინც ვერ ისწავლე, ისევ პატარა ბიჭი გვინია თავი, რატომ დალიე, გულს რატომ არ უფრთხილდებიო. გოგომ ბოლომდე არც კი მოუსმინა მეუღლეს. შვილიშვილთან, პატარა გოგისთან შევიდა სამინებელში და თითქმის ჩაძინებულ ბავშვს საწოლზე ჩამოუყვდა.

— ბაბუ, ზღაპარს მომიყვიები?

– კი, მოგიყვები, აბა, რას ვიზამ.
 – ხომ კარგ ზღაპარს მომიყვები?
 – მგონი კარგი ზღაპარია, მომისმინე და მიხვდები.
 – გისმენ ბაბუ.
 – იყო და არა, იყო რა, იყო ერთი ბიჭი – უბრალოდ ბიჭი კი არა, ძალიან კარგი ბიჭი იყო. – დაიწყო მოხუცმა.
 – რა ერქვა?
 – რასან ძალიან კარგი ბიჭი იყო, აბა, თუ მიხვდები რა ერქმოდა?
 – გოგი, გოგი ერქმოდა ხო ბაბუ?
 – მიხვდი. იყო კიდევ ერთი ძალიან, ძალიან კარგი გოგო.
 – იმ გოგოს, მარიამი ერქვა, როგორც ჩემს ბებოს და ჩემს დაიკოს, ხოლო ბაბუ?
 – მარიამიც კარგი გოგო იყო, მაგრამ მე ვისზეც გიყვები, ის ობოლი იყო და დოღო ერქვა – თავზე გადაუსვა ხელი თვალებშილულულ ბავშვს – ის ბიჭი ძალიან კარგად მღეროდა, ის გოგო კიდევ ფორტეპიანოზე უკრავდა ძალიან კარგად. თანაც ისეთი ინსტრუმენტი ჰქონდა, რომ ერთი კლავიში სულ დო-დო-ს იძახდა, თანაც თავისებურად. დოღო გოგიზე ხუთი წლით უფროსი და თანაც ძალიან ლამაზი იყო. ერთ სასწავლებელში სწავლობდნენ და მეგობრობდნენ. ბიჭს ძალიან, ძალიან უყვარდა გოგო, მაგრამ ვერ ეუბნებოდა, ანდა რატომ უნდა ეთქვა? გოგოს ხომ ძმასავით უყვარდა ბიჭი. მერე ცუდი ამბავი მოხდა. იმ გოგოს ერთადერთი გამზრდელი ბებია დაეღუპა. შენ არ იცი, რა არის სიკვდილი და არც არის საჭირო, რომ იცოდე. ბიჭი პანაშვიდზე რომ მივიდა, ისე იმოქმედა დოღოს დახოკილმა სახემ, რომ ლექსი დაუწერა და გადაწვიტა, რომ დასაფლავების შემდეგ გადაეცა მისთვის და ყველაფერი აეხსნა, მაგრამ ხშირად ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც გვინდა ხოლმე. გოგო მამიდამ სხვა ქალაქში, თავისთან წაიყვანა საცხოვრებლად და ისინი აღარ შეხვედრიან ერთმანეთს. ბიჭს კი მთელი ცხოვრება უყვარდა და იმ დღეს ელოდა, როცა ლექსს გადასცემდა გოგოს. მას სჯეროდა, რომ აუცილებლად ნახავდა გოგოს და ამ რწმენით იყო ბედნიერი. იცი, შენ რა არის ბედნიერება? – ჰკითხა მოხუცმა შვილიშვილს. პატარას კი ეძინა – სხვა დროს გეტყვი, რა არის ბედნიერება

და ამ ზღაპრის დასასრულსაც მაშინ მოგიყვები.
 ლოყაზე აკოცა ბავშვს და ფეხაკრეფით გავიდა ოთახიდან.
 ...
 ორი თვის განმავლობაში გოგი ყოველ საღამოს დადიოდა იმ ქუჩაზე, მუსიკის ჰანგებში „დო-დო“-ს უსმენდა და გამუდმებით ცელქი ბავშვივით იჭყიტებოდა ფანჯარაში. ის ახალგაზრდა ქალი ძალიან ჰგავდა დოღოს. რამდენჯერმე მოხუცებულ ქალბატონსაც მოჰკრა ფანჯრიდან თვალი და გულმა რეჩხი უყო.
 – არა, არ შეიძლება, რომ ვტყუვდე-ბოდე. ის არის. ნამდვილად ის – არწმუნებდა საკუთარ თავს.
 ...
 აპრილის ერთ საღამოს, დავითს მიაღება სახლში. მისალმება არ აცალა, ისე მიაყარა.
 – არაფერი მკითხო, მერე ავიხსნი ყველაფერს, მერე.
 – არაფერს არ გეკითხები გოგი. მითხარი, რა მოგივიდა.
 – ის კონვერტი მომეცა, ორმოცდაათი წლის წინ რომ მოგაბარე. შიგნით ისეთი რამე ჩავდე, ვიცოდი, აუცილებლად დამჭირდებოდა.
 დავითმა ძველ წიგნებს შორის ჩადებული კონვერტი მოძებნა და გოგის მიაწოდა.
 – არაფერი არ მკითხო, არა. მერე ავიხსნი ყველაფერს.
 ...
 სამი მისი დოღოს დაბადების დღე იყო. საღამოს გოგომ ვარდები იყიდა. კონვერტი მოისინჯა ჯიბეში და სოლოლაკის აღმართს შეუყვია. ნაცნობ ფანჯარასთან ცოტა ხნით გაჩერდა. მერე წინასწარ შეგულეულ კარზე დააკაკუნა და მოიცადა. ჩამინში არ ისმოდა. უფრო მაგრად დააკაკუნა. ნელი ნაბიჯების ხმა შემოესმა. კარი სამოცდაათს გადაცილებულმა ქალბატონმა გააღო და გოგის შავი თვალებით, გაურკვეველი მზერით დააკვირდა. გოგის საკუთარი გულისცემა ესმოდა. ერთი წუთი მაინც იდგა ასე გარინდებული.
 – მიცანით? – ჰკითხა გაუბედავად და ვარდები მიაწოდა.
 – კი, გიცანი – ყვაილები ჩამოართვა ბერიკაცს. შებრუნდა და სასტუმრო ოთახისკენ გაუძღვა – ჩემი შვილიშვილი, აი ის მე რომ მგავს... სახელი დამავიწყდა. მაღაზიაში გავი-

და და ახლავე მოვა. აქ დაელოდე, – როიალთან ახლოს მდგარ საგარბელზე მიუთითა და სამზარეულოში გავიდა. გოგი მარტო დარჩა ოთახში. აზრს თავს ვერ უყრიდა, მაღიმაღ იყურებოდა საათზე. ცოტა ხანში კარის გაღების ხმა მოისმა. ბერიკაცმა მოპირდაპირე კედელზე ჩამოკიდებული სარკიდან დაინახა ახალგაზრდა ქალი, რომელიც შემოსასვლელიდან პირდაპირ სამზარეულოში შევიდა. სმენა გაამახვილა გოგომ.
 – ნატო ბებო, ვინ არის ის კაცი?
 – მოისმა იქიდან.
 – არ ვიცი.
 – ხომ გთხოვე, კარი არავის გაუღო-მეთქი.
 გოგის თავში სიტყვა ნატო ზარივით რეკდა.
 მალე მოხუცი და ახალგაზრდა ერთად შევიდნენ მასთან. მოკლე მისალმების შემდეგ შვილიშვილმა მობოდიშებით მიმართა.
 – ნატო ბებიას სკლეროზი აქვს და ახლობლების ცნობაც კი ძალიან უჭირს, ამიტომ გთხოვთ, მაპატიოთ და მითხრათ, ვინ ბრძანდებით.
 – მე, თქვენი ბებიის კლასელი ვარ – უცებ მოიაზრა ტყუილი გოგომ, – დიდხანს ვცხოვრობდი საზღვარგარეთ. ახლა ჩამოვედი და მინდოდა, მისთვის დაბადების დღე მიმელოცა.
 – დიდი მადლობა, მაგრამ ბებიას დაბადების დღე აგვისტოში აქვს.
 ...
 გოგი თავისუფლების მოედანთან მდებარე სკვერში, გრძელ სკამზე ჩამოჯდა. კონვერტიდან გაყვითლებული ფურცელი ამოიღო და ლექსს მიაჩერდა. დოღოს სახე გაახსენდა. ყელში ბურთივით რაღაც მოაწვა. ფურცელი დაკეცა და კონვერტში ჩაღო. დავითთან ავიდა და კარზე დაუკაკუნა.
 – ნურაფერს მკითხავ, ისე შემინახე ეს კონვერტი. კარგად შემინახე, ის მე აუცილებლად დამჭირდება – უთხრა და წამოვიდა.
 მისის თბილი საღამო იყო. გოგომ საათს დახედა. პატარა გოგის ძილის დროა, გაიფიქრა და ნაბიჯს აუჩქარა – დღეს მე მას მოუყვები თუ რა არის ბედნიერება... ბედნიერება უსაზღვრო ლოდინია, ლოდინი სიყვარულის გამეორებისა...
 იმ დღეს პირველად მოვიდა ვარდობისთვის წვიმა.

მთელი მსოფლიოს ე.წ. სუპერკარების მწარმოებლებმა მწარედ „ამოიხრეს“, როცა „მიცუბიშიმ“ სახელგანთქმული LANCER EVOLUTION 6-ის „მემკვიდრე“ გამოამზეურა. ამბობენ, მას EVOLUTION 7-ს უწოდებენ და ყველა იმ სახელით აღჭურვავენ, რომელსაც რალისთვის არსებულ ტექნიკაში იყენებენ: გაცილებით მძლავრი, გაუმჯობესებული სამუხრუჭე სისტემის, ახალი ინტერიერისა და ექსტერიერის მქონე ავტომობილი, კონკურენტთათვის ნამდვილად სამაგალითო გახდება.

EVO 7-ს ოფიციალურად ევროპისთვის დაამზადებენ, მისი ჩვენება კი ამ კონტინენტზე ა.წ. მარტისთვის დაგეგმილ ჟენევის ავტოსალონზე მოხდება. მისი გაყიდვის დაწყება ივლისში არის ნავარაუდები.

ფასზე ჯერჯერობით, ოფიციალურად არაფერი თქმულა, მაგრამ დიდ ბრიტანეთში მოქმედი „მიცუბიშიის“ დილერები ამბობენ, რომ ის EVO 6-ის ფასთან იქნება მიახლოებული – ე.ი. დაახლოებით 50-55 ათასი დოლარი ელირება. მედველს ამ მანქანის ორგვარ კომპლექტაციას შესთავაზებენ: პირველია „ცივილური“ ექსპლუატაციისთვის გამიზნული GSH, რომელსაც კონდიციონერსა და სხვადასხვაგვარ ელექტრომწიფობილობას დაუმატებენ და RS – რალისათვის, რომელზეც, მინიმალური ცვლილებების შეტანის შედეგად, რობოტში მონაწილეობა იქნება შესაძლებელი.

როგორც „მიცუბიში-მოტორსის“ წარმომადგენლები აცხადებენ, მათ სურთ შექმნან EVO-ს მფლობელთა თავისებური კლუბი, ამიტომ EVO 7-ს უპირველესად ამ მარკის



Mitsubishi LANCER EVO 7

წინა გამოშვებების მფლობელებს შესთავაზებენ.

CEDIA-ს (ამ სახელწოდებით იცნობენ LANCER-ს იაპონიაში) პლატფორმაზე აწყობილი ახალი მანქანა უფრო პრაქტიკული და მოსახერხებელი გახდა. ის 170 მმ-ით დაგრძელდა და ახლა მისი სიგრძე 4,350 მმ-ს აღწევს, საბორბლე ბაზა 90 მმ-ით გაიზარდა. ყოველივე ამან სალონი გაცილებით ხალვათი გახადა, რაც განსაკუთრებით მოსახერხებელს, უკანა სავარძლების მგზავრებისთვის გახდის.

ლიზინგით განიცადა ცვლილებები. ამ მანქანაზე ვერ ნახავთ მისი წინამორბედისთვის დამახასიათებელ მოცულობით ბამპერს, ნისლის საწინააღმდეგო დიდ სანათებზე უარი თქვას, აი, მოზრდილი პაერუმ-

წოვი კი, კაპოტზე თითქმის უცვლელად დატოვეს, სანორმე პანელიც, ისევე, როგორც E6-ზე, გვერდით არის მოთავსებული. წინამორბედის მსგავსად, E7-საც უყენა უკანა ანტიფრთა.

მანქანა აღჭურვილია გადამუშავებული 2,0 ლიტრიანი ტურბოდრავით, რომელიც ახლა 280 ცხ.ბ. აღწევს (იაპონიის კანონით, ეს ძრავის ზღვრული სიმძლავრეა).

გაცილებით მნიშვნელოვანი ცვლილებები სრულამძრავიანმა ტრანსმისიამ განიცადა: მასში გამოყენებულია ე.წ. „აქტიური დიფერენციალი“, რომელიც გზის საფართან ბორბლების უკეთეს კვრადობას უწყობს ხელს და, ამასთან, თითოეული მძღოლის მართვის სტილს შეიძლება მიესადაგოს.

Volkswagen-ი აქცენს მამაცებზე ახეთებს

გერმანიის ერთ-ერთ უმსხვილეს ავტომწარმოებელს, კონცერნ „ფოლკსვაგენს“ დიდი ზარალი მიაყენა თავისი ბოლო ბესტსელერის – ახალი „ხოჭოს“ ცუდ რეალიზაციასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა.

ეს ავტომობილი კომპანიის მიგნებად ითვლებოდა, როცა პირველად გამოჩნდა 1988 წელს. უწინდელი იმიჯის და მარკის აღორძინებამ, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა 60-იან წლებში, ნამდვილი BEETLE-მანია გამოიწვია შერთე-

ბულ შტატებში.

სპონტანურად გაჩნდა „ხოჭოს“ მოტოფიალეთა კლუბები, რომლებიც ერთობლივ ავტორბოლებსაც აწყობდნენ. სწორედ „ხოჭო“ გახდა ერთ-ერთი პირველი ავტომობილი, რომელსაც ინტერნეტის მეშვეობით ყიდდნენ, ამასთან, მომხმარებელთა ინტერესის გასაღვივებლად, ავტომოყვარულებს ინტერნეტით სთავაზობდნენ განსაკუთრებული შეფერილობის მანქანებს, რომლებიც ოფიციალურ წარმომადგენლობებში არ იყიდებოდა.

მაგრამ 2000 წლის შუა პერიოდთან დაკავშირებით „ხოჭოზე“ მოთხოვნის მკვეთრი დაცემა დაიწყო, თანაც იმდენად სწრაფი, რომ კონცერნის ხელმძღვანელობამ მასზე დროული რეაგირებაც ვერ მოახერხა. ამის შედეგად, „ხოჭოს“ ახალი მოდიფიკაცია, რომელიც სპორტულ კაბრიოლეტს წარმოადგენს, მხოლოდ 2002

წელს თუ გავა სავაჭრო ქსელში.

სხვათა შორის, „ხოჭოზე“ მოთხოვნის შემცირების ერთ-ერთ მიზეზად, მის სიძვირესაც მიიჩნევენ. შემოსავლების ზრდის წყურვილით შეპყრობილი დილერები 1998 წელს 55.842 დოლარით იყიდდნენ და, ბოლოს, 80.000-მდე ავიდნენ. ეს მაშინ, როდესაც კონცერნის მარკეტოლოგები ყველაზე ოპტიმალურ ფასად 60.000-ს მიიჩნევდნენ.

შექმნილი სიტუაციის გაანალიზების შედეგად, კონცერნის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, თავისი ახალი მოდელით, განსაკუთრებით მამაკაცები დაინტერესოს, ამიტომაც მანქანის გამძლავრების გზას დაადგა. როგორც ცნობილია, „ხოჭოს“ მედველთა 60%-ს ქალები შეადგენენ. ახლა მწარმოებლებს სურთ, ავტომოყვარული მამაკაცები მიიზიდონ და ამისთვის მას ახალი 1,8 ლიტრიანი, 150 ცხ.ბ.ლიანი ძრავით გამოუშვებენ.

სულ „ხოჭოს“ SPORT-მოდელის 5000 ცალამდე წარმოებაა დაგეგმილი. მისი შემდგომი ბედი პირველი პარტიის რეალიზაციაზე იქნება დამოკიდებული.



ახალი M-Klasse

კომპანია „დაიმლერ-კრაისლერის“ მიზანია, უფრო მეტად გაამყაროს თავისი პოზიციები უმაღლესი კლასის „ყველგან-მავალთა“ ბაზარზე და შეავიწროოს ბრიტანული „რეინჯროვერი“: უახლოეს მომავალში მას ახალი MERCEDES-BENZ M-KLASSE-ს გამოშვება აქვს დაგეგმილი.

თავისი წინამორბედისგან ახალი მოდელი, უპირველეს ყოვლისა, რამდენადმე შეცვლილი გარეგნული იერით გამოირჩევა. წინა სანათობელი ტექნიკა C-KLASSE-ის მოდელების მსგავსი იქნება, ახალი ძრავა 5,8 ლიტრიანი V12 - S 600 მოდელის აგრეგატს დაესესება, რომლითაც მანქანა 100 კმ/სთ სიჩქარეს 8,5 წამში მიაღწევს. მაქსიმალური სიჩქარე კი – 250 კმ/სთ-ში ექნება.

ახალ M-KLASSE-ს მყიდველს ბევრი კომპლექტაციით შესთავაზებენ, მას საშუალება ექნება, შეუ-



კვეთოს როგორც ჩვეულებრივი, ისე დაგრძელებული საბორბლე ბაზის მქონე ავტომობილი. ეს უკანასკნელი, მომავალ BMW X7-ს შეედრება. A და M კლასების მოდელები აქამდე სხვა საწარმოო „მერსედესებისგან“ იმით გამოირჩეოდნენ, რომ არანაირი განსხვავებული ვარიანტები არ ჰქონიათ. ჩვენი სურვილია აღმოვფხვრათ ეს ხარვეზი“, – განაცხადა „მერსედეს-ბენცის“ შეფმა იურგენ ჰაბერტმა.

რაც შეეხება დამატებით ტექნიკას, ავტომობილი DVD და კავშირგაბმულობის თანამგზავრული, სანავიგაციო და უმაღლესი კლასის ხმოვანი სისტემებით იქნება აღჭურვილი. საგანგებო შეკვეთის შემთხვევაში, მას ჯავშანსაც „ჩააცვამენ“. მანქანაში გამოყენებული იქნება უსაფრთხოების უახლესი სისტემები – მათ შორის, დამის ხედვისა და აწ უკვე პოპულარული PARKTRONIC-ის სისტემები.

Ford-ის სიხშირი – ახალი Volvo

FORD PREMIUM AUTOMOTIVE GROUP-ის ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი, კვადრატული ფორმების მოყვარული VOLVO განაგრძობს ცვლილებების შეტანას თავის მოდელებში, რომელიც სულ უფრო ემსგავსება „ფოლკსვაგენს“, „ბე-ემ-ვეს“, „აუდისა“ და „მერსედეს-ბენცს“.

კომპანია არა მარტო პოპულარული „გოლფის“, არამედ „აუდი 3“-ის, „ბე-ემ-ვე კომპაქტისა“ და „მერსედეს-ბენცის“ სპორტული კუპეს კონკურენტი მანქანის გამოშვებას აპირებს. კოდური სახელწოდებით – Y279-ით ცნობილი პროექტის არსებობა უკვე დაადასტურეს, მისი წარმოების საორიენტაციო ვადად კი 2004 წელი გამოაცხადეს.

კომპაქტურ ჰენ-ბეკს, რომლის სახელწოდება საბოლოოდ, ალბათ V30 იქნება, „ახალგაზრდა, ძლიერ, თანამედროვე“ მანქანად ახასიათებენ, რომელშიც აქცენტი „უსაფრთხოებაზე, ხარისხსა და „ვოლვოსთვის“



დამახასიათებელ დინამიკაზე იქნება გაკეთებული.

„ვოლვო“ ამგვარ პროექტს ჯერ კიდევ მანამდე „ელოლიაებოდა“, ვიდრე მისი ბრენდის (სავაჭრო მარკის) მფლობელი, „ფორდი“ გახდებოდა, მაგრამ შედეგმა არ იცოდნენ, საიდან მოეზიდათ საამისო ფინანსები და სად ეწარმოებინათ. „ფორდთან“ შემდგარმა ალიანს-

მა „ვოლვოს“ დამატებითი სტიმული მისცა: საერთო პლატფორმაზე, რომელიც „ფორდ ფოკუსის“ ევროპული ვერსიისა და იაპონური „მაზდა-323“-ისთვის („მაზდა“, როგორც „ფორდის“ იმპერიის ნაწილი) არის შემუშავებული, „ვოლვოს“ ეს, ახალი მოდელიც ჩაეშვება წარმოებაში.

მომხიზვლელი აქანიკელი გოგონა –

გვინეტ ჰელოუოუ



სუთი-ექვსი წლის წინ გვინეტ პელტროუ ყველასათვის მხოლოდ ბრედ პიტის საცხლის რანგში იყო ცნობილი. დღეს კი იგი პოლიგუდის გამორჩეული მსახიობია, ქა-

ლის საუკეთესო როლისთვის ფილმში „შეყვარებული შექსპირი“ გვინეტმა ოსკარი მიიღო, რომლის გადაცემისას მსახიობი ემოციებისაგან ატირდა კიდევც...

რომანტიკული კომედია „შეყვარებული შექსპირი“ თავიდანვე „საექვო“ პროექტად ჩაითვადა. ჯოზეფ ფანსის მიერ განსახიერებული დიადი დრამატურგი თავიდან ნერვიულ პიროვნებად არის წარმოდგენილი, რომელიც უხალისოდ ქმნის ძელოდრამას „რომეო და ეტელი – მეკობრის ქალიშვილი“. მხოლოდ გვინეტ პელტროუს გმირის გაცნობის შემდეგ პოვეს შექსპირი შთაგონებას და საუბარს იწყებს ნამდვილ გრძნობებზე – ის ნამდვილი შექსპირი ხდება. მომხიზვლელმა ამერიკელმა გოგონამ ღირსეულად გაართვა თავი შექსპირის მუხის საპასუხისმგებლო როლს.

მამასთან, ბრიუს პელტროუსთან ერთად



11 წლამდე გვინეტ შოუბიზნესის დედაქალაქში, ლოს-ანჯელესში ცხოვრობდა. მისი მამა ტელევიზიაში იმ დროისთვის პოპულარულ სერიალებს დგამდა. დედამისი – ბლაიზ დენერი თავისი თაობის საუკეთესო მსახიობ ქალად ითვლებოდა. 1969 წელს ბლაიზმა მიიღო „ტონი“ („ოსკარის“ ბრძოლველი ანალოგი) სპექტაკლ „თავისუფლების პეპლებში“ მონაწილეობისთვის, 1988 წელს კი კვლავ იყო ნომინირებული იმავე პრემიაზე ბლანშ დიუბუას როლისთვის სპექტაკლში „ტრამვაი, რომელსაც „სურვილი“ ჰქვია“, როლის შესრულებისთვის.

პატარა გვინეტმა სწორედ ადევნებდა თავს მშობლების მუშაობას, მაგრამ თავად მას მკაცრად უკრძალავდნენ შოუბიზნესში მონაწილეობას.

როცა გოგონა 11 წლის გახდა, ოჯახი საცხოვრებლად ნიუ-იორკში გადავიდა. გვინეტმა პრესტიჟულ დასურულ ქალთა სკოლაში მიაბარეს, ეს სკოლა მანჰეტენზე მდებარეობს. „მე საოცარი ბავშვობა მქონდა – ამბობს ის დღეს, – დიდიდან ქალთა სკოლა, სადილის შემდეგ – დედის რეპეტიციები, სადაც ფესშიშველი დაფრბოდი სცენაზე და იატაკზე ვიჯექი. დიდას – მკაცრად აღზრდილი ბავშ-

ვი ვიყავი, საღამოს კი ბოშების ბავშვი“. 13 წლის გოგონამ სცენაზე იხილა „ტრამვაი, რომელსაც „სურვილი“ ჰქვია“. „ამის შემდეგ სუნთქვის და მოძრაობის უნარი დაგვარგე – ისწავს იგი, – ვფიქრობ, ეს ჩემს ცხოვრებაში გადამწყვეტი მომენტი იყო. მივხვდი, თუ დედის მსგავსად მსახიობი გავხდებოდი, მთელი ცხოვრების მანძილზე ბედნიერი ვიქნებოდი“.

რაც უფრო გადიოდა წლები, მით უფრო უჭირდათ მშობლებს საკუთარი ქალიშვილის თეატრისგან და განსაკუთრებით, კინოსგან მოშორება.

გვინეტმა კინემატოგრაფიაში ნათლობა თვით სტივენ სპილბერგისგან მიიღო. 1990 წელს მამამ იგი კინოში წაიყვანა, იქ სპილბერგს შეხვდნენ. რეჟისორი იმ დროს საბავშვო ზღაპრის „კაპიტანი კრიუკის“ დადგმას ამზადებდა. სპილბერგმა მაშინვე შენიშნა გოგონას დიდი სამსახიობო პოტენციალი და სთხოვა მამამისს, დათანხმებულიყო, გვინეტის თუნდაც ეპიზოდურ როლში მონაწილეობაზე. ბრიუს პელტროუმ სპილბერგს უარი ვერ უთხრა და გვინეტმა ფილმში ვენდის პატარა როლი შეასრულა.

სკოლაში სწავლის ბოლო წელს, გვინეტის მეგობარმა გოგონებმა კლასში ფურცლები მოიტანეს, მასში ეწერა, რომ „ღირსეულად აღზრდილ მოზარდებს“ სინჯებზე იწვევდნენ. მშობლებისგან მალულად გვინეტმა სინჯებზე წავიდა და პროდიუსერებც მოხიზვლა. როლი მას თითქმის განაღდებული ჰქონდა, მაგრამ მსახიობთა შერჩევაში მონაწილე აგენტმა იცნო იგი და დედამისის აგენტს დაურეკა: „გვინეტმა უბრალოდ განუყოფილებელია! ჩვენ მას აუცილებლად დავამტკიცებთ როლზე, თქვენ შეგიძლიათ კონტრაქტი შეგვიდგინოთ?“

ყველაფერ ამას დიდი სკანდალი მოჰყვა. დღეს გვინეტმა ამბობს, რომ არ არის ნაწყენი მშობლებზე, გადაღების უფლება რომ არ მისცეს. იმ დროს კი მან ნამდვილი ამბოხება მოაწყო,





ბენ აფლეკთან...

გაკვეთილებიდან იპარებოდა და ბარებში დადიოდა.

თანდათანობით მშობლებმა პოზიციები დათმეს. 1990 წელს სკოლის დამთავრების შემდეგ, გვინეტი ლეღამისთან ერთად მონაწილეობდა უილიამსთაუნში გამართულ თეატრალურ ფესტივალში (თვითონ ამის შესახებ ამბობს, რომ მშობლებს მისი მართლ დატოვების შეეშინდათ, რადგან უფრო და უფრო ხშირად სტუმრობდა ბარებს). შემოდგომაზე გვინეტი აღმოსავლეთ სანაპიროზე, სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტში, სანტა-ბარბარაში გააგზავნეს, ხელოვნების ისტორიის განყოფილებაზე სასწავლებლად.

„მამინვე მივხვდი, რომ იქ ჩემი ადგილი არ იყო – ამბობს პელტროუ – სულ ახლოს, გვერდით უფრო მნიშვნელოვანი რამ მქონდა, სიყვარული ან კინოკარიერა. ბოლოს აღმოჩნდა, რომ ერთიც და მეორეც“.

პოლიუელი მართლაც სულ ახლოს იყო. გვინეტმა სინჯებზე დაიწყო სიარული და მალე პატარა როლიც მიიღო, შემდეგ კი – უფრო მნიშვნელოვანი.

პირველ წარმატებებს გვინეტ პელტროუ სიფრთხილით მოეკიდა, უარი თქვა რამდენიმე ფილმში როლის შესრულებაზე და მასზე, როგორც გემოვნებიან და ელიტის მსახიობზე, ისე დაიწყეს საუბარი.

„მე პროდიუსერს გვინეტ პელტროუს კანდიდატურა შევთავაზე ქალის როლის შესასრულებლად – იხსენებს ფილმ „შვიდის“ რეჟისორი დევიდ ფინჩერი – პროდიუსერს მხოლოდ გაეცინა და თქვა, რომ გვინეტი არასოდეს დასთანხმდებოდა თრილერში მონაწილეობაზე“. ფილმ „შვიდის“ სცენარი ძალიან მოეწონა მსახიობ ბრედ პიტს. ფინჩერმა გაიგო, რომ გვინეტი და ბრედი ერთმანეთს იცნობდნენ და სთხოვა პიტს, სინჯებზე მოეყვანა მისი მეგობარი გოგონა. „როგორც კი გვინეტი ოთახში შემოვიდა, ყველამ ერთხმად თქვა: „დახს, ეს




...„შეყვარებულ შექსპირთან“...

სწორედ ის არის!“ – იხსენებს რეჟისორი. თრილერ „შვიდის“ წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სკანდალმა, რომელიც პრემიერაზე ცოტა ხნით ადრე მოხდა: ბრედ პიტი და გვინეტ პელტროუ შიმვლები ფარულად გადაიღეს ჰავაის პლაჟზე ყოფნისას. სურათების გამოქვეყნების მეორე დღესვე ტაბლოიდებმა წყვილი „დააქორწინეს“. ამის შემდეგ ბრედ პიტის ყველა თაყვანისმცემელი (თითქმის ნახევარი ამერიკა) კინოთეატრებს მიაწყდა, რათა მათი კერპის ახალი მეგობარი გოგონა ეხილა.

სიყვარულის იდილია ორი წლის განმავლობაში გრძელდებოდა. 1997 წლის ივნისში პიტი და პელტროუ უეცრად დაშორდნენ, თითქოს ყოველგვარი მიზეზის გარეშე. ამერიკა შოკში ჩავარდა: არ ყოფილა არც დალაპტი და არც სკანდალები, უბრალოდ პიტი სიყვარულში მაქსიმალისტური აღმოჩნდა. „ერთად ყოფნა“ მისთვის ნიშნავდა ერთად ყოფნას ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. პირველ ხანებში გვინეტი მას არგენტინაში აკითხავდა გადაღებებზე, პიტი კი გვინეტთან ჩადიოდა გადაღებებზე ლონდონში. პელტროუს კარიერა სულ მეტ დროს მოითხოვდა, საინტერესო კინოპროექტებზე უარის თქმას კი, ქალი არ აპირებდა. „მე მაღლობელი ვარ ღმერთის იმ დროისათვის, რაც ბრედთან ერთად გავატარე – ბრედი შესანიშნავი ადამიანია“.

„შესანიშნავ“ საქმოსთან დაშორების შემდეგ გვინეტი შეიცვალა. ადრე ის ბევრს ეწეოდა, დღეს კი ცხოვრების ჯანმრთელ წესს ანიჭებს უპირატესობას: არ სვამს, არ ეწევა, არ მიირთმევს ხორცს, დადის სატრენაჟორო დარბაზში. ეკრანზე კი პირიქითაა: უმწიკვლო გოგონების როლები გვინეტმა საბედისწერო ქალების როლებით შეცვალა.

ამჟამად პელტროუ მეტი სიფრთხილით ეკიდება პრესის წარმომადგენლებს. ორიოდე წლის წინ, ის ბენ აფლეკს



... ბრედ პიტთან ერთად


„გააყოლეს ცოლად“ და ეს ისევე ოპერატიულად მოხდა, როგორც ბრედ პიტის შემთხვევაში. წყვილი მართლაც ჩნდება ხოლმე ერთად საზოგადოებაში, მაგრამ თავიანთ ურთიერთობებზე საუბარს ორივე კატეგორიულად ერიდება. ბინძური სენსაციების მოყვარული ბულვარული პრესაც კი გვინეტის მისამართით მსგავსი გამონახვებისგან თავს იკავებს. ცნობილია მხოლოდ ის, რომ გვინეტმა და ბენმა ერთმანეთი „შეყვარებული შექსპირის“ გადაღებებზე გაიცნეს (აფლეკი ფილმში პატარა როლს ასრულებს).

„გვინეტს ყველაფერი ძალუძს“ – მიაჩნია დუგ მაკგრატს, ფილმ „ემას“ რეჟისორს. ფილმი ჯეინ ოსტინის რომანის მიხედვით გადაიღეს და მასში გვინეტმა მთავარი როლი შეასრულა – მშვილდით სროლა ერთ გაკვეთილში ისწავლა; მას პარტნიორთან ერთად დუეტის შესრულება მოუწია და მეორე ხმით საკუთარი პარტია შექმნა; ორი გაკვეთილის შემდეგ, ცხენით ჯირითი ისწავლა – „როცა საჭირო გახდა მდინარის ფონში ცხენშებმული ეტლით გასვლა, გვინეტმა ცხენი წყლის ქვეშ გაკეთებულ ნიშნულთან ზუსტად შეაჩერა. ჩვენი მწკრივნილი კი გვიმტკიცებდა, რომ მსახიობი ამას ვერ შეძლებდა. დუბლიორთან ერთად რვა სინჯი გადავიღეთ, გვინეტთან ერთად კი ერთი სინჯი, პელტროუ მეტი სიზუსტით შეჩერდა. ფილმის მოქმედება ჩვენს დროში რომ მიმდინარეობდეს, აუცილებლად ჩავრთავდი ეპიზოდს, რომელშიც მთავარი გმირი გაქანებული მოტოციკლით აღმობრუნდებოდა კასრებს გადახტება, უბრალოდ იმისთვის, რომ მენახა, შეძლებდა თუ არა გვინეტი ამ ტრიუკის თავად შესრულებას!“

თუმცა მოვიცადოთ, ჯერ ხომ ყველაფერი წინ არის.

მინარქისტი გიმსტინი

ჟურნალ CULTURE-სთვის მიცემულ ინტერვიუში, წარმოშობით ავსტრალიელმა კინოვარსკვლავმა მელ გიბსონმა კმაყოფილება გამოთქვა ამ ქვეყანაში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგებით, რომლის თანახმად, მოსახლეობის უმრავლესობამ მონარქიის შენარჩუნებას დაუჭირა მხარი. „მე ამ წყობის გაუქმების კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი, – აღნიშნა მსახიობმა, – რადგან რესპუბლიკის გამოცხადების შემთხვევაში, ადამიანები ზოგიერთ ისეთ უფლებას დაკარგავდნენ, რომლის გარანტიაც სამეფო გვირგვინი გვევლინება!“



ქართულ-თბანგული წყვილი

ამ ცოტა ხნის წინ უკრაინის დედაქალაქ კიევში ერთობლივი კონცერტი მოაწყვეს თამარ გვერდ-წითელმა და გამოჩენილმა ფრანგმა მანესტრომ მიშელ ლეგრანმა, წარმატებით დამთავრებული გამოსვლა კი ეროვნულ რესტორაში აღნიშნეს. მენიუს შერჩევა კომპოზიტორმა, ცხადია, ქალბატონს დაუთმო, თამარმაც არჩევანი უკრაინულ ეროვნულ კერძზე – „სალაზე“ შეაჩერა. ბუნებრივია, მისი სახელწოდების ფრანგულად თარგმნა ვერ მოახერხა, მაგრამ, რაც მთავარია, უკრაინული დელიკატესი მანესტროს დიდად მოსწონებია.



მბიფნი სპირისი ახალი ამპლუა

მოზარდების კერპი ბრიტნი სპირსი მალე კინომსახიობის ამპლუაში მოეწვინება მაყურებელს: მარტში პოპ-მომღერალი თავის პირველ მხატვრულ ფილმში გადაღებას შეუდგება. სურათს ჯერ სახელწოდებაც არა აქვს და მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ ბიუჯეტი 10 მლნ დოლარს შეადგენს, ამ თანხის დიდ ნაწილს კი, თავად სპირსის ხმის ჩამწერი კომპანია JIVE RECORDS-ი გაიღებს. ფილმის სიუჟეტი სკოლის ასაკის სამი მეგობარი გოგონას ამბავს გადმოგვცემს: ერთი მათგანი – ფრიადოსანი-ვუნდერკინდია, მეორე – კომპანიის „სული და გული“, მესამე კი – უიღბლო გოგონა – როგორც სწავლაში, ისე ბიჭებთან ურთიერთობაში. ბრიტნის, რასაკვირველია, ფრიადოსნის როლი ერგო...

თანაცვი გოგონების მსხვერპლი ვაძსკულავი

ფილმის – SNATCH`D-ის პრემიერა კინალამ ტრაგიკულად დასრულდა პოლიუდის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ვარსკვლავის, – ბრედ პიტისთვის: როცა ის კინოთეატრიდან გამოვიდა, ექსპრესიული ფანატი გოგონები „თავს დაესხნენ“ და ნამდვილი ზედახორა მოაწყვეს. მსახიობი კინოთეატრისკენ გაეარდა, მაგრამ უკვე გვიანი იყო: ახალგაზრდებმა ისეთი ჭყლეტა გამოიწვიეს, რომ რამდენიმე მათგანი სერიოზულადაც კი დაშავდა, თუმცა, საბედნიეროდ, არავინ დაღუპულა. ლოს-ანჯელესის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელთა აზრით, ყველაფერში თვით ბრედ პიტია დამნაშავე: მათი აზრით, „კინოვარსკვლავი“ დაცვითა და „შავი გასასვლელებით“ უნდა დადიოდეს. სწორედ ასე მიუგეს მათ პიტს, – ნამდვილი ვარსკვლავი თუ ხარ, ქუჩაში „ტასაობას“ თავი უნდა დაანებო...





ცნობილი მარშლის, მორიც საქსონელის შვილთაშვილი იყო. მიჯნურის სიკვდილის შემდეგ მორიცს მსახიობი ქალი შეუყვარდა და მისგან ქალიშვილი – ავრორა გაუნდა. შემდგომში ავრორა საქსონელი ცოლად გაჰყვა მდიდარ გრაფს ვოტორნს, რომელიც ახალგაზრდა ქალის საბედნიეროდ, სულ მალე დუელში მოკლეს. ამის შემდეგ ბედმა იგი ფინანსთა სამინისტროს მოხელეს, ვინმე დიუპენს შეახვედრა. ეს გახლდათ ძალზედ ზრდილობიანი და განათლებული, ხანში შესული მამაკაცი, რომელმაც თავისი წლოვანების მიუხედავად (მაშინ 60 წლის იყო), ოცდაათი წლის ქალბატონის გულის მონადირება შეძლო და მასზე დაქორწინდა. ეს ქორწინება მეტისმეტად ილბლიანი და ბედნიერი აღმოჩნდა. ცოლქმარს შეეძინა ვაჟი – მორიცი. ნაპოლენ პირველის მმართველობის არეულ ხანაში ყმაწვილს საეჭვო ყოფაქცევის ქალი შეუყვარდა და საიდუმლოდ ჯვარი დაიწერა. ოფიცერ მორიცს ცოლის რჩენა არ შეეძლო და დედის კმაყოფაზე ცხოვრობდა.

ქარაფშუტა მორიცისა და კიდევ უფრო ქარაფშუტა ცოლისთვის გამოუვალ ხანაში, წყვილს გაუნდა ქალიშვილი, რომელსაც რომანტიკული სახელი – ავრორა დაარქვეს. სწორედ ეს გახლდათ ცნობილი ჟორჟ სანდი.

გოგონას მამა ადრე გარდაეცვალა და დედისა და ბებიის ანაბარა დარჩა, ამასთან ხშირად ხდებოდა ამ ორი ქალის განუწყვეტელი ქიშპობისა და შეხლა-შემოხლის მოწმე. ბებია გოგონას დედის მდაბიური წარმომავლობის გამო, მუდამ უკმაყოფილებას გამოთქვამდა და რძალს ახალგაზრდა მორიცთან ქორწინებამდე გაბმულ ქარაფშუტულ ურთიერთობას ახსენებდა. გოგონა დედის მხარეს იჭერდა და ღამღამობით ისინი ხშირად ერთად ღვრიდნენ ცრემლს.

როცა თვრამეტი წლის გახდა, ავრორა ცოლად გაჰყვა არტილერიის პორუჩიკს, კაზიმირ დიუდევანს. ეს იყო ერთი ბარონის უკანონო შვილი, რომელმაც ამგვარი წარმომავლობის გამო, მამისგან ვერც ტიტული მიიღო და ვერც ქონება. ავრორას ბებიისგან მემკვიდრეობად გადაეცა მამული და ციხესიმაგრე ნოანი. ქორწინების

ჟორჟ სანდი (1804-1876წწ. ნამდვილი სახელი ამანდინა ავრორა ლიონ დიუპენი), მრავალი რომანის ავტორი, რომელთაგან უმრავლესობა ავტობიოგრაფიულია („ინდიანა“, „ორასი“, „კონსუელი“) არა მარტო ცხოვრებითა და შემოქმედებით, არამედ ფრიად უჩვეულო წარმომავლობითაც გამოირჩეოდა.

გაგორენილ ხელოვანთა

გაგორენილი საყვარელი



პირველი წლები, ასე თუ ისე, ბედნიერი აღმოჩნდა. სახელოვანი პოლკოვნიკის პატივსაცემად მორიცად წოდებული მათი ვაჟი და ქალიშვილი სოლანჟი გულს უხარებდნენ ავრორას. იგი თავდაუზოგავად ზრუნავდა ოჯახზე და ცდილობდა, ქმრისთვის ნოანში ცხოვრება რაც შეიძლება სასიამოვნო გაეხადა, მაგრამ ოჯახის სარჩენად სახსრები არ ჰყოფნიდათ და ამან ცოლ-ქმარს შორის უთანხმოება გამოიწვია. მაშინ ავრორამ მთარგმნელობით საქმიანობას მიჰყო ხელი და დაიწყო რომანის წერა, რომელიც შემდგომში, მრავალი ნაკლის გამო, ცეცხლში გადაუძახა. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, ოჯახურ ბედნიერებას არ მოასწავებდა. ჩხუბი და აყალმაყალი გრძელდებოდა და ერთ მშვენიერ დღეს, ქმარმა ოცდაათი წლის ცოლს ქალიშვილთან ერთად, პარიზში გამგზავრებისა და სხვენში ცხოვრებისკენ უბიძგა.

იმის გამო, რომ ავრორას ძვირად ღირებული ქალის ტანისამოსის შესამენი ფული არ ჰქონდა, მან მამაკაცის კოსტიუმების ტარება დაიწყო. კაცის სამოსი იმით იყო კიდევ მოსახერხებელი, რომ მასში ნებისმიერ ამინდში შეიძლებოდა ქუჩაში სიარული. გრძელ ნაცრისფერ პალტოში, მრგვალ ფეტრის ქუდსა და მაგარ ჩექმებში გამოწყობილი ახალგაზრდა ქალი პარიზის ქუჩებში დაეხეტებოდა და თავისუფლებით ტკბებოდა. ერთ ფრანკად სადილობდა, თავად რეცხავდა და აუთოებდა თეთრეულს, ქალიშვილს ასეირნებდა. პარიზში ჩამოსვლისას ქმარი აუცილებლად მოინახ-

ულედა ხოლმე და თეატრში ან რომელიმე არისტოკრატიულ რესტორანში პატიჟებდა. ზაფხულში კი ავრორა რამდენიმე თვით ნოანში ბრუნდებოდა – ძირითადად იმისთვის, რომ საყვარელი ვაჟიშვილი ენახა. ხანდახან პარიზში ქმრის დედინაცვალსაც სვდებოდა. ერთხელ, როცა დედამთილმა შეიტყო, რომ ავრორა წიგნების გამოცემას აპირებდა, გაშმაგდა და კატეგორიულად მოსთხოვა, დიუდევანის სახელი არც ერთ მის წიგნზე არ გაჭაჭანებულიყო. ავრორას გაელიმა და ამ თხოვნის შესრულება აღუთქვა.

ავრორამ ჟორჟ სანდი დაირქვა. ეს სახელი გახდა მისი ლიტერატურული ფსევდონიმი. 1832 წელს გამოქვეყნდა ჟორჟ სანდის პირველი რომანი „ინდიანა“, რომელსაც ინტერესითა და მოწონებით შეხვდა მკითხველიც და კრიტიკაც.

თანამედროვენი ჟორჟ სანდს უგულო და ცვალებადი ბუნების ქალად თვლიდნენ, ლესბოსელს ან, უკეთეს შემთხვევაში, ბისექსუალს უწოდებდნენ და აღნიშნავდნენ, რომ მასში იმალება ძალზედ მძაფრი დაფარული დედობრივი ინსტინქტი, რომლის ბოლომდე რეალიზებაც სანდმა ცხოვრებაში ვერ მოახერხა. ამ ბრალდების საბაბი ის გახლდათ, რომ ჟორჟ სანდი ყოველთვის თავისზე ახალგაზრდა მამაკაცებით იხიბლებოდა.

ჟორჟ სანდი სიგარას ეწეოდა, ხოლო მისი მიხვრა-მოხვრა მეტისმეტად უხეში და ტლანქი იყო. კაცებს მისი ინტელექტი და სიცოცხლის სიყვარული იზიდავდათ.

პარიზში ცხოვრებისას ავრორამ გა-

იცნო ახალგაზრდა მწერალი ჟიულ სანდო. ამბობდნენ, რომ სანდო მისი პირველი ნამდვილი სიყვარული იყო. მაგრამ თავად ჟორჟ სანდის აღიარებიდან ჩანს, რომ სანდოს გაცნობამდე დიდი ხნით ადრე, ჯერ კიდევ ნოანში, იგი პლატონურად ეტრფოდა ერთ მამაკაცს, რომელიც მისგან შორს იმყოფებოდა და რომელსაც მწერალი მთელი თავისი რომანტიკული ფანტაზიით ამკობდა. კაცი პლატონური სიყვარულით არ კმაყოფილდებოდა და სხვაგვარ ურთიერთობაზე გადასვლას ითხოვდა, მაგრამ ავრორა უღმობლად მოიქცა და საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ ის ბედნიერება, რომლის მიცემაც მას არ შეეძლო ან არ სურდა, შორეულ მეგობარს სხვა ქალთან უნდა ეპოვა. ასე დამთავრდა მისი პირველი რომანი.

მეორე რომანის გმირი, როგორც უკვე ვთქვით, სტუდენტი ჟიულ სანდო გახლდათ, რომელიც ქალმა პარიზში ჩასვლისთანავე გაიცნო. სანდო 7 წლით უმცროსი იყო ავრორაზე. ეს იყო სუსტი აღნაგობის, ქერათმიანი, არისტოკრატიული გარეგნობის ყმაწვილი. სხვათა შორის, სანდმა სწორედ მასთან ყოფნისას დაწერა თავისი პირველი რომანი. ძნელი სათქმელია, თუ რა მიზეზით დაშორდნენ ისინი ერთმანეთს, ყოველ შემთხვევაში, რომან „ფერდინანდში“ სანდო ამბობს, რომ განშორება ორივე მხარის თანხმობით მოხდა.



ფრიდერიკ შოპენი

სანდს არ შეეძლო სექსით ტკბობა, თუ პარტნიორზე შეყვარებული არ იყო. მაგალითად, ძალზედ მოკლევადიანი აღმოჩნდა მისი წმინდა სექსუალური ურთიერთობა მწერალ პროსპერ მერიმესთან, რომლის მიმართ ჟორჟ სანდს არანაირი გრძნობა არ გააჩნდა. სანდის ზოგიერთი საყვარელი ამტკიცებდა, რომ იგი ფრიგიდული იყო. სინამდვილეში კი, ის ალბათ იმ მრავალ ქალს ჰგავდა, რომლებიც მხოლოდ გრძნობების გავლენით ხდებიან ვნებიანი და აბსოლუტურად გულგრილნი და ცივები რჩებიან, როცა ამ გრძნობებს

არ განიცდიან. სანდსაც შეეძლო ვნებიანი საყვარელი ყოფილიყო – ერთხელ ის გამოტყდა, რომ ერთ-ერთი თავისი საყვარელი, საკმაოდ შეუხედავი და ცოლიანი მიშელ დე ბურჟე სწორედ იმის გამო უყვარდა განსაკუთრებით, რომ ამ უკანასკნელს შეეძლო „სურვილით აეთრთოლებინა“.

ავრორასა და ალფრედ დე მიუსეს რომანი რიგით მესამე იყო. მიუსეს შესახებ მას ბევრი რამ სმენოდა თავისი მეგობრისა და მხურვალე თავყვანისმცემლისგან სენტ-ბოვისგან, რომელიც ოცნებობდა ავრორასათვის ალფრედი გაეცნო. ავრორა არ ჩქარობდა და ამბობდა: „ის ზედმეტად თავმოძწონე ფრანტია, ერთმანეთს ვერ შევეწყობით“. იმ დროისათვის, როცა მიუსე სილამაზისა და დიდების ზენიტში იყო, ავრორას „ჟორჟ სანდის“ ფსევდონიმით უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა ოთხი რომანი, რომლებმაც იმთავითვე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება. პუბლიკა ალფრედი თოვანებული იყო, შემოსავალი დღითი დღე იზრდებოდა და ახალგაზრდა ქალი უკვე ხვდებოდა, რომ სილატაკე და უფულობა წარსულს ჩაბარდა.

მიუსეს გაცნობის პირველსავე წუთიდან ავრორა იძულებული იყო ეღიარებინა, რომ „თავმოძწონე ფრანტი“ ძალზედ ლამაზი და მიმზიდველი იყო. მასზე ექვსი წლით უმცროსი, გამხდარი და ქერათმიანი მამაკაცი ოსტატურად წარმართავდა დიალოგს და საუბარს მსუბუქი სარკაზმით ამკობდა.

იყო თუ არა ჟორჟ სანდი ლამაზი? ერთნი ამბობდნენ – იყო, სხვები საზიზღარს უწოდებდნენ. თავად საკუთარ თავს მახინჯთა რიგს მიაკუთვნებდა და თვლიდა, რომ მას არ გააჩნია ის გრაცია, რომელიც, როგორც ცნობილია, ზოგჯერ სილამაზესაც ცვლის. თანამედროვენი მას ამგვარად ახასიათებდნენ: საშუალო ტანის და ჩასკვნილი აღნაგობის ქალი, პირქუში გამომეტყველება, დიდი თვალები, გაფანტული მხერა, მოყვითალო ფერის პირისაზე და ნაადრევად დანაოჭებული კისერი. აი, მისი ხელები კი, საყოველთაო აღიარებით, ნატიფი და უნაკლო იყო.

თავად მიუსემ ჟორჟ სანდი სულ სხვაგვარად წარმოგვიდგინა: „როცა



პირველად ვნახე, მას ქალის კაბა ეცვა და არა ის მამაკაცის ელეგანტური კოსტიუმი, რომლითაც ასე ხშირად იმახინჯებდა თავს. წმინდა ქალური სინატიფით ეჭირა თავი. სიყმაწვილის კვალი დაწვებზე შერჩენოდა, არაჩვეულებრივი თვალები უბრწყინავდა და შავი თმით დაჩრდილული ეს ბრწყინვალეობა, მართლაც, რომ მომაჯადოებლად მოქმედებდა. მეც პირდაპირ გულში დავიჭერი. შუბლზე გამუდმებული ფიქრის კვალი აღბეჭდოდა. ლაპარაკობდა ცოტას, მაგრამ დამაჯერებლად“.

შემდგომში მიუსე ამბობდა, რომ ამ ქალის გვერდით გარდაიქმნა, რომ არც მანამდე და არც მას შემდეგ, არ განუცდია იმგვარი აღტაცება, იმგვარი ბედნიერება და სიყვარული, როგორსაც სანდთან სიახლოვის უამს გრძნობდა.

მიუსეს მგზნებარე ვნებას ავრორა მაშინვე როდი აჰყვამ. პირველ ხანებში ქალი მოიხიბლა ახალგაზრდა კაცის დახვეწილი მანერებით და განსაკუთრებით იმ გარემოებით, რომ მიუსე მას, როგორც მაღალი საზოგადოების ქალბატონს, ისე ექცეოდა. უკვე სახელგანთქმული პოეტი თავის ქმნილებებს აკითხებდა, აზრს ეკითხებოდა და მის კრიტიკასაც დიდი გულისყურით ისმენდა. მისი სილამაზე და სიყვარული ავრორასათვის მეორეხარისხოვანი იყო, მაგრამ მალე ისიც ვნებით აღეგზნო და რადგანაც უკვე ჩიტივით თავისუფალი იყო (იმ დროისათვის ქმარს გაეყარა), ყოველგვარი ყოყმანის გარეშე, გაუმიჯნურდა მიუსეს.

პირველ ხანებში საყვარლები ბედნიერად ცხოვრობდნენ. მაგრამ მალე მიუსე აუტანელი გახდა – გამომჟღავნდა მისი კომპლექსები, ჭირვეულობა და ცვალებადი ხასიათი. დროდრო ეწყებოდა ჰალუცინაციები, რომლის დროსაც გონებას კარგავდა და სულელებს ელაპარაკებოდა. ეს ორივესთვის აუტანელი იყო.

მალე წყვილი სიყვარულის განმტკიცების იმედით ვენეციაში გაემგზავრა, მაგრამ მათ ურთიერთობას ამ რომანტიკულმა ქალაქმაც ვერ უშველა.

ვნება თანდათანობით ქრებოდა და მასთან ერთად უფერულდებოდა მიუსეს პოეტური შემოქმედებაც. მიჯნურები გაუთავებლად, ზოგჯერ მთელი დღე და ღამე ჩხუბობდნენ და ერთმანეთ-

ისთვის სალანძღავ სიტყვებს არ იშურებდნენ.

ამ მძიმე დღეებში მეტ მამაცობასა და სიმტკიცეს ჟორჟ სანდი იჩენდა. ცხარე შეხლა-შემოხლის შემდეგ, ის სამუშაოდ ჯდებოდა და გამომუშავებული ფულით ალფრედს კომფორტით უზრუნველყოფდა, რადგან კომფორტის გარეშე, მას არსებობა არ შეეძლო. მიუსეს ჯანმრთელობა კვლავ შეირყა. ექიმები ეჭვობდნენ, რომ მას ტვინის ანთება ან ტიფი ჰქონდა. ავრორა ავადმყოფს უვლიდა და დღე და ღამე გვერდიდან არ შორდებოდა. სწორედ მაშინ გამოჩნდა „სცენაზე“ მესამე პერსონაჟი – ოცდაექვსი წლის ექიმი პაჯელო. ერთობლივმა ბრძოლამ პოეტის სიცოცხლის გადასარჩენად ისინი იმდენად დააახლოვა, რომ ერთმანეთის უსიტყვოდაც ესმოდან. პაციენტი გამოჯანმრთელდა, მაგრამ ექიმი არა და არ ტოვებდა მას.

ერთ საღამოს ჟორჟ სანდმა პაჯელოს კონვერტი გადასცა. ექიმი დაინტერესდა, ვისთვის უნდა მიეცა ეს წერილი. მაშინ სანდმა კონვერტი გამოართვა და წააწერა „სულელ პაჯელოს“.

კონვერტში იყო ოსტატურად შედგენილი განსაცვიფრებელი კითხვების სია. „მხოლოდ გინდივარ თუ გიყვარვარ? როცა შენი ვნება დაკმაყოფილდება, შეძლებ ჩემთვის მადლობის გადახდას? იცი, რა არის სულიერი ლტოლვა, რომლის დაცხრომა არანაირ ალერსს არ ძალუძს?“ მოგვიანებით პაჯელო წერდა, რომ მშვენიერი აღქმის ტყვეობაში აღმოჩნდა.

გამოჯანმრთელებულმა მიუსემ ახსნა-განმარტება მოითხოვა. სანდმა შეახსენა, რომ ავადმყოფობამდე პოეტი მასთან ურთიერთობის გაწყვეტას აპირებდა. ალფრედი პარიზში გაემგზავრა, მიჯნურები კი ალპებისკენ იღებდნენ გეზს.

მალე ჟორჟ სანდი პაჯელოსთან ერთად პარიზში ჩავიდა. კაცმა აქ თავი უცხოდ იგრძნო. ეს კავშირი ორივეს ტვირთად დააწვა, მით უმეტეს, რომ პაჯელო თავიდანვე ვენეციაში მარტო დაბრუნებას გეგმავდა.

ტრიო დაიშალა. მიუსე ბადენში გაემგზავრა, ხოლო ჟორჟ სანდმა თავის მამულს შეაფარა თავი. ყოფილი საყვარლები კვლავაც განაგრძობდნენ მიმოწერას. მიუსე ვნებით

იწვოდა: „... მეშინია სიკვდილის, მეშინია ასეთი ძლიერი სიყვარულის. კვადები. მშვიდობით!“ – წერდა პოეტი.

რა თქმა უნდა, მიუსე არ მომკვდარა. მშვიდობიანად დაბრუნდა პარიზში, ჟორჟს შეხვდა და წყვილმა კვლავ ერთად დაიწყო ცხოვრება. და კვლავ დაიწყო ძველებური კომპარები – ერთმანეთისადმი უნდობლობა, ეჭვიანობა და გაუთავებელი ბრალდებები. ისევ დაშორდნენ და შემდეგ ისევ დაუბრუნდნენ ერთმანეთს. ბოლოს ჟორჟ სანდმა მიუსეს მისწერა: „ჩვენ უნდა განვიკურნოთ ამისაგან“. ამჯერად ისინი საბოლოოდ გაიყარნენ. ორივე თავისუფლდებოდა მწარე მოგონებებისაგან და ამ მოგონებებით თავ-თავის ლიტერატურულ ნაწარმოებს ავსებდა.

... სანამ ჟორჟ სანდს შეხვდებოდა,



ალფრედ და მიუსე

შოპენმა საცოლისაგან მწარე დარტყმა იგემა. ქალმა გადაწყვიტა, რომ დიდი კომპოზიტორი სიყვარულისა და ვნებისთვის არის შექმნილი და უფერული ოჯახური ცხოვრებისთვის ვერ „გაიმეტა“. ამიტომ კომპოზიტორს ვილაც გრაფი ამჯობინა.

შოპენს სურდა, დარდი ჩაეკლა და სხვა ქალის სიყვარულში ეძებდა შევას, მაგრამ მწარედ შეცდა, რადგან უფრო ძლიერი ცეცხლის ალში გაეხვა.



სრულებითაც არ ააღლევა, მეტიც – სახელგანთქმული მწერალი მას არც კი მოეწონა.

მაგრამ ხომ ვიცით, რომ ქალი მხოლოდ სილამაზით არ იმარჯვებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჟორჟ სანდი არა მარტო ხშირად იცვლიდა საყვარლებს, არამედ სრულებითაც არ ებოდიშებოდა მათ, მივხვდებით, რომ მის ხასიათსა და მამაკაცებთან დამოკიდებულებაში იყო რაღაც ისეთი, რის წინაშეც ქედს იხრიდნენ ისინიც, ვისაც ჟორჟი არ მოსწონდა და არ უყვარდა. ამის ყველაზე ნათელი დადასტურებაა შოპენის სიყვარული. ნაზი, სუსტი, ქალური სულის მქონე, ყოველივე ამაღლებულისა და იდეალურის მოტრფიალე შოპენს შეუყვარდა ქალი, რომელიც თუთუნს ეწეოდა, მამაკაცის კოსტიუმს ატარებდა და უკიდურესად თავისუფალ თემებზე საუბარსაც არ ერიდებოდა.

ჟორჟ სანდი და შოპენი მალიორკაზე დასახლდნენ. „სცენა“ სხვა არის, მაგრამ ვითარება იგივეა და, როგორც ვნახავთ, როლებიც ერთნაირი აღმოჩნდება, ზუსტად ისეთივე სედიანი დასასრულით. ვენეციაში, ჟორჟ სანდის სიყვარულით მთვრალი მიუსებრწინვალე ლექსებს თხზავდა, მალიორკაზე კი შოპენი თავის ბალადებსა და პრელუდიებს ქმნიდა. ვნებიანი სიყვარულის ხანაში მიუსე ავად გახდა, უმაღლესი სასიყვარულო ექსტაზის წუთებში ავად გახდა შოპენიც. როცა კომპოზიტორს ჭლექის პირველი ნიმუხები აღმოაჩნდა, ჟორჟ სანდს იგი ტვირთად დააწვა. სილამაზე და ჯანმრთელობა – კი ბატონო, მაგრამ როგორ შეიძლება ავადმყოფი, დაუძლურებული და ჭირვეული მამაკაცის სიყვარული? – ფიქრობდა ჟორჟ სანდი. მან თავად აღიარა ეს, მაგრამ, რა თქმა უნდა, სხვა მოტივებსაც ასახელებდა, რათა თავისი გულქვაობის ჭეშმარიტი მიზეზი დაეფარა.

სანდმა გადაწყვიტა, წერტილი დაესვა შოპენტან ურთიერთობისთვის, მაგრამ კომპოზიტორი ძალზედ მიეჯახვა მას და განშორება არ სურდა.

ამგვარ საქმეებში გამოცდილმა ქალმა ყველა ხერხს მიმართა, მაგრამ ამაოდ. მაშინ სანდმა დაწერა რომანი, რომელშიც გამოგონილი სახელებით დახატა საკუთარი თავი და თავისი მიჯნური, ამასთან, გმირს (შოპენს) ყველა ამქვეყნიური სისუსტე მიაწერა, ხოლო საკუთარი თავი ცამდე აიყვანა. თითქოს ამის შემდეგ ყველაფერი უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ შოპენი მაინც ფეხს ითრევდა – ფიქრობდა, რომ ჯერ კიდევ შეიძლებოდა სიტუაციის გამოსწორება. 1847 წელს, პირველი შეხვედრიდან 10 წლის შემდეგ, მიჯნურები საბოლოოდ გაიყარნენ.

განშორების ერთი წლისთავე ჟორჟ სანდი და შოპენი საერთო მეგობართან შეხვდნენ ერთმანეთს. სინანულით აღვსილი მწერალი ყოფილ საყვარელს მიუახლოვდა და ხელი გაუწოდა. შოპენი გაფითრდა, სანდს ზურგი აქცია და ხმის ამოუღებლად ოთახიდან გავიდა...

ჟორჟ სანდის საყვარლებს შორის იყვნენ გრავიორი ალექსანდრე და მიენ მანსო (იგი 32 წლისა იყო, როცა სანდს შეხვდა, ხოლო სანდი – 45-ის), მხატვარი შარლ მარშალი, რომელსაც ჟორჟი მოფერებით „ბუსკუნა ბავშვს“ ეძახდა. როცა ისინი შეხვდნენ, შარლი 39 წლისა გახლდათ, სანდი – 60-ის.

იმასაც ამბობდნენ, ჟორჟ სანდს სექსუალური ურთიერთობები არა მხოლოდ ძლიერი სქესის წარმომადგენლებთან, არამედ ქალებთანაც ჰქონდაო. თავის ახლო მეგობარს, მსახიობ მარი დორვალს სანდი სწერდა წერილებს, რომლებიც დღეს, შესაძლოა, ეროტიკულად მოგვეჩვენოს, მაგრამ იმ შორეულ და დიდებულ დროში ურთიერთობის ასეთი სტილი საკმაოდ გავრცელებული და მიღებული გახლდათ. მარი დორვალისადმი მიწერილი წერილის ამ პატარა ნაწყვეტით კარგად დავინახავთ, თუ როგორი მტკიცე, ძლიერი და მზურვალე მეგობრობა აკავშირებდა ამ ორ ქალბატონს: „... თეატრსა თუ შენს საწოლში... ჩემო ლედი, ერთი სული მაქვს, გნახო და ჩაგეკონო, წინააღმდეგ შემთხვევაში, რაღაც სისულელეს ჩავიდენ!“

მოამზავა ნატო ჩხაიძე

ყველაფერი კი ასე მოხდა. საშინელი ამინდი იყო. წვიმდა. მოწყენილობის გასაფანტად შოპენი ერთი ნაცნობი გრაფინიას წვეულებაზე გაემართა. მას შემდეგ, რაც სტუმართა უმრავლესობა დაიფანტა და მხოლოდ ოჯახის ახლო მეგობრები დარჩნენ, შექეფიანებული შოპენი როიალს მიუჯდა და იმპროვიზება დაიწყო. თავისი მუსიკალური ზღაპრის დასრულების შემდეგ, როცა თვალები აწია, მისი მხერა როიალზე დაყრდნობილ, სადად ჩაცმულ ქალს შეხვდა, ქალი იების არომატს აფრქვევდა. ისე უმზერდა კომპოზიტორს, თითქოს თავისი მუქი თვალებით მის სულში ჩაწვდომას ლამობდა.

ცოტა ხანში, უკვე წასასვლელად გამზადებულ შოპენტან ისევ ის ქალი მივიდა და ბრწყინვალე იმპროვიზაცია შეუქო. შოპენს რაღაც-რაღაცები სმენოდა ჟორჟ სანდის შესახებ, იცოდა, რომ იგი დიდი პოპულარობით სარგებლობდა, რამდენიმე სასიყვარულო რომანიცა და მეტიმეტად უცნაური ქალის სახელი ჰქონდა. მაგრამ ამ ქალმა დიდი კომპოზიტორი

კვირის (19 - 25 თებერვალი) ასტროლოგიური პროგნოზი

თევზები - 20/II-20/III



კვირის დასაწყისში, შესაძლოა, საკუთარი შეხედულებებისა და მოქმედების საშუალება არ მოგეცეთ და გარემოების გათვალისწინება მოგიხდეთ. ცოტაც მოითმინეთ და ხუთშაბათიდან სრული თავისუფლება გექნებათ.

ვერძი - 21/III-20/IV



გამორჩეულად აფორიაქებული და ტემპერამენტული კვირა გელით. თუკი რაიმეს მოიწადინებთ, არაფერს მოერიდებით - „თავს მოიკლავთ“ და ჩანაფიქრს განახორციელებთ. თუ ვინმე თვალში არ მოგივიდათ, ვაი მისი ბრალი! თქვენი ენერგეტიკა ამ კვირაში იმდენად ძლიერია, რომ ერთი ცეცხლოვანი მხერაც კი კმარა, რომ მოწინააღმდეგე ფერფლად აქციოთ.

კურო - 21/IV-21/V



შესაძლოა, მთელი კვირის განმავლობაში საქმეზე ყურადღების კონცენტრირება გაგიჭირდეთ, რის გამოც გვიანობამდე მოგიხდებათ სამსახურში დარჩენა და შეიძლება, შინაც მოგიხდეთ სამუშაოს წაღება. კვირის ბოლოსთვის კი კვლავ ჩვეულ რიტმს დაუბრუნდებით.

მარცხობი - 22/V-21/VI




ზედმეტმა ცნობისმოყვარეობამ, შესაძლოა, მოულოდნელი და სერიოზული პრობლემები შეგიქმნათ. აქ კი აუცილებლად უნდა გამოამჟღავნოთ დისციპლინა და ორგანიზატორული ნიჭი, თორემ ნამდვილად რაღაც ხათაბალაში გაებმებით. ხუთშაბათი და პარასკევი ხელსაყრელი დღეებია საფინანსო წამოწყებისთვის, ხოლო შაბათი - კარგი დასვენებისთვის.

ბირთვი - 22/VI-22/VII



ჯერ კიდევ წინა კვირაში წამოჭრილი პრობლემები, ამ კვირის დასაწყისშივე თქვენთვის ხელსაყრელად გადაწყდება. საერთოდ, მუშაობაში გაგიმართლებთ იმ თვალსაზრისით, რომ იმაზე ნაკლები საქმე გექნებათ, ვიდრე გეგმავდით.

ლომი - 23/VII-23/VIII



გარშემომყოფთა გაკვირვებისა და გაღიზიანების დაუოკებელი სურვილი აღგებვრებათ. მეტისმეტად ექსტრაავანტური და გამომწვევი იქნებით, თქვენი ქცევით ყველას გააოცებთ და აღაშფოთებთ კიდევ, თქვენ კი ამით კმაყოფილი დარჩებით. ხუთშაბათს ამგვარმა ქცევამ, შესაძლოა, რაღაც პრობლემა შეგიქმნათ, მაგრამ სერიოზული არაფერი მოხდება.

ქალწული - 24/VIII-23/IX



ამ კვირაში საგრძობლად ამაღლება თქვენი ინტელექტუალური და შემოქმედებითი პოტენციალი. ეცადეთ, ყოველივე ეს პრაქტიკულად გამოიყენოთ. კროსვორდების ამოხსნა და ესკიზების ხატვა, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ ახლა თქვენი ნიჭი უფრო რეივანად შეგიძლიათ გამოიყენოთ.

სასწორი - 24/IX-23/X



მოეწადეთ! ოთხშაბათიდან დაწყებული კვირის ბოლომდე ძალზედ ხშირად შეგაქებენ. თუმცა, ძირითადად წარსულში ნამოქმედარი, საკმაოდ მოკრძალებული მიღწევებისთვის, მაგრამ ესეც ხომ სასიამოვნოა! თანაც ამ ქებას სტიმული უნდა მოგცეთ და უფრო სერიოზული წარმატებებისკენ გიბიძგოთ.

ღიანკალი - 24/X-22/XI



კვირის დასაწყისში ყველაზე უმნიშვნელო და უბრალო საქმეზეც კი ვერ მოახერხებთ ყურადღების კონცენტრირებას. ყველგან და ყველაფერში კოლეგების, მეგობრებისა და ოჯახის წევრების დახმარება დაგვირდებათ. პარასკევისთვის გამოფხიზლდებით და ნორმალურ ცხოვრებას განაგრძობთ.

მშვილდოსანი - 23/XI-21/XII



ეცადეთ, ყველა მუტუალურად მნიშვნელოვანი საქმე შემდეგი კვირისთვის გადადოთ. განსაკუთრებით მოერიდეთ ისეთი გადაწყვეტილებების მიღებას, რომელთა განხორციელებას ხანგრძლივი დრო სჭირდება, რადგან ახლა ვარსკვლავებიც მაინცდამაინც არ გწყალობენ. უძჯობესია, კვირა მეგობრებს, ნათესავებსა და საყვარელ ადამიანს დაუთმოთ.

თხის რქა - 22/XII-20/I



კარგი იქნება, თუ ხშირ-ხშირად გაიმეორებთ ანდაზას „ხერხი სჯობია ღონესა...“ რადგან, შესაძლოა, მთელი ენერგითა და ძალისხმევით შეეჭიდოთ ისეთ საქმეს, რომლის ხელის ზღუებაც კი არ ღირს. მოკლედ, სიფრთხილე გმართებთ, თორემ, შესაძლოა, შაბათისთვის გვარის უსიამოვნებები მოიპკათ.

მკრეხული - 21/I-19/II




შეგიძლიათ, ხუთშაბათამდე ბელს მიენდოთ და მშვიდად ადევნოთ თვალი მოვლენების განვითარებას. ყველაფერი თქვენს სასარგებლოდ წარიმართება. შემდეგ კი საქმეს მოჰკიდეთ ხელი. თუ გონივრულად იმოქმედებთ, კარიერაში წარმატებას მიაღწევთ და თქვენი სოციალური სტატუსის ამაღლებასაც შეძლებთ.



თავებთან ბიძის ვიეტნამური ნესი

შარშან ჰანოს მცხოვრებლებმა 1,7 მლნ თავი დაიჭირეს - ასეთია ოფიციალური სტატისტიკა, რომელსაც მღრღნელებთან საბრძოლველად ვიეტნამის ხელისუფლების მიერ შემუშავებული პროგრამის შესაბამისად აწარმოებენ. გაზეთის - VIETNAM NEWS-ის ცნობით, ეს მაჩვენებელი ორჯერ აღემატება შარშანწინ განად-

გურებული თავების რიცხვს. სახელმწიფომ ამ „აქციის“ მონაწილეებს, საერთო ჯამში, 377 მლნ ღონეა (დაახლოებით 27.000 დოლარი) გადაუხადა. თითოეულ თავის კულში, მის წარმომდგენს 200 ღონეა ერგება. განსაკუთრებული სიმკვირცხლით გამორჩეულმა ზოგმა ჰანოიელმა ამ გზით 2-3 მლნ ღონეამდე გამოიმუშავა.




თვითმკვლელთა სკოლა

საკმაოდ უჩვეულოდ მიუღწენ ევტანაზიის პრობლემის გადაწყვეტას მზრუნველთაგან: ექიმმა ფილიპ ნიტსკერმა მომავალ თვითმკვლელთა სკოლა გახსნა რომლის მსმენელებს ასწავლის, რა ხერხით შეიძლება გამოემშვიდობოს წუთისოფელს უიმედოდ დაავადებული ადამიანი, თანაც ისე, რომ ზედმეტი ტკივილი არ იგრძნოს. მოსწავლეები ეცნობიან სამკურნალწამლო ნივთიერებებსა და სიცოცხლის შეწყვეტისთვის საჭირო დოზებს. მათი უმრავლესობა 60 წელს გადაცილებული ადამიანები არიან და ვერ არც ერთს არ შეჰყრია უკურნებელი სენი. „მანამდე, სანამ თავად შეგვიძლია ემართოთ ჩვენი ბედი, უნდა ვისწავლოთ, როგორ მოვნახოთ გამოსავალი მტანჯველი სიტუაციიდან“ - ამბობს ერთ-ერთი მათგანი, რითაც ამ სასწავლებლის ყველა მსმენელის პოზიციას გამოხატავს.

ობობა ახ იყიდება

ამ ფოტოსურათებზე არც კიბორცია გამოსახული და არც პანდორას პლანეტის მკვიდრი, თუმცა პარიზელები ქუჩაში მასთან შეხვედრისას ალბათ სწორედ ასეთ არსებად მიიჩნევენ. სკეიტბორდში საფრანგეთის ყოფილი ჩემპიონი ფან-ივ ბლონდო, რომელსაც „მრბოლავ ობობას“ უწოდებენ, ამ „ტრანსპორტით“ ნებისმიერ მანძილს ტაქსიზე და მეტროს მატარებელზე უფრო სწრაფად აღწევს. „ობობა“ ძალიან შორს ხტება, იოლად დასრიალებს კედლებზე და ლამის არის, მთელი ქუჩების თავზე გადაფრენასაც ახერხებს. ბლონდოს ფოტოსურათები ბევრჯერ დაბეჭდილია სხვადასხვა ქვეყნის სპორტული ჟურნალების გარეკანზე. ახლა მას ერთ-ერთი იაპონური კომპანია ხანგრძლივი კონტრაქტის დასადავებად „ელოლიავება“, მაგრამ ბლონდო ფულის შოვნას, დამწყები სკეიტბორდისტთათვის ინსტრუქტაჟით ამჯობინებს. შემოსავლის დამატებით წყაროს მისთვის, თავისი ფანტასტიკური აღჭურვილობით ვაჭრობაც წარმოადგენს, რომელსაც 2.000 დოლარად ყიდის.



ჟურნალ „გზის“ რედაქცია
სათანაფროლოდ იხვევს
ახალგაზრდა,
კვალიფიციურ
ჟურნალისტებს.
გასაუბრება — 17 და 24
თებერვალს, 15-დან 18 საათამდე

ფანტაზია • ფანტაზია • ფანტაზია • ფანტაზია

ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში შემოთავაზებული რუბრიკის - „ფანტაზიის“ პასუხად მკითხველთა მიერ გამოგზავნილი ქვითრების მიხედვით, გაიმარჯვეს ბატონებმა ჯამლეთ ბაბილაშვილმა და მიხეილ სააკაშვილმა. უულოცავთ ბატონ ჯამლეთს და ბატონ მიხეილს და ვუსურვებთ წარმატებებს!

„ჭრელო კეპელა...“

(მკითხველის გვარი, სახელი)


(ცნობილი პიროვნებები)

ამ რუბრიკით თქვენი წარმოსახვის გავარჯიშებას ვთავაზობთ. გაითვალისწინეთ ჩვენი კომენტარი და ფოტოზე აღბეჭდილ სახეს ის ცნობილი პიროვნება მოარგეთ, რომელიც ყველაზე მეტად მოუხდება. ჟურნალის შემდეგ ნომერში ფოტო იმ პიროვნების სახით გამოქვეყნდება, რომელიც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს. გთხოვთ, შეავსოთ ქვითარი და პასუხები გამოგვიგზავნოთ, თბილისში განთავსებული „კვირის პალიგრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ქვითარი ჩაავლეთ სამშაბათის (20 თებერვლის) 13 საათამდე.

„ფანტაზია“



„ჭრელო პეპელა...“



„ფანტაზიორიბს“
აკითხველი

უკანასკნელი ბანაკი...
თბილისში

**მანანა
ტაბაღუა**

**ახალი
სახ**

მოხიბლავო გოგონებო!

**აქ შეიკლავა თქვენი
ფობო დაიზაფდოს!**

თქვენი ფერადი სურათი,
საკონტაქტო ტელეფონის
მიითვებით გამოგვიგზავნეთ
„კვირის პალიტრის“ საფოსტო
ყუთების საშუალებით.

„კვის“ ფობოგრაფი

გზად არიან ახალი

ფობოსახეების შესაქმნელად!